

ესემტლტბიუნი
ქიეხნი

2010

არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

მტიმულტგიური ქიეგანი VII

ექლენება

აკად. ქეთევან ლომთათიძის
დაბადებიდან 100 წლისთავს



ლედანა

გამომცემლობა „ლედანა“
თბილისი
2010

UDC(უაკ)81'373.6(051.2)

ე-871

„ეტიმოლოგიური ძიებანი“ ქართული და სხვა ქართველური ენების ლექსიკის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევისადმი მიძღვნილი თემატური კრებულია, რომლის 6 ნომერი 1987-1997 წლებში დაიბეჭდა.

კრებული დაფუძნდა **აკად. ქეთევან ლომთათიძის** ინიციატივით და მისივე რედაქტორობით მზადდებოდა და გამოიცემოდა.

ნიშანდობლივია, რომ, აკად. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, **კრებულის გამოცემა განახლდა აკად. ქეთევან ლომთათიძის საიუბილეო წლისათვის.**

კრებულში წარმოდგენილია გამოკვლევები, რომლებშიც ქართველურ ენათა ლექსიკური მასალის ანალიზისას მოხმობილია როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენათა სათანადო მასალა.

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ არაბული (მთავარი რედაქტორი)

ნანა მაჭავარიანი

მურმან სუხიშვილი

მედია ლლონტი (რედაქტორი)

ვაჟა შენგელია

იზა ჩანტლაძე

მერაბ ჩუხუა

ალექსი ჭინჭარაული

ზურაბ ჭუმბურიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი

პაატა მამფორიასი

აზთანდილ არაბული

„*ეშუ*“ და „*შუა*“ ლექსებითა ურთიერთშიგართმებისათვის

სულხან-საბა ორბელიანი **კბილ**- სიტყვის ბუდობრივი განმარტებისას იძლევა მის სემანტიკურ ნაირსახეობებს, მათ შორის – **შუანი** ფორმასაც:

კბილი (4, 2 ქება) პილოთა, ღორთა და მისთანათა დიდთა კბილთა ეწოდებიან ღოჯი და ღორის(ა) კბილთა, ღოჯის სალესავთა გორან-გო, ლომისა და მკეცთა დიდთა კბილთა – შუანი და სხვა ყოველთა კბილი ZA.

შემდეგ სათანადო სტატიაში ჩანს, რომ მითითებული ფორმა საბას ფსალმუნთა წიგნის საფუძველზე აქვს შემოტანილი; ხოლო განმარტებათა რედაქციული ვარიანტები იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ სიტყვა ლექსიკოგრაფისთვის მხოლოდ ამ ერთი გამოყენებით არ უნდა ყოფილიყო ცნობილი:

შუანი (57, 7 ფსალმ.) მკეცთა და ძაღლთა მაგარნი და დიდნი კბილნი ZA. ძვალნი მაგარნი, დიდნი კბილნი მკეცთანი B. ძვალი მაგარი, გინა დიდი კბილნი (+ უკანა კერძოთა Cab) CD. შუანი პილოსა და ლომისა და დიდთა კბილთა ეწოდების E.

„ფსალმუნთა“ მითითებული თავი და მუხლი (57, 7) ასე იკითხება:

„ღმერთმან შემუსრნეს კბილნი მათნი პირსა შინა მათსა, და შუანი (შუვანი, შოანი V) ლომთანი შეფქუნა (შეფქენეს) უფაღმან“.

სულხან-საბას განმარტების კვალობაზე ძველი ქართულის ლექსიკონებში სიტყვის ძირითად მნიშვნელობად აღებულია „დიდი (შუა) კბილი“; ამავე დროს, საბას განმარტებიდანვე ჩანს, რომ ეს ერთეული უნდა გავიგოთ როგორც მრავლობითის ფორმა: **შუა-ნ**-ი.

სიტყვის მითითებული შინაარსით გამოყენების მხოლოდ ეს ერთი შემთხვევა რომ დასტურდებოდეს, შესაძლებელია ის მიგვეჩინა ელიფსისის თავისებურ შემთხვევად: **შუანი კბილნი** → შუანი. ამ შემთხვევაში ის უნდა გაგვეგო ჩვეულებრივი ზედსართაული შინაარსით („შუა“), რაც ლექსი-

კოგრაფთა ზოგ განმარტებაშიც შემთხვევით არ ჩანს წინ წამოწეული¹, და მაშინ საძიებელიც აღარაფერი იქნებოდა.

მაგრამ სიტყვის (ფორმის) გამოყენების სხვა რამდენიმე საგულისხმო მაგალითიც დასტურდება ბიბლიურ წიგნებში (ძირითადად) თუ სხვაგან:

შემეუსრენ შუანი ცრუთანი და შორის კბილთა მათთა ნატაცები გამოულე (იობ. 29, 17).

ნაშობისა უკეთურისანი, ვითარცა ვრმალნი, ლესულ არიან კბილნი მისნი და შუანი მისნი, ვითარცა მკუეცელნი, შემეუსრვად და შეჭმად მდაბალთა ქუეყანისათა და კაცთა გლახაკთა (იგაფთა 30, 14).

ბაგენი შენნი – საბელ ძოწეულისა, ხოლო უბნობაჲ შენი – შეუნიერ რაბამ, მროწეულისა ნაქურცენსა მიმსგავსებულ შუანი შენნი გარეშე ღუმილისა (ქება ქებათა, ნ, ნ).

და მოართვს ოქროსა და ვეცხლი და ანთრაკი წახნაგებული და უთლეული და შუვაჲ პილოძსა (III მეფ. 10, 26 შ [შუა პილოთაჲ, მცხ.]).

კბილნი მისნი კბილნი ლომისანი და შუანი ლეკვსა მისისანი (იოველ. 1, 6).

და ქმნა მეფემან საყდარი პილოსძულისა შუათა დიდი და შემოსა იგი ოქროთა რჩეულითა (II ნეშტ. 9, 17).

ერთგზის სამსა წელსა მოვიდოდა ნავი თარშად მეფისა სოლომონისი საესე ოქროთა და ვეცხლითა და შუათა პილოსათა, ყაპუზუნათა და ფარშამანგებთა (II ნეშტ. 9, 21).

და აღელესნეს მახზლნი მათნი და აღემახუნეს, ვითარცა შუანი მძუნვარეთანი (სინ. მრ. 224, 3-4).

და განმარინენ ჩუენ ბილწთა მათგან შუათა მკეცისა (რიფს. და გაიან.).

ვითარცა შორიელთა ლომთა აღუკრენ შუანი შთაგდებულმან ჯურღმულსა შინა (ანან. აზარ. მის., კონდაკი).

¹ ილ. აბულაძეს, როგორც ჩანს, არც მიუჩნევია ის ლექსიკონში შესატანად.

შეფქვენ, შელევწენ უკვე ანდამატისა მკვერით შემჭამნი ჩვენნი ლომთა შუანი (ბეს. გაბაშგ).

როგორც ილუსტრაციებიდან ჩანს, სიტყვის (ფორმის) ყველა გამოყენება, ერთი შემთხვევის გარდა, ნართანიან მრავლობითს განეკუთვნება და მნიშვნელობაც ძირითადად ერთგვარია: „კბილები, ეშვები“. ამასვე ადასტურებს სავარაუდო სათარგმნ წყაროებთან შედარება:

„ფსალმუნთა“ მითითებულ კონტექსტში ებრაული გვიჩვენებს malatā'āh სიტყვას, რაც „ეშვს“ აღნიშნავს. ასევე გარჩევით წარმოგვიდგენს ამ კონტექსტში „კბილსა“ და „ეშვს“ ძველი ბერძნული:

Ὁ Θεὸς συέτριψε τὰς ὀδόντας αὐτῶν ἐν τῷ στόματι αὐτῶν τὰς μύλας τῶν λεόντων συέθλασεν ὁ Κύριος.

სხვა შემთხვევებში **შუანი**-ს შესატყვისად ებრაულში ერთგან „კბილების“ აღმნიშვნელი šinnajik' სიტყვა დასტურდება (ქება ქებათა ნ, 6), მეორეგან – „სპილოს ძვლის“ გამომხატველი šen'hāhb (II ნემტ. 9, 21). „სპილოს ძვალი“ რომ ეშვებს უნდა გულისხმობდეს, ამას ბერძნული რედაქცია ადასტურებს: ὀδόντας ἐλεφαντίνω (ნემტ. 9, 21) და ἐλεφαντίνω ὀδόντων (ნემტ. 9, 17).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მართლაც უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველ ქართულში არსებული „კბილის“ („ეშვის“) აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული **შუა**, ხოლო მისი დამთხვევა ამავე უღერადობის ზმნისართ-ზედსართავთან („შუა“) ორგვარად შეიძლება იქნეს გააზრებული:

ა) ეს არის ომონიმიის შემთხვევა (შდრ. ქვემოთ: გ. კარტოზიას ამ მნიშვნელობათა მიმართება პოლისემიის ფაქტად მიაჩნია);

ბ) დამთხვევა შემთხვევითია და ეს უკავშირდება იმას, რომ /უ/ და /ჟ/ ძველ ქართულში გრაფიკულად ეთნაირად გამოისახებოდა. როგორც ვიცით, **შუა** ზმნისართ-ზედსართავში **უ** ხმოვანია. თუ ვივარაუდებთ, რომ „კბილ“- ლექსემაში /ჟ/ ფონემა გვქონდა, ანუ გვქონდა **შჟა**, მაშინ ის დამოუკიდებელი (არაომონიმიური) სიტყვა გამოდის (სტრუქტურული ანალოგიისათვის შდრ. **ქჟა**, **სხჟა**, **სჟე**, **შჟავი** და სხვ.).

რას იძლევა ქართველური იდიომების ჩვენება?

¹ სათანადო მასალის მოწოდებისათვის მადლობას მოვასხენებთ ქ-ნ ლ. ბინიაშვილს.

გ. კლიმოვი ქართ. **ემუ** – „ემვი“ დაუკავშირა მეგრ. ო-სქ-უ (*ო-ასქ-უ) („სალორე“) სიტყვას (კლიმოვი 1964, გვ. 81), ხოლო ბ. ქობალავამ ემვი შეაპირისპირა მეგრ. **ჩქვა**-სთან (ქობალავა, 1958).

თ. გამყრელიძემ შეაფასა ეს შეპირისპირებები:

ქართ. ე-შვ-ი ფორმის შესატყვისად მეგრულში დასტურდება **ჩქვა** (სქ.: ქობალავა 1958, 71). აქაც არ მომხდარა /შქვ/ კომპლექსის მოსალოდნელი გასისინება, რაც, საფიქრებელია, ზანურ ფორმაში წარმოდგენილი თავკიდური /შ/ ფონემის ადრეული აფრიკატიზაციით უნდა აიხსნებოდეს.

ამისგან განსხვავებით, ამავე /შქვ/ კომპლექსმა, ქართული ე-შვ-ი ფორმის შესატყვისად წარმოდგენილმა ზანურში, ოსქუ ← *ო-სქუ-უ „სალორე“ ფორმაში კანონზომიერი გასისინება განიცადა (მდრ. ძვ. ქართ. ეშვ „გარეული ღორი, ტახი“, ე. ი. ოსქუ~სა-ე-შლ-ე [ეტიმოლოგია ეკუთვნის გ. კლიმოვს] (გამყრელიძე 1959, გვ. 73)).

გ. კარტოზიამ საეჭვოდ შერაცხა ქართ. **ემუტი**: მეგრ. **ჩქვა** დაკავშირება. ამავე დროს, დამაჯერებლად მიიჩნია მეგრ. **ოსქუ** სიტყვის შეპირისპირება **ემუ**-თან (გ. კლიმოვი). მკვლევარმა მეგრ. **ჩქვა** „ემვი“ დაუკავშირა ძვ. ქართ. **შუა**-ს. მისი მითითებით, **შოვა** / **შუა** / **შუვა** ძველ ქართულში პოლისემიური სიტყვაა. გარდა ძირითადი, ჩვეულებრივი, მნიშვნელობისა („საშუალო, შორის, შუაში“), იგი აღნიშნავდა „წელს (სხეულის ნაწილს)“ და „ნადირის კბილს“.

აქედან გამომდინარე, ამ სიტყვათა საერთოქართველური განვითარება ურთიერთკავშირში არის გააზრებული: მეგრ. *შქოვა / *შქუა → შქა „შუა“ (თ. გამყრელიძე). ამაზე დაყრდნობით გ. კარტოზია აღნიშნავს: „როგორც ჩანს, **შქუა** და **შქა** ფორმები ზანურში ერთმანეთის გვერდით არსებობდა. ამ პოლისემიური სიტყვის მნიშვნელობათა ერთი ნაწილი ერთ ვარიანტულ ფორმას დაუკავშირდა, მეორე ნაწილი – მეორეს. კერძოდ, **შქა** ფორმას შერჩა მნიშვნელობები: „შუა, საშუალო“ და „წელი“, **შქვა** კი „ემვის, ნადირის კბილს“ აღსანიშნავად იქნა გამოყენებული. პირველი

¹ გამყრელიძე-ივანოვის მონოგრაფიაში **შW** „ღორი“ და **შW** „შობა“ არის ძირეულად ერთმანეთთან დაკავშირებული და მას საერთო-ინდოევროპულ ***შპ** ძირთან ეძებნება ანალოგია (გამყრელიძე, ივანოვი, II, გვ. 597 [სქ. ქ.]).

ფორმა თავისი მნიშვნელობებით ორივე ზანურმა დიალექტმა შემოინახა, მეორე კი მხოლოდ მეგრულს დაუცავს, ოღონდ ფონეტიკურად ცვლილი სახით – სპირანტის აფრიკატიზაციით: შქვა → ჩქვა (გ. კარტოზია 1984, გვ. 133). სქოლიოში გ. კარტოზია სხვაგვარ ვარაუდსაც უშვებს: შეიძლება შქა ფუძეს აფრიკატიზაციასთან ერთად ხელახლა განეფიქრებინა ვ ლაბიალი (ანალოგიად იყენებს: ლაში – ლაზ. ლეშქი, მეგრ. ლეჩქვი „ტუჩი“).

მ. ჩუხუამ შუან-ი, როგორც ერთიანი ფუძე, დაუკავშირა მეგრ. ჩქვალ- (ჩქვა „ეშვი“; ჩქვალ-ეფ-ი) და სვან. (ბქვ.) ჩქტარ- (ჩქვა „ეშვი“; ჩქტარ-პრ) ფუძეებს. იგი საერთოქართველურისათვის ჩუალ- არქეტიპს ვარაუდობს, „რადგანაც ჩ → შ სპირანტიზაცია ქართულმა განიცადა“; ხოლო იბერიულ-კავკასიურის დონეზე, ავტორის აზრით, „სათანადო ძირი *ცუალ- სახეობისა უნდა ყოფილიყო (ჩუხუა 2002-2003, გვ. 310-311).

ფიქრობთ, უეჭველია დაკავშირება მეგრ. ჩქვა: ქართ. შუა, როგორც ფორმალურად, ისე სემანტიკურად, ოღონდ ძვ. ქართ. ფორმა უნდა გავიგოთ როგორც შუა¹. ამავე დროს, ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ შესაპირიბრებელ სიტყვათა კომპლექსიდან კატეგორიულად გამოვრიცხვოთ იმავე სემანტიკისა² და მსგავსი ფონოლოგიური სტრუქტურის სიტყვა ეშუ³.

¹ ფიქრობთ, ეს არქაული სიტყვა და მისი გახმოვანების მდგომარეობა შენახული იყოს ლეჩხუმურ სინონიმურ კომპოზიტში შვარძალი „ბარკლის ან ბეჭის ძვალი“: შვა + ძვალი; რ განვითარებულია, შდრ. რთხმელა (იმერ. ლეჩხ.), რცა „ცა“ (ლეჩხ.), რცმელი „ფენთხი“ (ლეჩხ.), რწბოლი „ჩირქი“ (ლეჩხ. იმერ.), რწმელა „ღერო პურისა“ (გურ.-აჭარ.), ფორჩხი „ფოცხი“ (იმერ.), ფოთქვი (ჯავახ.) – ფოთქვი (ზ. იმერ.) და მისთ.

² ზემოგანხილულ შემთხვევებში ეშვი აღებულია ძველქართული მნიშვნელობით: „ტახნი“. მაგრამ თვით ეს მნიშვნელობა უნდა იყოს სემანტიკური გადაწვევის (ტაბუირების?) შედეგი და პირვანდელი სემანტიკა „კბილი“ უნდა ყოფილიყო. მართალია, ამისი მაგალითები ძველ ქართულში ჯერ არა ჩანს, მაგრამ „ვისრამიანში“ რომ დასტურდება, ეს სახლზე არ უნდა იყოს: „კულა მოუგდა ღორი, მოჰკრა ეშვი მკერდსა და უპემდის გაუბო („ვისრ.). ცხადია, შეიძლება სხვაგვარი ვარაუდიც: შუა სიტყვის სემანტიკა შემდეგ გადავიდა ეშუ-ზე.

³ შდრ.: ფენრიხი, სარჯველაძე 2000, გვ. 192, 557.

ვფიქრობთ, ამ ორი ფორმის (შუა და ეშუ-) ურთიერთმიმართება ნათლად წარმოაჩინეს **ეშუ-** ფუძის სმოვანთავსართულ წარმომავლობას. ამ თვალსაზრისით ეს სიტყვა გვერდში დაუდგება ისეთ აღიარებულ ფაქტებს, როგორიცაა: ერქვან-ი, ეჭვი-ი, ი-დაყვი, ი-ღლია, ი-სარ-ი და სხვა (თოფურია 1947, გვ. 455-456). ივარაუდება, რომ ლექსიკური ძირია **შუ-**, რომელმაც მოგვცა ორგვარი წარმოება: სუფიქსური (შუ-ა) და პრეფიქსული (ე-შუ).

რაც შეეხება ზან. **შქვ-** კომპლექსის აფრიკატიზაციას, უფრო სწორად, მის ნაირგვარ წარმოდგენას, ეს ფაქტია და მისი ახსნის ის შესაძლებლობა, რომელიც ლიტერატურაშია შემოთავაზებული, არსებითად დამაკმაყოფილებელია (იხ. თ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრ., გ. კარტოზია, დასახ. ნაშრ.). ვფიქრობთ, ნიშანდობლივია, რომ ეს პროცესი ძირითადად კომპლექსებში გვხვდება (უფრო ჭანურში): ლეშქი → ლეჩქე „ტუჩი“, შქა → ჩქა „შუა“ (მარი 1910, გვ. 208), შხუ → მჩხუ „მსხვილი“ და მისთ. აშკარაა, რომ ამ შემთხვევებში ჯერ კიდევ ბოლომდე ამოუხსნელი კომბინატორული წესები მოქმედებს¹.

ლიტერატურა:

გამყრელიძე 1959: თ. გამყრელიძე, სიბილანტთა შესატყვისობანი და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი, თბილისი.

გამყრელიძე, ივანოვი 1984: Гамкрелидзе Т. В., Иванов Вяч. Вс., Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, Тб.

თოფურია 1947: ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, IX, სმოვანთავსართოვანი სახელები. — თსუ შრ. XXX/1, თბილისი.

კარტოზია 1984: გ. კარტოზია, სიბილანტთა შესატყვისობის დარღვევათა ახსნისათვის ქართველურ ენებში. — მაცნე.

¹ არ გამოვრიცხავთ, რომ მეგრ. **გეშქვაფა** („შერჭობა“) ზმნაში ძირის პირვანდელი **შქვა** ვარიანტი იყოს შემორჩენილი, ანუ ეს იყოს ისეთივე ნასახელარი ზმნა, როგორიცაა „რქენა“.

კლიმოვი 1964: Г. Климов, ЭСКЯ, М.

მარი 1910: Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматиею и словарем, С-Пб.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000: ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქობალავა 1958: ი. ქობალავა, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესები იბერიულ-კავკასიურ ენებში. — იკე, IX-X, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003: მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

Avtandil Arabuli

Toward the interrelation of *ešw* and *šua* lexemes

Summary

In different times the Megrelian *čkva* ‘tooth’ was assimilated with *ešw*- (Old Georg. ‘pig’, New Georg. ‘big tooth’) and Old Georgian *šua* (‘big tooth’) stems.

On the basis of the analytical material I consider, that the second word can be read as *šwa* and as a result of comparing these two stems, *ešw* stem must be considered to be the stem with e- prefix: **e-šw**.

ანთროპომორფულ არსებათა სახელწოდებანი
3. აფხაზური აჯნგშ „სატანა, ეშმაკი“ ლექსების
წარმომავლობისათვის

აფხაზურში **აჯნგშ** „სატანის, ეშმაკის“ ერთ-ერთი სახელწოდებაა. აღნიშნული ლექსება უნდა მომდინარეობდეს აფხაზურშივე დადასტურებული **ჯაპანგმ** „ჯოჯოხეთი“ სიტყვისაგან, რომელიც, თავის მხრივ, ამ ენაში ნასესხები უნდა იყოს თურქულიდან: **ჯაჰანამ // ჯაჰანამ** „ჯოჯოხეთი“.

ჯაჰანამ > ა-**ჯნგშ** „ეშმაკი“, აჰ მარცვლის ჩაეარდნით, ბოლოკიდური მ-ს გაუაჩინარებთა და შხ ფონემის დამატებით. ეს -**შხ** ფონემა, ჩვენი აზრით, უნდა იყოს ამჟამად გაქვავებული, მყოფადი მეორის მაწარმოებელი სუფიქსი **შა** > **შხ**. შდრ.: **სანცაშა** „როცა უნდა წავიდე“, სიტყვის წარმოსახვითი მნიშვნელობა უნდა იყოს „ჯოჯოხეთისა, საჯოჯოხეთე“.

ამ კონტექსტში ყურადღებას იქცევს აგრეთვე ძველი ქართულის ლექსიკური ერთეული **მემაჯანი** „თავზარდამცემი“, რომელიც ქართულში აღმოსავლური ენობრივი სამყაროდან ჩანს მოხვედრილი.

ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება სამჯერ:

„ისი მინდორს არონინებს ტანსა მჭევრსა, მემაჯანსა“ (261, 2)

„იგი ხელმწიფე მალალი, მებრძოლთა მემაჯანია“ (1603, 2)

„ღია ღიდთა დამაჯნება უშმაგომან ვით გააგო!“ (1606, 1)

იუსტინე აბულაძის განმარტებით, ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანში“ ნიშნავს „მაძაბუნებელს, თავზარდამცემს, გასაოცარს“.

სიტყვის ეს მნიშვნელობა უცხო არ უნდა იყოს არც აფხაზურის ჩვენების მიხედვით: აფხაზურში **აჯაშარა** ნიშნავს „გაკვირვებას“. შესაძლოა ეს ლექსებაც **ჯაჰანამ // ჯაჰანამ** „ჯოჯოხეთი“ სიტყვისაგან მომდინარეობდეს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აფხაზურსა და ქართულში აღმოსავლური ენობრივი სამყაროდან მოხვედრილი ეს ლექსებები: **აჯნგშ**, **ჯაპანგმ**, **მემაჯანი**

– გარკვეული სემანტიკური ცვლილებების გათვალისწინებით, უნდა მომდინარეობდეს ერთი საერთო წყაროდან და ეს წყაროა **ჯაჰნამ // ჯაჰანამ** „ჯოჯოსეთი, ჯანდაბა“.

ლიტერატურა:

აფხაზურ-ქართული ლექსიკონი 1954: ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ანდრონიკაშვილი 1966: მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბილისი.

რუსთაველი 1951: შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბილისი.

Nana Matchvariani

Anthropomorphic names

3. Towards the origin of the Abkhazian

aʒnēš ‘satan, devil’

Summaru

In Abkhazian *aʒnēš* is one of the names of ‘satan, devil’. The mentioned lexeme should be originated from the word *ʒahanēm* ‘hell’ evidenced in Abkhazian. In its turn, this word should be borrowed from Turkish: *ʒahnam // ʒahanam* ‘hell’.

My attention is also focused on Old Georgian lexical entry *memaʒani* ‘shoked’ that seems to be entered in Georgian from the oriental languages.

The supposition expressed in the paper according to which these lexemes that entered in Abkhazian and in Georgian from the oriental languages: *aʒnēš*, *ʒahanam*, *memaʒani* – taking into account certain semantic changes, should be originated from one common source and this source is *ʒahnam // ʒahanam* ‘hell’.

„რუსულანიანის“ ლექსიკიდან

ჩვენი მიზანია, განვიხილოთ „რუსულანიანში“ დამოწმებული ორი სიტყვის (**ზარბაბი და ქამხა**) წარმომავლობა.

ზარბაბი – (ზარბაბისა) [სპარს. ზარბაფ „ოქროს ქსოვილი“] ძვ. აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი, ოქრომკედით ნაკერი, ძვირფასი ფარჩეული. ერთ მათგანს ეცვა **ზარბაბის** ახალუხი (ა. ფურც.). [ცხენს] ღარდასმულ გავაზე სქელი ზარბაბის ასალი ახურავს (შ. დად.). აქვე მითითებულია **ზარბაბის წინდა** – „ერთგვარი ჭრელი წინდა (ქეგლ IV, 100).

ზარბაბი არ გვხვდება საბასთან, ხოლო „რუსულანიანის“ ტექსტს დართულ ლექსიკონში შემდეგნაირადაა განმარტებული: „ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი, ოქროქსოვილი, ოქრომკედით ნაკერი ფარჩა“ (რუსულ. ლექს.). დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში დასტურდება **ზარბაბი, ზარბაბთი** ვარიანტები, მითითებულია მისი სპარსული წარმომავლობა და განმარტებულია, როგორც „ფარჩა“, „ზარბაბის ხავერდი“ (ჩუბინაშვილი 1984).

ლექსიკური ერთეული **ზარბაბი** დამოწმებულია ქართულ წერილობით ძეგლებში:

„და ლამაზგვარად ება ცხენები: სულ **ზარბაბი** ესურათ და აბრეშუმის თოკები ება“ (რუსულ. 212,15).

„იქით თეთრს ქალაქამდი სულ პატიოსანი **ზარბაბი** უფინეს, მუშკი და ანბარი უკმეის და თავსა თეთრი აყარეს“ (რუსულ. 477,18).

„...იქიდგან ქალაქამდის სულ მძიმე **ზარბაბი** დაეფინათ და იქით-აქეთ იდგა დიდძალი კაცი და ქალი და სცემდეს ბუკსა და დაბდაბსა“ (რუსულ. 391,7).

„არის... ოლარი თეთრი იეზდის **ზარბაბი** ატლას ბაბთის ერთი“ (სამართ. III. 683,7-8).

„არის ფილონი წითლითა და ყვითლით ჩაქსული **ზარბაბი**“ (სამართ. III. 687, 2) (1712).

„სარტყელი **ზარბაბისა** ყირმიზი, თუ ჩვენი თავი გინდა, ეს ჩაიცვით“ (ქართ. ეპისტ. 37,10) (1707).

გვხვდება ადრეთვე **შალ-ზარბაბი**: „არის შესამოსლის იარაღი... ფილონი ჩაქსული იეზდის **შალ-ზარბაბისა** თავის შეფერებულის ამითა ერთი“ (სამართ. III. 682,3) (1712).

საანალიზო სიტყვა დასტურდება რუსულშიც. რუს. **зарбав, изарбав** < თურქ. **zarbaf**. თურქულში კი შესულია სპარსულიდან (ფასმერი, II, 1967, 80).

ზარბაბი ქართულში სპარსული ენიდან არის ნასესხები. სპარს. **zar-baft** სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონებში განმარტებულია, როგორც „ფარჩა, მოოქროვილი ქსოვილი“ (რუბინჩიკი 1983; ზორჰანი 1983). სპარს. **zar-baft** კომპოზიტია და შედგება ორი კომპონენტისაგან: **zar** „ოქრო“ + **baft** აწმყო დროის ფუძე ზმნიდან **baftan** 1. „ქსოვა“, 2. „შეკვრა“, 3. „დაძახვა, დაგრეხვა“.

ქამხა (ქამხისა) [სპარ. **kamkha**] აბრეშუმის ფერადი ქსოვილი. „შენსა დასა წაიყვანენ შვიდი წლის სავალ გზასაო, შეუკვრენ ხელსა და ფეხსა, შეაცურებენ ზღვასაო... იმისი **ქამხის** სარტყელი გარს შემოურტყამს ზღვასაო“ (ხალხ.). ადი, ქალო, მალლა ხესა, ჩამოყარე ბროწეული, ჩამოდი და გვერდს მომიჯექ, **ქამხა** მოგცე დაწერილი (ხალხ.) (ქეგლ. VII, 251). ქეგლში გვხვდება, აგრეთვე, **ქამხა-ატლასი** (ქამხა-ატლასისა), **ქამხა** და **ატლასი**. „რათ არ ნახავ შენ დარბაზსა თემურხანის აგებულსა, **ქამხა-ატლასს** რათ არ ნახავ, ინდოეთით მოტანილსა“ (ხალხ.) (ქეგლ. VII, 252).

ქამხა „სახეებიანი ქსოვილია აბრეშუმისა“ (რუსუდ. ლექს.). სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში გვხვდება **ქამხა**: **ქამხა** „ნაქსოვია, აქვე მითითებულია **ხამხა** ვარიანტი: „ოქროქსოვილი ქამხაზედ“ (საბა). საანალიზო სიტყვა გვხვდება დ. ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში და განმარტებულია, როგორც „აბრეშუმის ნაქსოვი“ (ჩუბინაშვილი, 1984).

ქამხა დასტურდება ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში:

„...ძვირფასი სტავრა, ნახლი, **ქამხა**, ატლასი აკიდეს ორასსა სპილოსა...“
(რუსუდ. 71,12).

„...გორად და გორად ეყარა თვალ-მარგალიტი, სტავრა, **ქამხა** და ატლასი“ (რუსუდ. 89, 80).

„...დასცეს სახელმწიფო კარვები სტავრისა და მრავალი სხვა **ქამხისა** და ატლასისა“ (რუსუდ. 220, 32).

„იყო საპალნე ნაქსოვი

მისცა ატლასი, **ქამხა** რა...“ (იოსებ-ზ. 117, 2).

„აჰკიდეს ასსა აქლემსა, ჯორებსა საქონელია:

სტავრა, **ქამხა** და ატლასი, – სრულ ანგარიში ძნელია“ (შნამე, 267,2).

ქამხა ქართულში ნასესხებია სპარსული სიტყვიდან **kamkha**, რომელიც მ. მოინის სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტებულია, როგორც მოხატული და ფერადი ქსოვილი, რომელსაც პატარა ხაო აქვს (Mo'in, 1996).

სპარსული **kamkha** კომპოზიტია და შედგება ორი კომპონენტისაგან: სპარს. kam „ცოტა“, „მცირე“ + სპარს. xab „ხაო, ბეწვი“.

ზარბაზი და **ქამხა** ქართულში ახალი სპარსული ენიდან ჩანს შემოსული.

ლიტერატურა:

ჩუბინაშვილი 1984: დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

Borhan 1983: Borhan-e Qate`, III, Tehran.

Mo'in 1996: M. Mo'in, Farhang-e farsi.

საბა 1993: ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბილისი.

ქეგლ. 1695: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი IV.

ქეგლ. 1962: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი VII.

ფასმერი 1967: М. Фасмер, Этимологический словарь Русского языка, М.

რუბინჩიკი 1983: Персидско-русский словарь, под редакцией Ю. А. Рубинчика, М.

შემოკლებათა განმარტებები:

რუსულა: რუსულდანიანი, ილია აბულაძისა და ივანე გიგინეიშვილის რედაქციით, თბ., 1957.

შ. ნამე: შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები, ტომი I. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ. თბ., 1916.

ქართ. ეპისტ: ქართული ეპისტოლოური წყაროები (XVსაუკუნე – 1762წ.): ქართული ეპისტოლოური წყაროების კორპუსი, I. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და შენიშვნები დაურთო მამისა ბერძნიშვილმა. თბ., 1989.

იოსებ-ზ: გ. ჯაკობია, იოსებ-ზილიხანაიანის ქართული ვერსიები (კრიტიკული ტექსტი ლექსიკონისა და საძიებლების დართვით), პირველი ნაწილი (ტექსტები). ტფილისი, 1927.

სამართ. III: ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. თბ., 1970.

Rusudan Ramishvili

**Some words from the lexicon of “Rusudaniani”
(*zARBAB* and *KAMKHA*)**

Summary

The article discusses the origin of two words (**zARBAB** and **KAMKHA**). The Georgian language verifies the versions **zARBABI**, **zARBABTI** defined as “precious cloth, brocade, golden fabric”. Georgian **zARBABI** has been borrowed from the Persian language. Pers. **zarbaft** is a composite word comprising two components: Pers. **zar** “gold” + Pers. **baft** Present tense base form of the verb **baftan** 1. to knit, 2. to tie, 3. thread, to spin.

KAMKHA in Georgian has been borrowed from the Persian language. We encounter **KAMKHA**, **XAMXA** forms defining “silk fabric”. Persian **KAMKHA** is a composite which comprises two components: Pers. **kam** “little, small” = Pers. **xab** “nap”, “fur”.

Supposedly **zARBABI** and **KAMXA** in Georgian have been borrowed from the new Persian language.

ერთი უძველესი სვანური საკულტო ტერმინის
(**ჟითინ/ჟითინ/ითინ/ღვთინ/ღვთინ/ლვთინ**)
წარმოშობისათვის

(სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი
ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე)

სვანეთში, როგორც ეთნოგრაფიული ლიტერატურიდანაა ცნობილი, ჩვენამდე მოღწეული წარმართული ხასიათის სამლოცველოს მიწისზედა ნაგებობის ერთ-ერთ ძირითად ტიპს **ჟითინი||ითინი** წარმოადგენს, რომელსაც აგებდნენ როგორც საკულტო ადგილზე, ასევე მთის უღელტეხილებსა და გადასასვლელებზე, სანადიროებში, სახლებში და ა. შ. (მაკალათია 1977, 32).

ასეთი სალოცავი ნიშები დღემდე შემორჩენილი სვანეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, რომელთაგანაც ზოგი წარმართობის დროინდელი უნდა იყოს, ზოგი კი შედარებით ახალი, ანუ ქრისტიანობის შემდგომ დროინდელი.

ქრისტიანულ ეკლესიათა დიდი ნაწილი, ცნობილ მკვლევართა თვალსაზრისით (ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, გ. ჩუბინაშვილი...), აგებულია წარმართულ სამლოცველოთა ადგილზე, რაზეც მეტყველებს სვანეთის ზოგიერთ თემში (უშგულში, მულახში, წვირმიში, ელიში, ადშში...) ქრისტიანულ სამლოცველოთა გვერდზე შემორჩენილი შემოდასახელებული უძველესი წარმართული სამლოცველო **ჟითინი||ითინი**, რომელიც სვანური ენის დიალექტებში სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტებით დასტურდება:

ბზ. **ჟითინ/ითინ/ღვთინ**, ბქ. **ღვთინ/ლვთინ**, ლშხ. **ჟითინ**, **ჟითინ**, **ღვთინ**, **ლნტ. ჟითინ**, ჩოლ. **ჟითინ**, **ჟითინ**, **ითინ** „ნიში სალოცავ ადგილზე, ბორ-

ძიკით ამენებული სენიანი შენობა, რომელშიც ასვენებდნენ ჯვარს ან ხატებს“. მაგ.:

ბ ა ლ ს ზ ე მ ო უ რ ი

ნიშგუქეძ სოფელისგა იორუ ლამზერ უითინ ლგგ „ჩვენს სოფელში ორი სალოცავი ნიში დგას“

ალ ლამზერ უითინ გუნ ჯუინელ ლი „ეს სალოცავი ნიში ძალიან ძველია“

ლამზერ უითინანრს ათხეძ აგემს შუანარ „სალოცავ ნიშებს ახლაც ამენებენ სვანები“

ლ ა შ ხ უ რ ი

ამშა ჩუქუან უითინ ლგგან ი ეჩა ფედმას სუამგმდად მუსი მურყუამს (სვ. ქრესტ., გვ. 238, 28) „ამის ქვეშ სალოცავი ნიში იდგა და მასთან („იმის“) ახლოს ვაშენებდით („ვ-ა-გ-ებ-დ-ი-თ“) თოვლის კოშკს“

ცაცხუ... ჩუქუან უითინ ლგგან... (სვ. ე. ქრ.) „ცაცხვის ქვეშ სალოცავი ნიში იდგა“

ამეჩუი უითინ ლგგან (სვ. ქრესტ., გვ. 238, 31) „აქაც სალოცავი ნიში იდგა“

ჯვგარავი საყდრი ნაგემი ათხე უთინ ლგგ (ლშხ. 50) „წმინდა გიორგის ნასაყდრალზე („ა-ნა-გ-ებ-ზე“) ახლა სალოცავი ნიში დგას“

ლ ე ნ ტ ე ს უ რ ი

ეჩად ამეჩუ უითინ ლგგდა „მანამდე აქ სალოცავი ნიში იდგა“

უითინუი სუაშუედ მუტუანრს „სალოცავ ნიშზე ვანთებთ სანთელს“

ჩ ო ლ უ რ უ ლ ი

უითინს ამეძ იგემს ჩამოსახლებულ შუანარ „სალოცავ ნიშს აქაც ამენებენ („ი-გ-ებ-ენ“) ჩამოსახლებული სვანები“

უითინს ხოშა ნალაღ ცხეკი პილუი იგემს „სალოცავ ნიშს უფრო მეტად ტყის პირას („პირ-ზე“) ამენებენ („ი-გ-ებ-ენ“).

ბალსქვემო სვანეთში კი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, **უითინი** სა-კულტო ნაგებობისა და სალოცავი ნიშის ფუნქციით არ გვხვდება, თუმცა ტერმინი **გთინ||ლგთინ** გამოყენებულია ნიშისა და სამანის აღსანიშნავად, ე. ი. ეს არის მაღალი ქვა, მიწაში ჩასობილი ისე, რომ კაცის სიმაღლისა ჩანს მიწის ზემოთ. ასეთი ნიშები, როგორც ამბობენ, უფრო გადასასვლელებზეა (მაღალ მთებსა და უღელტეხილებზე) გაკეთებული. უთვირის გადასასვლელზე სამი ასეთი ნიში ფიქსირდება, რის გამოც ამ გადასასვლელის აღმოსავლეთით მდებარე ერთ-ერთ ულამაზეს მთას სახელად **გთნარ** დარქმევია.

1993 წელს სვანეთში ექსპედიციაში ყოფნის დროს ჩვენ მიერ სოფელ ნაკრაში ვენერა ვიბლიანისგან ჩაწერილ ერთ-ერთ ტექსტში **კესრიშ ლგფაშდ** („კეისრ-ის ნაქებარი“) დავაფიქსირეთ **ლგთნარ** ტერმინიც. მაგ.:

კესრიშ ლგფაშდ ადგილს საშხა. ამერუ ჯუინელ ნალზიგ ლი. შომა ამერუ დუისიშ ლიგნე ოხზინა, ერქას ახქეფას ლალზიგალდ ჟი. ერხენჩუ, ლგთნარხენჩუ, ლგბნე შდგხირთერუ, თისიშ მილარ ლგმარ, ალ მილართედსგა სვა ლგმგუთეშინს ნაშგუჲს ი შდგხირთერუ ჩუ ლგმფიშუდინს. ეჯი მილარ ათხეა ჩუ ლიხ „კეისრის ნაქებარი ადგილს ჰქვია. აქ ძველი ნამოსახლარია. როდესაც აქ თრთვილის დაღება („დგ-ომ-ა“) დაუწყია, მაშინ იქიდან აყრილან („სამოსახლოდ“). იქიდან, ლუთინებიდან, დაწყებული შდინხირამდე, თისის მილეები ყოფილა, ამ მილებში ჩაასხამდნენ თურმე („ჩანასხამან“) რძეს („ნაწველს“) და შდინხირამდე ჩაუშვებდნენ ხოლმე („ჩანაშვებან“). ის მილეები ახლაცაა („ქე არიან“).

ჩანაწერიდან ჩანს, რომ **გთნარ** ტერმინის პარალელურად **ლგთნარ**-იც დასტურდება. ეს უკანასკნელი ტერმინია გავრცელებული სოფელ ცხუმარშიც და იქაც იგივე მნიშვნელობა აქვს.

როგორც ჩანს, ცხუმარში ერთ-ერთი ცნობილი მთის „**ლგთლერ**“-ის სახელწოდებას სწორედ **გთინ||ლგთინ** დაედო საფუძვლად, რადგანაც იმ მთაში რამდენიმე ასეთი ნიშია ბუნებრივად აღმართული. როგორც შოთა სალიანისგან ჩავიწერეთ:

ლგთლერ ლახუჲს საშხა, ამხაუ სოფელხენქა მასარდ სოზი. ამერუ ლი ბაჩემ ლავუშმაშ სუნარ, ჯგვრანგიშ ლავუში ლგმგენ. ერხენ ნანვიდ ხანტ

ლაფსყალდაშ თანგლეზრიშ ლავუმიდსგა ზი, ჟი ხანდრა ლახუ ლეტლერ — ლუთლერი მთას ჰქვია, სოფლიდან იქამდე („აქეთ“) დიდი მანძილია („ბლომად უ-ძ-ევ-ს“). აქ არის ქვის სალოცავის საძირკველი („საძირკველი-ბი“), წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია („სალოცავი“) მდგარა. იქიდან წამოღებული ხატი ლაფსყალდის მთავარანგელოზის ეკლესიაში ბრძანდება („ძ-ევ-ს“), აწერია „მთა ლუთლერი“.

ლახუ ლეტლერს ბაჩანაყი ლი ნახტაჟანრმალ კალხმან. ისკორეხ, ერე ეშხუ დრეჟუქა ალ ადგილჟი ზულჟა ლემან ი ევჯის ოთცჟირა მიჩა ნახუ ბაჩანაყი. მეურნეობას ამეჩუ ჟეთხჟმალ ხორდა ამზაჟხენქა ქამიზალდ. ლახუ ლეტლერს მასანდ ჰყერუ წჟა ი ხოჩა ლათხუარ ადგან ლიხ — მთა ლუთლერში ქვებზე არის გამოსახული („ნახატ-ებ-ივ-ით“) თევზები. ფიქრობენ, რომ ერთ დროს ამ ადგილას ზღვა ყოფილა და იმას დაუტოვებია თავისი კვალი („ნავალი“) ქვებზე. მეურნეობას აქ საქონელი („ოთხ-მა-ვალ-ი“) ჰყავდა ზაფხულიდან შემოდგომამდე. მთა ლუთლერში ბევრი კირქვა მოიპოვება („იშოვება“) და კარგი სანადირო ადგილებია.

მოსხენების ძირითადი მიზანია აღნიშნული საკულტო ტერმინის როგორც სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, ასევე მისი გენეზისის გარკვევა.

როგორც ცნობილია, იოსებ ყიფშიძემ ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში (Кипшидзе 1914, 240) ერთმანეთთან შეაპირისპირა ქართული თენ-ებ-ა; გან-თენ-ა („გათენდა“) და მეგრული თან-აფ-ა („თენება; განთიადი; აღდგომა); გო-თან-დ-უ („გათენდა“); გო-თან-ელ-ი („გათენებული“) ფორმები, ხოლო არნოდდ ჩიქობავამ გამოავლინა ლაზური ექვივალენტი თან-აფ-ა („ნათება; თენება“); თან-უნ („ნათება“); ქო-დო-ლო-თან-უ („განათა“); მ-თან-ურ-ა („ციცინათელა“); დო-ლო-თან-ერ-ი („განათებული“); დო-თან-ურ-ი („განთიადი“) (ჩიქობავა 1938, 277). შემდგომში ქართულ-ზანურ შეპირისპირებულ მასალას, მიუხედავად ქართული და სვანური ფუძეების სემანტიკური სხვაობისა, გიორგი კლიმოვმა დაუმატა სვანური ენის მონაცემებიც: ლი-თნ-ე („დაბადება; გაჩენა“); ა-ხ-თენ-ან („გაუჩნდა“); ლგ-თნ-ე („გაჩენილი“; შექმნილი“); ლი-თენ/ლი-თნ-ე („გამოჩნდა“); ო-ხ-თენ-ი („გამოჩნდები“); ქა ი-თნ-ე („გამოჩნეს“); ლე-

თნ-ე („გამოსაჩენი“...) (ЭСКЯ, 92). მანვე ***თენ**- (ЭСКЯ, 92) და ***თენ-/თნ**- (Klimov 1998, 68) არქეტიპები აღადგინა საერთოქართველური ფუძე-ენის დონისთვის, ხოლო ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის ***თენ**- არქეტიპი (ЭСКЯ, 92) და ***თენ**-ებ-ა (Klimov 1998, 68).

იოსებ ყიფშიძის, არნოლდ ჩიქობავასა და გიორგი კლიმოვისეული დაკავშირება საენათმეცნიერო ლიტერატურაში დღემდე დამაჯერებლადაა მიჩნეული.

ამ რამდენიმე წლის წინ სამეცნიერო მიმოქცევაში წარმოდგენილ იქნა განსხვავებული დაკავშირება: სვანური **ლენ-თ** (ბზ., ლშხ.), **ლეთ** (ბქ., ლნტ.) „ღამე“, **ლენ-თი** (ბზ., ლშხ.), **ლეთ-თი** (ბქ., ლნტ.) „წუხელ“: ქართული **თ-ევ**-, **თ-ენ**-, **მ-თ-ენ-ი**, **სა-თ-ევ-ი** : ზანური **თ-ან**- „თენება“, **ო-თ-ან**-უნ-ან-ს „ღამეს ათევს“, **გ-ი-ფ-თ-ან-ე** „ღამე ვათიე“, **თ-ან**-აფ-ა „აღდგომა“ (ჩუხუა 2000-2003, 106), რომელიც, ავტორის თვალსაზრისით, არ გამოირიცხავს ქართ. **თ-ევ/თ-ენ**- : ზან. **თ-ან**- : სვან. **თ-აჟ**- „გაჩენა“ ფუძეთა ერთიანობას (სარჯველაძე 2000, 231-233). იგი მხოლოდ მის შესაძლო ეტიმოლოგიურ კავშირზე მიუთითებს სვანურ **ლენ-თ/ლენ-თი** „ღამე, წუხელ“ ლექსებთან – სვან. **თ**- „თევა“ → **ლენ-თ(ი)** „სათევი“ → „ღამე“ (ჩუხუა, იქვე).

ჩვენი დაკვირვებით, რეკონსტრუირებულ ***თენ**- ***თენ-/თნ**- ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული სვანურში საყოველთაოდ გავრცელებული უძველესი საკულტო ნაგებობის, სალოცავი ნიშის, სახელწოდებით ცნობილი ტერმინი **ჟითინ/ჟითინ/ითინ/გთინ/ღვთინ/ღვთინ**, რომელშიც **-თინ** ძირი გამოიყოფა და სემანტიკურად იგივეა, რაც მიჩენილი, მითითებული ადგილი.

სვანურში გავრცელებულ სხვადასხვა დიალექტურ ნაირსახეობებიდან ამოსავალ ფორმად მიგვაჩნია ბალსქვემოური გასუბსტანტივებული **ღვ-თინ**, რომელიც, ჩვენი აზრით, მომდინარეობს ნამყო მიმღეობის ფორმისგან **ღვ-თნ-ე** „დაბადებული, გაჩენილი, მიჩენილი, მითითებული“, რომლისგანაც ჩანს ნაწარმოები დანარჩენი საანალიზო ვარიანტები სხვადასხვა ფონეტიკური საფენურების გავლით.


როგორც ცნობილია, სვანურში ნამყო მიმღეობის საწარმოებლად რამდენიმე აფიქსი დასტურდება: **ღ-** — **-ე**, **მგ-** — ***-ე**, **ნა-** — **-ა'**. ამათგან **„ღ-** — **-ე** ჩვეულებრივ გვევლინება ნამყო წყვეტილში **-ე**-თი ნაწარმოებ და თანხმოვან-სმოვნის ან სმოვან-თანხმოვნისაგან შემდგარ ფუძეებთან (**ღმმა/არე** „მომზადებული“; **ღმთე**, ქს. **ღმთიელშხ**. **ღმთი** „მოძიკილი“; ბზ. ქა **ღუგუჩე**, ეცერ. ქა **ღგგეჭ**, ლნტ. **ღუგუე** „დაფქული“), მაგრამ ნამყო წყვეტილში III პ. **-ე** მოკვეცილ და თანხმოვანკომპლექსიან ფუძეებთან **ღ-** გვხვდება, სუფიქსი **-ე** მეტწილად დაკარგული ჩანს, რაც უძველესით დასტურდება. II ჯგუფის მოქმედებითი გვარის ფუძეთა ი გრძელდება (**ღ-ღგვრ/არ** „მკვდარი“, „მოკლული“; **ღმშხ||ღმშე** „დამწვარი“; **ღტხ**, **ღტხ** „დაბრუნებული“); თუმცა გვხვდება პარალელური ფორმებიც: ზს. **ღგღფარე||ზს.**, ლშხ. **ღგღფვრ/არ** ← ლნტ. **ღგღაფვრ'ე** „დაფარებული“ (თოფურია 2002, 197). საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიმღეობის თანამედროვე სისტემის თვალსაზრისით უნიკალური ე. წ. ნამყოს მიმღეობა არქაული ნიშნების შემცველადაა მიჩნეული (არაბული 2001, 178).

როგორც ზემოთ ითქვა, საანალიზო ლექსემა **ღმთინ** < **ღ-თნ-ე -ე** სუფიქსის დაკარგვის შედეგად. აღნიშნული სუფიქსის დაკარგვის შემდეგ ფუძეში თავმოყრილ თანხმოვანთა შორის გაჩნდა **ი**, რომელიც სრულიად მოულოდნელი იყო. **ღმთინ** ფორმის მაგივრად მივიღეთ **ღმთინ** (შდრ. ლნტ. **ღმთინე**). საინტერესოა უბრალოდ (**ე/ი**) სმოვანთმონაცვლეობასთან გააქვს საქმე, თუ ასიმილაციასთან?

შესაძლოა, ძირეული **ი** წინამავალ ისთან ასიმილაციის შედეგიც იყოს, თუმცა **ღმთინ** ფორმის არსებობა ამ შეხედულებას დაბრკოლებას უქმნის.

რაც შეეხება ბალსზემოურ დიალექტში დადასტურებულ **ღგ-თინ** ლექსემას, იგი მიღებული ჩანს **ღმთინ** ფორმისგან **ღ** → **ღ** (შდრ. ქართ. **ღურჯი** → სვან. **ღგრჟი**, ქართ. (ქართ.) **ღას-ა** → სვან. **ღგნში**, იხ. მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 2000-2003), ხოლო ბალსქვემოურ-ლამსურ **ღ-თინ** კი მიღებულია **ღს** ფონეტიკური დაკარგვის შედეგად.

საანალიზო ფუძეთა ფონეტიკური ტრანსფორმაცია შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:



ვფიქრობთ, სოფელ ცხუმარში დაფიქსირებული ერთ-ერთი ცნობილი მთის სახელწოდება **ლგთლერ**-ს სწორედ საერთო-ქართველური რეკონსტრუირებული ***თენ**- ***თენ**-/**თნ**- ძირი უნდა დასდებოდა საფუძვლად, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ აღნიშნულ მთაში რამდენიმე ასეთი ნიშა ბუნებრივად აღმართული და იქვე გვხვდება ნაეკლესიარიც – **ჯგგრაგ ლგთლერ** „ლუთლერის წმინდა გიორგი“, რომელიც უფრო ამყარებს ჩვენს ვარაუდს.

ლიტერატურა:

თოფურია 2002: ვ. თოფურია, შრომები, II, თბილისი.

თოფურია, ქალდანი 2000: ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სანური ლექსიკონი, თბილისი.

ლიპარტელიანი 1994: ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბილისი.

მაკალათია 1977: მ. მაკალათია, სვანეთი, I, მასალები მატერიალური და სულიერი კულტურის შესწავლისათვის, წარმართული ხასიათის ზოგიერთი საკულტო ძეგლი სვანეთში, თბილისი.

ჩიქობავა 1938: არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003: მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000: ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

Кипшидзе 1914: И. Кипшидзе, «Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем»: «Материалы по яфетическому языкознанию», VII, Санкт-Петербург.

Климов 1964: Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

Klimov 1998: G. Klimov, Etimological Dictionary of the Kartvelian Languages, Berlin/New-York.

Medea Sagliani

Towards the origin of one ancient Svan cultic term (*witini// utini//itini//jɔʒtin//ʒtin // lʒtin*) (structural-semantic analysis in the ethnographic material basis)

Summary

As it is well known from the ethnographic literature in Svan one of the basic type of a heathen praying-house survived till our time is *witini// itini* that was used to build on a cult place as well as on mountain passes, on hunting places, in houses, etc.

According to viewpoints of outstanding researchers (Iv. Javakhishvili, N. Berdzenishvili, G. Chubinashvili...) the great part of Christian churches are built on the places of heathen praying-houses. These viewpoints are supported by the abovementioned ancient heathen praying-house *witini* along with the Christian praying-houses in some Svan villages (Ushguli, Mulakhi, Tsvirmi, Eli, Adish...). and which is attested in Svan dialects in the form of different phonetical variants.

The point of the paper is to investigate a structural-semantic analysis as well as the genesis of the mentioned cultic term.

According to my observation the well-known term (*witin// utin//itin// ja&tin//&tin//l&tin*) which is the name of an ancient cultic building, a praying-house spread in Svan, must be connected with **ten- *ten- / tn-* root reconstructed by outstanding researchers and in which a root *-tin* is distinguished and semantically it is the same as 'an assigned, indicated place'.

ერთი დარგთაშორისი ტერმინის შესახებ

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართული ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილი დარგობლივი მიმოხილვის ობიექტს წარმოადგენს (ფოჩხუა 1974, 213). ბევრი ასეთი ლექსიკური ერთეული ჩვენი ყოფითი და სულიერი ცხოვრების რეალიებს წარმოაჩენს და სანამ ამა თუ იმ დარგის სფეროში დამკვიდრდებოდა გარკვეული გზა აქვს გავლილი სიტყვიდან ტერმინამდე. ამათგან ზოგიერთი დარგთაშორის ტერმინადაც მოიაზრება. ასეთი ლექსიკური ერთეული ჩანს წკენტა – წვეთ-წვეთად რისამე ჟონვა: მუწუკის წკენტა „მუწუკის გამოკვამობა“ (საბა).

„სიტყვის კონაში“ წკენტა-ს ხელნაწერთა რედაქციების მიხედვით ორგვარი (თუმცა შინაარსობრივად მსგავსი) განმარტება ახლავს: მუწუკის გამოკვამობა ZA, მუწუკის გამოკვენესა BCD. ლექსიკონში საბას დამოწმებული აქვს ამავე ფუძის წკენტი ფორმაც: რძე ძვირად მდენი ZAB, რძე წვეთით მდენი CD. წკენტა, საბას განმარტებიდან გამომდინარე, სამედიცინო სფეროს განეკუთვნება, წკენტი – მესაქონლეობის ლექსიკის კუთვნილება ჩანს.

საბასეული წკენტ-ი/წკენტა ლექსემათა ორივე მნიშვნელობა გაერთიანებული სახით გადასულია ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებშიც: წკენტა (ესწკენტ) წველა ფურისა, რომელსაც რძე წვეთად მოსდიოდეს. II (ჰსწკენტს) მუწუკის გამოკუნესა გასასქლომად (ნ. ჩუბინაშვილი 1961).

წკენტა (ვჰწკენტ)... ვჰსწკენტო, ვიწველები ნაწყვეტ-ნაწყვეტად (ითქმის ფურის ძუძუსთვის); О корове: доится с перерывом; сочитать, ჰსწკენტს მუწუკი, рана налившись кровью хочет прорваться (დ. ჩუბინაშვილი 1984).

ისიც უნდა ვთქვათ, რომ დ. ჩუბინაშვილი, ისე როგორც ნ. ჩუბინაშვილი, წკენტა სიტყვებით განმარტავს ჩქმეტა-საც და ამ განმარტებით

წკენტ — ფუძის ამოსავალ მნიშვნელობასაც მიანიშნებენ. შდრ., ჩქმეტა — ვსჩქმეტ, ბრწკენა, წკენტა щипать, ущиплять (ნ. ჩუბინაშვილი 1961).

ჩქმეტა (ვსჩქმეტ, -ტე), ზ.მ. ვუპრწკენ, ვსწკენტ უщипнуть (დ. ჩუბინაშვილი 1984).

წკენტა შეტანილია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“ — „წვეთ-წვეთად რისამე ჟონვა“. მუწუკის წკენტა წარმოდგენილია როგორც იდიომი საბასეული განმარტებით და ახალი ორთოგრაფიით: მუწუკის გამოსმობა. დამოწმებულია აგრეთვე: ჩამოწკენტა... კუთხ. (ქართლ.) ძროხის ჩამოწველა ხელმეორედ მოგერისების შემდეგ (ქეგლ VIII).

წკენტა და მისგან ნაწარმოები ფორმები დასტურდება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც და მას ძირითადად მოწველის, გამოწველის მნიშვნელობები უდასტურდება: თუმცა დაფიქსირებულია სხვა მნიშვნელობებიც.

სათანადო მასალას წარმოვადგენთ პირველ რიგში „ქართლური დიალექტის ლექსიკონის“ (1981) მიხედვით:

მოწკენტავს: გამოწველის (ძროხას). ძროხა მოწკენტე და მერე საცა გინდა, იქ წადი (მერ.).

მოწკენტილი: ქილაში ცოტა მოწკენტილი რძეა და აადუღე (მერ.).

მოსაწკენტი: ერთხელ მოსაწკენტი დამრჩა ჩემი ძროხა, მეორე დღეს უკვე აღარ მიკარებდა.

იწკენტება: ძალიან ცოტას იწველის (ძროხა). მაშუამა, ცოტასდა იწკენტება და ჩემ ბავშვებ არ ჰყოფნით. არა მაქ გასაყიდი (იგ.). დღეში ორ ჩარექსლა იწკენტება, როცა ცხრა ჩარექას იწველიდა; აგრეთვე ბრ., კარალ, მეჯვრ., წილკ.

ჩამოწკენტავს: წვეთ-წვეთად ჩამოწველის, ჩამოწურავს, როცა ცოტა რძე უდგია და მოსაწველად არც კი ღირს, იტყვიან ჩამოწკენტეო (ტყვ.). ახლო არ მიკარეფს, რო ორიოდ წვეთი რძე ჩამოვწკენტო (მერ.).

ჩამოიწკენტება: ცოტა ჩამაიწკენტა წუხელისა, არვი კარქა არ აძოვეს, თუ რა არის? (ერთაწმ.).

ჩამოწკენტილი: კამეჩი ჩამოწკენტილია, ღორები ნაჭმები არიან, რაღა გავაკეთო? წვალ ზეითა (კარალ.); აგრეთვე ტყე.

გამოიწკენტება — გამოიწურება, გამოიწოვება. მუწუკი რო გამოშრება, სუ გამოვა ჩირქი, იტყვიან გამოიწკენტაო (ბრ.) (ქართლ. 1981, 110).

ქართლურში წკენტა იხმარება როგორც „გამოწველის“, ასევე მუწუკის წკენტიის მნიშვნელობითაც.

ხევსურული:

„მეწველი საქონელი შეიძლება უდგამი იყოს — რძე ჰქონდეს, მაგრამ არ იძლეოდეს. საქონელი რო გაშრობას დააპირებს და ცოტა რძეს რომ იძლევა, „ზისვარ აღარ უდგას, იწკენტების“ —ო იტყვიან (ჭინჭარაული 2005, 234).

ჩამა-ს-წკენტავ-ს — ჩამოწველის ცოტა რძის მქონე ძროხას (ცხვარს...)... ამასთან, ხევსურულში [ს]წკენტავს სამედიცინო ლექსიკასაც განეკუთვნება: პერიოდულად, ფეთქვის მსგავსად სტკივა (მაგ. თავი) (ჭინჭ. 2005, 1088). შდრ.: წკენტვა (ხევს., ფშ., თუშ.) ჩხვლეტა, ჩუმაღ ტკივილი, მწკენტავს, „ძარღვი სწკენტს“ (მოხ.) (შანიძე 1984, 453).

მთიულური:

ს-წკენტავ-ს — მეწველ საქონელს უკანასკნელ რძეს გამოწველის (კაიშ. 1967, 248);

ი-წკენტება — ძროხა ძლიან ცოტა რძეს იძლევა (კაიშაური 1967, 209).

მოხეური:

მოწკენტა 1. საუბ. დამც. მოწველა; ცოტა, უმნიშვნელო რძის მიღება: „ერთაი ძროხაი მოვსწკინტე“. 2. მოშორება, გაყიდვა (ქავთარაძე 1985, 285, შდრ. ა. ყაზბეგი, III, 662).

წკენტა 1. ჩხვლეტა, ჩქმეტა 2. დამც. საუბ. წველა (ნ. მოწკენტა...).

უწკენტს – უჩხვლეტს, უჩქმეტს: „მკლავზე მიწკინტა (ქავთ. 1985, 380); ფიგურ. „მაგის დანახვავზე გული მიწკენტს“ (ქავთარაძე 1985, 394).

ფშაური:

წკენტვა 1. „ჩხვლეტა, ჩუჲად ტკივილი. მწკენტავს „ძარღვი სწკენტს“ (ა. შანიძე), 2. ბოლომდე ჩამოწველა. ისეთის ძალისძალად წველა, რომელიც ცოტას იწველის.

წკენტი – წვეთი, წველის დროს ცოტცოტად გამონადენი (ხორნაუ-ლი 2000). პარალელურად ფშაურში აჲავე მნიშვნელობით დამოწმებულია ცქენტთი ფორმაც: (წკ>ცქ). ცქენტ-ი – ძროხის , ცხვრის წველის დროს ბოლო წვეთები (ხორნაული 2000).

თუშური:

წკენტვაა¹ (სწკენტავს) სნეკვასავით რაიმე ორგანოს ბწკენია ტკივილი. კბილ-მ წკენტვა დამიწყოდ დამინებულმ იმაშივ ამოაწ-ვდეწ¹.

წკენტვაა² (სწკენტავს) გაშრობავზე მიმდგარი ფურის წველა. „აღარას იწველებ, დილ-დილიაჲ რაცსამ ვსწკენტავ“ – აღარაფერს იწველება, დილაობითლა რაღაცას ვწველი ცოტას (ცოცანიძე 2000).

გუდამაყრული:

წკენტა – ცხვრისათვის ძუძუზე თითების მოსმა – რძის ჩამოსაშ-ვებად (ა. ბექ., 223) (ღლონტი 1984).

გუდამაყრულის ფორმა ფონეტიკურადაა სახეცვლილი, თუ ამოსავლად სხვა დიალექტის წკენტას ვივარაუდებთ, მაშინ გუდამაყრულში რეგრე-სული მეტათეზისია განხორციელებული: წკენტა > წკენტა.

კახური:

წკენტვა – ყრუ ტკივილი, ჩხვლეტა (გულში, თითის წვერებში, ფე-ხის გულებში). „თითებში ისეთი საშინელი წკენტვა მაქ, რამის გული

გამიწვრილდე“ II წკმენტვა (წკმენტავ-ს) – „თითებში მწკმენტამს“ (სახლთხუციშვილი 2003).

ინგილოური:

წკენტუა (წკენტავს, იწკენტა, უწკენტნი, ნაწკენტ) იარის ყრუ ტკივილი, თანაც ქავილი... (როსტიაშვილი 1978).

დასავლური დიალექტებიდან ფონეტიკურად სახეცვლილი წკ კომპლექსის ბგერწერული ცქ ვარიანტიანი (მკვეთრი წკ > ფშვინვიერი ცქ) და აბლაუტიზებული ცქინტ – ფუძე გურულში დასტურდება:

ცქინტვა (გურ.) – ცოტა, წვეთ-წვეთად მოწველა. „ძროხა იცქინტებაო იტყვიან, როცა ძროხა ძალიან ცოტა რძეს იძლევა“ (გ. შარაშ.) (დლონტი 1984).

ცქინტი – ძალიან პატარა, რისამე პატარა ნაჭერი „ძროხა იცქინტება და ცქინტი... ყველიც მიტო არის, ერ კაცს არ ეყოფა (მამ.) (ჯაჯანიძე 1977).

შდრ. ფშ. ცქენტთი, თუშ. გამოჩხენტვა (გამოშჩხენტავს) რძეგამოლეული ძროხის ან ცხვრის გამოწველა (ჯოცანიძე 2002).

როგორც ვხედავთ, წკენტა ძირითადად ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში დასტურდება არსებითად ორი მნიშვნელობით 1. გამოწველა / გამოწურვა (ძალით) რძისა (მუწუკისა), 2. ყრუ ტკივილის შეგძნება. პირველი მნიშვნელობით ის მესაქონლეობის დარგის სპეციალური სიტყვაც არის ([გამო]წკენტა რძისა...) და სამედიცინო დარგისაც (გამოწკენტვა მუწუკისა). მეორე მნიშვნელობით (ყრუ ტკივილის შეგრძნება) კი მედიცინის სფეროს სპეციალური სიტყვაა. ზოგიერთ დიალექტში, არსებული მასალის მიხედვით, ორივე ეს მნიშვნელობა ჩანს (ხევსურული, თუშური)... ზოგში მხოლოდ ერთი მნიშვნელობაა (ყრუ ტკივილის შეგრძნება) დადასტურებული (კახური, ინგილოური; მთიულურშიც მხოლოდ ერთი მნიშვნელობა ფიქსირდება – ძალად გამოწველა). ამ ორივე მნიშვნელობის გამაშუალებლად შეიძლება წკენტა ლექსემის გუდამაყრული მნიშვნელობა ჩავთვალოთ:

აქ მოქმედების პროცესის მიმდინარეობის აღწერაზე გამახვილებული ყუ-
რადღება და არა – მიზანზე (რძის ჩამოწველა):

წკენტა (გუდამაყრ.) – „ცხვრისათვის ძუძუზე თითების მოსმა –
რძის ჩამოსაშვებად (ა. ბექ. 223) (ღლონტი 1984).

დასავლურ დიალექტებში, კერძოდ, გურულში, როგორც უკვე აღვნიშ-
ნეთ, „მოწველის“ მნიშვნელობით წკენტა ზმნის ბგერწერულად
და აბლაუტის შედეგად სახეცვლილი ცქინტვა, იცქინტება (მე-
ტათეზირებული) ვარიანტები გვხვდება; ზემოიმიერულში დასტურდება
მოწკენტვა, მაგრამ სულ სხვა მნიშვნელობით, შდრ.:

მოწკენტვა – სარზე მიკვრის წინ ციცქას ლერწის
მოღუნვა და მუხლში შესრესა. ვენახის მოხვევა ორნაირია:
მოწკენტვა და მოკავება (იხ.). მოწკენტვაა, როცა გადაფ-
წიკავთ ხელში და ლერწს შევაშინებთ – მოვუენყავთ და მივაბამთ მერე;
ციცქას ჭირდება მოწკენტვა თვარ შევაშინეთ მუხში, ნაყოფს არ მოქ-
ვცემს და ამონაყარს დაკარქავს (ფუთი) (ძოწენიძე 1974).

ამ განმარტების მიხედვით, ვენახის მოხვევა (ახვევა, სარზე აკვრა)
ორი დამოუკიდებელი პროცესის შესრულებას მოითხოვს – მოკავებას
და მოწკენტვას. მოკავება ვაზის ლერწის მოღუნვას ნიშნავს,
სარზე მისაკრავად, მოწკენტვა – ლერწის მუხლში შესრესას,
მოუენყდვა მოწკენტვის სინონიმია (მოუენყდვა – ნედლი წნელის
დაგრება..., უენყდვა – ტრიალით გრება წნელისა) (ღლონტი 1984). ზე-
მოიმიერულში წკენტა მევენახეობის ლექიკის სპეციალური
ტერმინია.

მოწკენტვა ზმნის ზემოიმიერულში გამოვლენილი ეს მნიშვნელობები
(„მუხლში შესრესა“, „ტრიალით გრება“ ლერწისა) ბუნებრივად უკავშირ-
დება ქართული ენის აღმოსავლური დიალექტების სათანადო მონაცემებს:
წკენტა, მოწკენტა „წველა, მოწველა“, შდრ., გუდამაყრ. წკენ-
ტა „ცხვრისათვის ძუძუზე თითების მოსმა – რძის ჩამოსაშვე-
ბად“. მოწკენტა ზმნით გამოსატული მნიშვნელობები ზემოიმიერულსა
და აღმოსავლურ დიალექტებში ერთგვაროვან პროცესს გულისხმობს –
შესრესა (თითების ჩამოსმა) „ოლონდ რმოწკენტა ზმნის ობიექტებია

(დენოტატები) განსხვავებული: ზემოიმერულში – ვაზის ლერწი, აღმოსავლურ დიალექტებში – ძროხის, ცხვრის – ცური, ადამიანის – მუწუკი...

წკენტა ზმნური ფუძის ძირითადი მნიშვნელობაა „შესრესა“, „ტრიალით გრესა“ (რალაცისა) (ზემო იმ.), „თითების ჩამოსმა“ (რალაცაზე) (გუდამაყრ.), „ჩქმეტა“ (მოხ.). სხვა მნიშვნელობები – „მოწველა (ცხვრის, ძროხის)“, „გამოკუნესა“ (გამორწყვა მუწუკის) – ამ პროცესის შედეგის დაფიქსირებაა. ძირითადი მნიშვნელობის გათვალისწინებით, მოტივირებული ჩანს წკენტა, მოწკენტა ფუძეების ზემოდასახელებული სხვა მნიშვნელობებიც: მოხ. „ჩხვლეტა“; გადატ. „მოშორება, გაყიდვა“; ფშ. „ჩხვლეტა; ჩუმაღ ტკივილი“, ინგილ. „იარის ყრუ ტკივილი, თანაც ქავილი“, თუშ. „სნეკვასავით რაიმე ორგანოს ბწკენია ტკივილი“...

მნიშვნელობათა სხვაობა ზმნის მორფოლოგიურ და სინტაქსურ სტრუქტურაშიც აისახა: „მოწველის“ მნიშვნელობით ზმნა გარდა-მავალია: „ახლო არ მიკარეფს, რო ორიოდ წვეთი რძე ჩამოგწკენტო“ (ქართლ.) ობიექტური წყობის (ვინის რივის) ფორმები ამ ზმნას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ პირდაპირ ობიექტად ვინ ჯგუფის სახელი შეეწყობა.

გამკრავი, ყრუ ტკივილის მნიშვნელობით წკენტა ზმნა მხოლოდ ობიექტური წყობით გვხვდება; შდრ.: ხევს. ს-წკენტავს „პერიოდულად, ფეთქვის მსგავსად სტკივა (მაგ. თავი) (ჭინჭარაული 2005, 1088); აქ სუბიექტი (ქვემდებარე – თავი ან სხეულის სხვა ორგანო) სემანტიკურად რა ჯგუფის სახელი, ნაწილის როლში, ხოლო პირდაპირი ობიექტი (პირდაპირი დამატება) სემანტიკურად ვინ ჯგუფის სახელი (ნაცვალსახელი) მთელის როლში გვევლინება. ეს მიმართება ნაწილისა და მთელისა ბუნებრივად იწვევს ზმნის სუბიექტური წყობის სტრუქტურის ცვლილებას – ინვერსიას და გარდამავალი ზმნა გარდაუვალი, ინვერსიული, ოდენ ობიექტური წყობის, სტატიკური ზმნა ხდება:

მ-წკენტავს მე თავი

გ-წკენტავს შენ თავი

ს-წკენტავს მას თავი

აქ შეიძლება მთელის ნაწილი (თავი) დაიკარგოს :

სწკენტავს მას თავი > სწკენტავს მას.

ანალოგიური სემანტიკური და სტრუქტურულ-სინტაქსური ცვლილებები ფიქსირდება ჩხვლეტა ზმნაში, შდრ.:

ჩხვლეტა-ს... **გრძმ.** წვეტიანი საგნით წვრილად ხვრეტს (კანს, ქალღალდს და სხვ); წვეტიან რასმე ასობს, ურჯობს... „ხანდახან ისეთი ტკივილები დამივილის, ასე მგონია ლურსმნებით მიხვლეტენ მთელ სხეულს (ს. თავ...)... 2. (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) **გრძფვ. სტატ.** ჩხვლეტის მაგვარ ტკივილს გრძნობს სხეულში. გვერდში მიხვლეტს.

ჩხვლეტავ-ს... „ყოველ ამოსუნთქვაზე [ფერდში] რალაცა მიხვლეტავდა“ (ქეგლ VIII).

რამდენიმე სიტყვა წკენტ– ფუძის მორფოლოგიური რაობის შესახებ: „სახელზმნური ფუძეების ლექსიკონში“ (1991) წკენტა წარმოდგენილია როგორც სმოვანმონაცვლე ზმნური ფუძე: წკენტ- / წკინტ-, თუმცა თავად ამ ლექსიკონის წყარო – ქეგლი, ამ ინფორმაციას არ ადასტურებს, წკინტ- ფუძე აქ არაა დამოწმებული (ქურდაძე 2005, 176-177).

წკენტ- ფუძის სმოვანმონაცვლეობის ვერსია ეყრდნობა სტ. მენტემაშვილის 1943 წელს ალგეთის ხეობაში ჩაწერილ მასალას: მასალაში ვნებთის ფორმა იწკინტება – ცოტას იწველის ილუსტრაციის გარეშეა დამოწმებული; განმარტება არაა ჩასმული ბრჭყალებში, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს განმარტება არ ეკუთვნის ინფორმატორს, არ ახლავს ჩაწერის ადგილის (სოფლის) მითითება, რაც იმას გვეუბნება, რომ სიტყვა ყველა სოფელშია დადასტურებული“ (მენტემაშვილი 1970, 252).

ე.ი. იწკინტება ფორმა ამ ხეობის მეტყველებისათვის ჩვეულებრივი ყოფილა. ჩამოწკენტ-ს – ძლივძლივობით ჩამოწველის (ფარცხ.) დამოწმებისას კი სტ. მენტემაშვილს ჩაწერის ადგილიც აქვს მითითებული – ფარცხისი; ეს გვამცნობს, რომ ჩამოწკენტა არც ისე ხშირად ხმარებული სიტყვა ყოფილა ამ ხეობისთვის. გვეჩვენება, რომ აქ რალაც შეუსაბამობაა „იწკინტება“ და „ჩამოწკენტს“ ფორმათა გავრცელების სიხშირის თვალსაზრისით. სხვათა შორის, თ. სალარიძის მონოგრაფიაში „ალგეთის ხეობის ქართლური“ (1978) ფუძემონაცვლე ზმნების განხილვისას წკენტა ზმნა არაა დასახელებული, თუმცა, შესაძლოა იმიტომაც, რომ წიგნში მესაქონლეობის დარგობრივი ლექსიკა შეტანილი

არ არის და, შესაბამისად, არც ამ დარგში სმარებული ზმნური ლექსიკის გრამატიკული ანალიზია წარმოდგენილი.

ორიოდე სიტყვა 1943 წელს ჩატარებული დიალექტოლოგიური ექსპედიციის შესახებ: ექსპედიციის მიზანი არა სიტყვის ფორმების, არამედ საბას ლექსიკონში დაფიქსირებულ სიტყვათა მნიშვნელობის შემოწმება იყო. ეს შემოწმება ჩაკითხვით ხდებოდა (მენტემაშვილი 1970, 251). საბასთან კი მხოლოდ არახმოვანმონაცვლე წკენტა ფუძე დასტურდება.

ქართლური დიალექტის სხვა ლექსიკონებში დამოწმებული ფორმები წკენტა ზმნისა, ყველა არახმოვანმონაცვლეა: ძროხა მოწკენტე, ცოტალა იწკენტება... (იხ. ზემოთ); მოხეურშიც წკენტ - ფუძე, შეიძლება ითქვას, რომ არახმოვანმონაცვლეა; წკინტ - ხმოვანმონაცვლე ფუძე მოხეურში ერთადერთი ილუსტრაციითაა წარმოდგენილი და აქ მას აქვს არა „მოწველის“, არამედ „ჩქმეტის“, „ჩხვლეტის“ მნიშვნელობა: „მკლავზე მიწკინტა“ (ქეთარაძე 1985, 380); გამორიცხული არ არის, რომ ასეთი ერთეული შემთხვევა წკენტ - ფუძის ხმოვანთმონაცვლეობისა სინონიმური ხმოვანთმონაცვლე ჩქმეტს - უჩქმიტა, ჩხვლეტს - უჩხვლიტა ზმნათა სტრუქტურული ანალოგიის შედეგი იყოს. ასეთი შემთხვევები - არახმოვანთმონაცვლე ფუძეების ხმოვანთმონაცვლედ გარდაქმნა სხვაც დასტურდება: ჩეკს - გამოჩეკა, მაგრამ: „მერე გამოშჩიკამს წიწილებსა“ (ქართლ. 1977, 166) (ქურდაძე 2005, 35).

ინგილოურში, სადაც წკენტა ზმნას სხვა მნიშვნელობა აქვს: წკენტუაჲ „იარის ყრუ ტკივილი“, ფუძე ასევე არახმოვანმონაცვლეა: წკენტავს, იწკენტა, უწკენტნი, ნაწკენტ (როსტიაშვილი 1978).

ჩვენი დასკვნა ასეთია: წკენტა ქართულში არახმოვანმონაცვლე ზმნაა. ფუძის ამოსავალი მნიშვნელობა დაცულია ზემოთხსენებულში: წკენტა - „შესრესა“; „ტრიალით გრესა“, მოხეურში: წკენტა - „ჩქმეტა“; გუდამაყრულში: წკენტა - „თითების მოსმა“... წკენტა ზმნის სხვა მნიშვნელობები - „მოწველა“, „ძალად მოწველა“ (ძროხისა, ცხვრისა), „მოწკენტა (გამორწყვა) მუწუკისა“, „შეგრძნება ყრუ ტკივილისა“ - ზმნის ფუძეში მომხდარი სემანტიკური და სტრუქტურულ-სინტაქსური ცვლილებების შედეგია. თავისი მნიშვნელობებით წკენტ - ფუძე ქარ-

თულში დარგთაშორის (მესაქონლეობის, მევენახეობისა და სამედიცინო დარგის) ტერმინად გვევლინება.

ქართული წკენტ- ზმნური ფუძის შესატყვისად გვესახება მეგრ. წკიტონ- : წკიტონუა, წკიტონაფა – ЩИПНУТЬ... (ყოფშიძე, 1914, გვ. 381).

წკიტონუა – ბწკენა (ჭარაია 1997), წკიტონი – ბწკენა, წკიტონაფა – ჩქმეტა, პწკენა, წიწკენა... (ელიაფა 1997). ფერი მუწკიტონუე, ნაწამალა ჩხომიცალო გენწკაყოთუ – ისეთი უპწკინა, მოწამლული თევზივით წამოაგდო. II გადატ. წართმევა, წაგლეჯა. ხეშე გევოწკიტონი – ხელიდან წავვლიჯე (ავაფცქენი) (ქაჯაია III, 2002).

ფონეტიკური შესატყვისობა შესაპირისპირებელ ქართულ და მეგრულ ფუძეებს შორის ფუძისეულ სმოვნებში აისახება: ქართ. ე (წკენტ-): მეგრ. ი (წკიტონ-). შესატყვისობა ქართ. ე : მეგრ.-ლახ. ი პოზიციურია, რომელიც დენტალურ და ალვეოლარულ თანხმოვანთა წინა პოზიციაში რეალიზდება: ქართ. დედ-ა : მეგრ.-ლახ. დიდ-ა, ქართ. ვენახ-ი : მეგრ.-ლახ. ბინეხ-ი, ქართლ. პენტვა : მეგრ. პინტუა... (მელიქიშვილი, 1975, გვ. 122-128). თანხმოვნებს შორის შესატყვისობა ქართულ და მეგრულ ფუძეებს შორის იდენტურია. განსხვავება ქართულისა და მეგრულის ფუძეებში იდენტურ თანხმოვანთა აუსლაუტის მიმდევრობაში გამოვლინდება: ქართ. წკენტ : მეგრ. წკიტონ-. მეგრული წკიტონუა ქართულისათვის წკენტ- ფუძეს არ გულისხმობს.

მეგრ. წკიტონ- (წკიტ-ონ-უ-ა) ფუძის შესატყვისად ქართულში რეალიზებული წკენტ- (წკენტ-ა) და გუდამაყრ. წკენტ- (წკენტ-ა) სინტაგმატური მოდელეები ფონეტიკური შესატყვისობის თვალსაზრისით ღირებული ვერ იქნება:

ქართ. წკენტ- ფუძის შესატყვისად მეგრულში ამავე ან მსგავსი მნიშვნელობის წკანტ- წკანტ-უ-ა (ქართ. ე : მეგრ. ა შესატყვისობით) უნდა გვქონდეს, შდრ.: ქართ. კენკ- კენკ-ვ-ა მეგრ.-ლახ. კანკ-უ-ა „დეჭვა“, „კეპვა“, „დანაყვა“... (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 269); წკენტ- ფუძის შესატყვისად მეგრულში დასაშვებია *წკინტ- *წკინტუა ფუძეც (ქართ. ე : მეგრ. ი პოზიციური შესატყვისობით). შდრ., ქართ. პენტ- პენტ-ვ-ა: მეგრ.-ლახ. პინტ- პინტ-უ-ა „პენტვა“, სვან. პენტ-

ლიპენტ-ე „პენტვა“ (კლიმოვი 1988, 20; კლიმოვი 1998, 148). ქართ. ღვენთ- დაღვენთ-ებ-ა: მეგრ. ღვანთ- დო-ღვანთ-აფ-ა: სვან. ღჷენტ- ღუენტ-ილ „წვეთი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 509).

ეგვეე წკიტ- ფუძე გვექნებოდა მეგრულში ქართ. (გუდამაყრ.)
წკენტ- ფუძის შესატყვისად. ოლონდ ფუძის **ინ** მიმდევრობა ამ შემთხვევაში ამოსავალი **წ** სონანტის რეფლექსი იქნებოდა, შდრ., ქართ. **ბღნიჯ-** / **ბღნიჯ-** ბღნიჯ-ა: მეგრ. ღინჯგ- იღინჯგინ-ან-ს „იღრიჯება“ (გიგინიეშვილი, 1979, 80; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 128); ქართ. **წნეს/წნის-** : მეგრ.-ლაზ. ჭინას- ო-ჭინას-უ „საწნახელი“, „წნება“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 671).

ვფიქრობთ, რომ ქართ. **წკენტ-ა** : მეგრ. წკიტ-ონ-უ-ა ზმნური ლექსე-მებისათვის ამოსავალი **წკენტ-ა** უნდა იყოს, CCVC სტრუქტურის **წკებ-** ძირეული მორფემითა და ბოლოკიდური **წ** სუფიქსით.

წ ძირეული ელემენტი ვერ იქნება, რადგან მეგრული ფონოტაქტიკის მიხედვით ჩქამიერთა მომდევნოდ სონორი არ გვხვდება (გუდავა, გამყრელიძე 1981, 230). თუ მსესხებულ ენაში თანხმოვანთა ასეთი მიმდევრობა გვაქვს, მეგრული მისთვის დაუშვებელ კომპლექსს მეტათეზისის საშუალებით დაძლევეს; შდრ., ქართ. **ოღნავ** > მეგრ. **ონღეთ...**

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ რიგის სხვა ზმნებშიც ბოლოკიდური **წ** სუფიქსურ ელემენტადაა მიჩნეული, შდრ.:

ქართ. კრტ-/კორტ- და-კრტ-ნ-ა; კორტ-ნ-ა : მეგრ.-ლაზ. კირტ- კირტ-ონ-უ-ა : სვან. კვრტ- / კირტ- ლი-კვრტ ნე „კორტნა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 293-294).

ქართ. ბრტყენ-ა (ძვ. ქართ. ბრტყენ-ა) : მეგრ. ბურტყონ-უ-ა და ა.შ. (იქვე, 120).

ქართ. ღრღნ-ა : მეგრ. ღირღონ-უ-ა (იქვე, 519-520)

ქართ. ძიძგნ-ა : მეგრ. ძვიძგონ-უ-ა (იქვე, 617)...

ამგვარად:

ქართ. წკენტ-ა (< **წკენტნა**) : მეგრ. წკიტონ-უ-ა

საერთოქართველური (საერთო ქართულ-ზანური) არქეტიპის აღდგენა სათანადო ზმნათა აუსლაუტში ქართ. ნ და მეგრ. ონ ელემენტების სარ-წმუნო კვალიფიკაციაზე იქნება დამოკიდებული.

ლიტერატურა:

- ბერიძე 1981:** გრ. ბერიძე, ჯავახურის სალექსიკონო მასალა, თბილისი.
- გიგინეიშვილი 1979:** ბ. გიგინეიშვილი, ეტიმოლოგიური დაკვირვებანი ქართველურ ენებში; „მაცნე“ (ენისა და ლიტ. სერია), 1, თბილისი.
- გუდავა, გამყრელიძე 1981:** ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმოდან-თკომპლექსები მეგრულში, კრებ. აკაკი შანიძეს, თბილისი.
- ელიავა 1997:** გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები), მარტვილი-თბილისი.
- კაიშაური 1967:** ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი.
- კლიმოვი 1998:** G. Klimov, Etymological Dictionary of the Kartvelian Languages, Mouton de Gruyter, Berlin: New York.
- მენტეშაშვილი 1943:** სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი.
- როსტიაშვილი 1978:** ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბილისი.
- საბა I 1991; II 1993: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991, ტ. II, 1993, თბილისი.
- სალარიძე 1973:** თ. სალარიძე, ალგეთის ხეობის ქართლური, თბილისი.
- სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი 1991:** გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია, ქართული ენის სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბილისი.
- სახლთხუციშვილი 2003:** უ. სახლთხუციშვილი, გარეკახური ლექსიკონი, თბილისი.
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000:** პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ფოჩხუა 1974: ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.
ქავთარაძე 1985: ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი.

ქართლ. 1977: გ. იალამიდი, ატენის ხეობის ქართლური, კრებული „მეგზური“, 4, თბილისი.

ქართლ. 1981: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბილისი.

ქაჯაია II, III, 2002: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, III, თბილისი.

ქეგლ 1950-1964: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი.

ქურდაძე 2005: რ. ქურდაძე, სმოვანმონაცვლე ზმნები თანამედროვე ქართულში, თბილისი.

ღლონტი 1984: ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, II გამოცემა, თბილისი.

ყიფშიძე 1914: И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, С.-Петербург.

შანიძე I 1984: ა. შანიძე, მთის კილოთა ლექსიკონი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, ქართული კილოები მთაში, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1984: დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1961: ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანებით, თბილისი.

ცოცანიძე 2002: გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი.

ძოწენიძე 1974: ქ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბილისი.

ჭარაია 1997: პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, 2, თბილისი.

ჭინჭარაული 2005: ა. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.

ხორნაული 2000: გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბილისი.

ხუბუტია, 1969: პ. ხუბუტია, თუშური კილო, თბილისი.

Murman Sukhishvili

On one interdisciplinary term Summary

The meanings of the Georgian polysemic word ***ts'kenta (mots'kenta)*** are as follows:

'to use some force for yielding milk', 'to squeeze out a pimple', 'to pinch', 'to rub vine down before staking' and 'to suffer gnawing pain'.

The original meaning of this verbal stem has been preserved in the Gudamakari sub-dialect, 'stroking down sheep's udder with a finger for yielding milk' as well as in the Mokhebian word for pinching and in Upper Imeretian sub-dialect (a word for rubbing vine down before staking). The other meanings (using some force for yielding cow's or sheep's milk, squeezing out a pimple, and suffering gnawing pain) are the results of the semantic and structural-syntactic changes occurred in the stem of the verb. Considering its meanings the word ***ts'kenta*** appears to be an interdisciplinary term in Georgian used in stock-breeding, viticulture and medicine.

The correspondence of the Georgian verb ***ts'kenta (mots'kenta)*** is ***ts'kitonua*** (to pinch) in Megrelian.

**უფალ-ის და ღმერთ-ის
ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანი ქართულში**

ქართული დარგობრივ-თემატური ლექსიკის შესწავლა, მისი სემანტიკურ-ეტიმოლოგიური კვლევა, მრავლისმეტყველად წარმოაჩენს ქართველთა ნიშანდობლივ ეროვნულ ფსიქოლოგიას და ტრადიციებს, ჩვენი ეთნოსის ძველისძველ ქრისტიანულ საფეხურებს, რაც, თავის მხრივ, ქართული სიტყვის (resp. ქართული ენის) „სულის“ სფეროს განეკუთვნება.

ქრისტიანული მოძღვრების (კატეხიზისურის, ლიტურგიკულისა და დოგმატურის) საკვანძო მნიშვნელობის მქონე ქართული ლექსიკის საგანგებოდ წარმოებული ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი ახალი კუთხით წარმოაჩენს ამ ლექსიკის საღვთისმეტყველო-ენობრივ არჩევანს.

ამჯერად მივმართავთ ქართულ **უფალ**-ს და **ღმერთ**-ს ვითარცა საწყის, ამოსავალ ლექსებებს **ლექსიკურ-სემანტიკური ბუდისა** „**უფალი და ღმერთი**“.

ბუდეს შეადგენს **უფალ**-ის და **ღმერთ**-ის შემცველი, მათგან წარმოებული და ბუდის გარეთ არსებული შესაბამისი სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულები. სახელდება – **ლექსიკურ-სემანტიკური** – განპირობებულია ბუდის ფარგლებში წარმოებული კვლევის საგანგებო წესით, კერძოდ:

- ა) დგინდება ბუდის ლექსიკური მარაგი და მისი ოდენობა;
- ბ) განისაზღვრება ლექსიკური მარაგის სემანტიკური ველები (ბუდის გარეთ არსებული ამავე სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულების გათვალისწინებით);
- გ) იკვეთება ლექსიკური მარაგის მაგისტრალური სემანტიკური მიმართულებები;
- დ) კვალიფიცირდება ბუდის ლექსიკური პოლისემიურობა;

ე) წარმოჩნდება ამოსავალი ლექსიკური ერთეულის ან ერთეულების გვარ-სახეობრივი სემანტიკური რაობა, შესაბამისი ეტიმოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით.

ვ) ყოველივე აქედან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება ამოსავალი ლექსემების სავარაუდო არქესემანტიკის და მათი სემანტიკური განვითარების საფეხურების აღდგენა.

ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის ფარგლებში არსებული ლექსიკური მარაგის ამგვარი კვლევა სამი საანალიზო მიმართულებით ხორციელდება:

- 1) საკუთრივ ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი;
- 2) ინფორმაცია ამოსავალი ლექსიკური ერთეულის ან ერთეულების ეტიმოლოგიასა და სემანტიკურ დიაქრონიასზე;
- 3) შესაბამისი საღვთისმეტყველო მასალის მოხმობა ეკლესიის წმიდა მამათა თარგმანებაზე დაყრდნობით.

I. უფალი

1) ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი

✧ **უფალ-ის ლექსიკური მარაგი და მაგისტრალური სემანტიკური მიმართულებები:**

უფალ-ის ლექსიკურ მარაგს შეადგენს უფალ-ის შემცველი და მისგან წარმოებული, ასევე ბუდის გარეთ არსებული შესაბამისი სემანტიკის მქონე 140-ზე მეტი ლექსიკური ერთეული, რომლებიც გადალაწილდა 12 მაგისტრალური სემანტიკური მიმართულებით:

I. „**ზმციმრი ბატონი**“ – მეუფლე, მეუფე, მეფე, მმეფობი, თვთმფლობელი, უფალი ღმერთი; დედუფალი, დეუფალი, მეფვა, მეფია; ღმერთი, ძე ღმრთისა, თვთმყოფი, მაცხოვარი, მჟსნელი, ჯელმწიფე.

II. „**ზმციური ბატონობა**“ – მეუფლეობა, მეუფება, მეფობა, მეუფებრიობა, სამეუფოობა, სუფევა, სეფე; ჯელმწიფება, თვთმჟყრობელობა.

III. „**ზმციური სამფლობელო**“ – საუფლო, საუფლებელი, საუფლობა, უფლისამიერი, მეუფება, მეუფობა, მეუფებრი, მეფეული, სამეუფეო,

სამეუფო, სამეფო, სამეუფოობა, სამეუფებელი, სუფევა, სასუფეველი, სეფე, კელმწიფება.

IV. „**ზეპირნი**“ – უფლებანი, უფალანი.

V. „**ბატონ-პატრონი**“ – უფალი, უუფლო, უუფლჭსი, სახლისა უფალი, უფალა, დეფუფალი, დედოფალი დეუფალი, დიოფალი, დიოფალ-თდიოფალი, შვილის უფალი, კელისუფალი, კელთუფალი, ჭირისუფალი, ნაუფლარი, უფლისწული, საუფლისწულო, უფლის-მოყუარე, უფლებული, მეუფლე, მეუფე, მეფე, მეფისაჲ, მეფა, მეფეა, მეფობა, მმეფობი, მფლო-ბი, მფლობელი, თვთმფლობელი, მამფალი, სეფე, სეფეობა, სეფობა, სე-ფეშვილი, სეფეწული, სეფეთუხუცესი, სეფეთმწიგნობარი, სეფე აზნაურნი; მპყრობელი, კელმწიფე, საკელმწიფო, ბატონი, პატრონი, თვთმპყრობელი.

VI. „**ბატონპატრონობა**“ – უფლო, უფლება, უფლობა, უფლე-ბული, უფლებულიება, უფლებულიობა, მეუფლეობა, გაუფლება, დაუფ-ლება, უფალ-ყოფა, კელისუფლება, ფლობა, ფლობილება, მფლობელო-ბა, თვთმფლობელობა, მეუფება, მეუფობა, მეფობა, მეფება, მეფე-ყოფა, მეფეყოფილი, მეფემყოფელი, სამეუფოობა, სასუფეველი, სუფევა, სეფე, სასეფო, სეფეობა, სეფობა; ბატონობა, კელმწიფება, კელმწიფობა, მპყრო-ბელობა, თვთმპყრობელობა, კელი, კელმწიფება-ყოფა, კელ-წიფება, ნება.

VII. „**სამეფო-საბრძანებელი**“ – უფლება, მეუფება, მეუფობა, მე-ფეული, სამეუფეო, სამეუფო, სამეფო, სამეუფოობა, სამეუფებელი, სეფე, სეფედარბაზი, სეფეტახტი, სეფედროშა, სეფეპური, სეფესანთელი, სეფის-კუერი; საკელმწიფო.

VIII. „**წარჩინებული და წარჩინებულობა**“ – თავისუფალი, უფ-ლისწული, სეფე, სეფეობა, სეფობა, მესეფე, სასეფო, სეფური, სეფეწული, სეფეწულობა, სეფექალი; ნახარარი.

IX. „**ხელობა-თანამდებობა**“ – კელისუფლება, კელისუფლობა, პუ-რის(ა)უფალი, ჭირისუფალი, ჭირისუფლობა, მკედართმფლობი, მკედარ-თმფლობელი, მკედართმფლობელობა, სეფექალი, სეფის-ღება, სეფის-ცემა; ჭირისპატრონი.

X. „**რაზვარობა, ვინაობა**“ – უფლისწული, უფლის თვალი, თავი-სუფალი, თვთუფალი, თვთუფლება, ჭირისუფალი, ჭირისუფლობა, უფლის

ხე, სეფე, სეფეობა, სეფობა, მესეფე, სასეფო, სეფური, სეფეწული, სეფეწულობა, სეფექალი.

XI. „თავისუფალი“ – თავისუფალი, უუფლო, თვთმფლობელი, თვთმფლობელობითი, უმეუფოა, უმეფოა თვთველმწიფე, ნებიერი, ნებე-ბითი, აზნაური, აზნაურებითი, უაზნო, თარხანი.

XII. (ბან)თავისუფლება – თავისუფლება, თავისუფლობა, თავისუ-ფალ-ყოფა, თავისუფალ ქმნა, თვთმფობელობა; თვთველმწიფება, აზნაუ-რება, აზნაურობითი.

უფალ-ის 12 მაგისტრალურ სემანტიკურ მიმართულებათაგან ურთი-ერთდაპირისპირებულ პარადიგმას შეადგენს:

„საკუთრივ უფალი ღმერთის, ყოველივე ზეციურის“ სემანტიკის მქონე პირველი ოთხი (I.–IV.) მიმართულება <—> „მაღალი წოდების, ძალა-უფლების, პატივის, ქონების მფლობელის“ სემანტიკის მქონე შემდგომი ექვსი (V.–X.) მიმართულება.

ამ პარადიგმის გარეთ რჩება ცალკე მდგომი ორი სემანტიკური მიმარ-თულება: **XI. „თავისუფალი“** და **XII. „(ბან)თავისუფლება“**.

უკიდურესად მინიმალურია კომპოზიტური წარმოება ქართული **უფალ**-ისა, რომლის 94 სემანტიკური ველის 85%-ზე მეტი ე. წ. „საწუ-თისოფლოს“ სემანტიკის შემცველია და მხოლოდ 15%-ზე მოდის „ყოვე-ლივე ზეციურის“ სემანტიკა.

✧ **უფალ**-ის ლექსიკური მარაგის სემანტიკური ველები:

უაღრესად საეგულისხმოა **უფალ**-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის ლექსიკური მარაგიდან აღმოცენებული სემანტიკური ველის სპექტრი: გა-ნისაზღვრა **98** დამოუკიდებელი სემანტიკური ველი:

„უფალი“	„ამქვეყნიური მეფე“	„პატრონი“	„განმგებელი“
„ღმერთი“	„ამქვეყნიური დედოფალი“	„პატრონი (კაცი)“	„განმგებლობა“
„უფალი ღმერთი“	„უფლისწული“	„პატრონი ქალი“	„თანამდებობის პატრონი“
„ქრისტე“	„მეუფე“	„პატრონი ვაჟი“	„სარდლობა“
„უზენაესი მფლობელი“	„მეფე“	„შვილის პატრონი (მამა)“	„უფროსი“
„დაამბადებული“	„ხელმწიფე“	„პატრონობა“	„წარჩინებული“
„შემოქმედი“	„ამქვეყნიური მეუფება“	„დაპატრონებული“	„წარჩინებულობა“
„ზეციერი მეუფე“	„ამქვეყნიური მეფობა“	„პატრონის მოყვარე“	„თანამდებობა“
„ზეციერი დედოფალი“	„გამეფება“	„პატრონის შვილისთვის განკუთვნილი“	„კეთილშობილი“
„ზეციური მეუფება“	„სამეფო“	„უპატრონო“	„ხელობა“
„ზეციური მეფობა“	„სამეფო კარი“	„ფლობა“	„ხელობის მცოდნე“
„ზეციური ბატონობა“	„სამფლობელო“	„მფლობელობა“	„ჯვარის მეთაური, სარდალი“
„სუფევა“	„სამეუფეო (სახლი)“	„უფლება“	„თავისუფალი“
„სამეუფეო“	„მეფური“	„ძალაუფლება“	„(გან) თავისუფლება“
„ზეციური სამეფო“	„საბრძანებელი (მეფისა)“	„ძალაუფლების მქონე“	„ჭირისუფალი“
„უფლისა (ღმერთისათვის განკუთვნილი)“	„სასახლე“	„დაუფლებული“	„ჭირის პატრონი“
„საღმერთო“	„გამმეფებელი“	„თვითმფლობელი“	„ჭირისპატრონობა“

„ღვთიური“	„გამეფებული“	„შეძლება“	„მოამაგე“
„საუფლო“	„ბატონი“	„ნება“	„მგლოვიარე“
„საუფლო პური“	„ბატონობა“	„ნების მიცემა“	„მგლოვიარობა“
„სასუფეველი“	„გაბატონობა“	„სუფრის თავი, მასპინძელი“	„კადნიერი“
„საიქიო ცხოვრება“	„ბატონის მამული“	„მთავარი“	„კადნიერება“
„ანგლოზთა დასი“	„საბატონო“	„ხელისუფალი“	„ძალიან ლამაზი“
„მფარველი ანგლოზი (ბავშვისა)“	„ბატონის მოყვარე“	„მფლობელი“	„მქონებელი“
„მბრძანებელი“	„ფეოდალური“		

❖ **“უფალ-ის ლექსიკური პოლისემიურობა:**

უფალ-ის ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში არსებული ლექსიკური მარაგის თითქმის ორი მესამედი პოლისემიურია. მათგან პოლისემიურობის მაღალი სიხშირით გამოირჩევა:

საკუთრივ **“უფალ-ი** 15 ლექსიკური მნიშვნელობით („უფალი“, ღმერთი“, „უფალი ღმერთი“, „ქრისტე“, „ზეციერი მეუფე“, „უზენაესი მფლობელი“, „დამბადებელი“, „შემოქმედი“, „ბატონი“, „პატრონი“, „პატრონი ვაჟი“, „მფლობელი“, „მქონებელი“, „მბრძანებელი“, „ფეოდალი“);

13-13 ლექსიკური მნიშვნელობით – **სუფევა და მეუფება;**

12-ით – **სამეუფოობა,**

11-11-ით – **უფლება და მეუფობა,**

9-9-ით – **მეუფე და მეფობა,**

7-7-ით – **სამეუფეო, სამეუფო და სამეფო,**

6-6-ით – **მფლობელობა, სასუფეველი, მეფე, მეფეული და უზენაესი მფლობელი და ა. შ.**

2) უშალ-ის ეტიმოლოგიური ინფორმაცია და სემანტიკური განვითარება

◇ უშალ-ის ეტიმოლოგიური ინფორმაცია:

I. *უფ- // *უფ + -ალ (ნ. მარი, ს. ჯანაშია, რ. გორდეზიანი);

II. *უფ- // *ფ- + -ალ (ფენრიხი-სარჯველაძე 2000);

III. *ფ- (ვ. თოფურია, გ. მაჭავარიანი, თ. უთურგაიძე);

IV. *ფალ/ფელ- (სოსელია 2006).

წარმოდგენილი აღდგენილი ფორმებისათვის უთითებენ არქესემანტიკას „ფლობა; ქონა-ყოლა“, რის დასტურადაც უთითებენ ზან. მა-ფ-უნ, გა-ფ-უნ „ქონა, ყოლა“.

V. *უფ- > *(ს)უფ- > სუფევა – არქესემანტიკით: „მყოფობა, არსებობა“ > „ფლობა; ქონა-ყოლა“ (არნ. ჩიქობავა).

კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება უფალ-ის თავკიდური უ-ს თავდაპირველი ფუნქცია და მნიშვნელობა. გამოთქმულია ვარაუდი, რომ უ- უნდა იყოს უქონლობის ან უარყოფის მაწარმოებელი, რომელიც გვაქვს მსგავსი წარმოების ძვ. ქართ. უ-მწყი „გაუხედნავი“, ასევე უ-რჩი, უ-შრეტი, უ-ლევი, უ-კვადვი. აქედან გამომდინარე, აღადგენენ ქართული უშალ-ის (< *უ-ფალ-) თავდაპირველ მნიშვნელობას:

„ის, რისი (ვისი) ფლობაც შეუძლებელია; რაც (ვინც) მიუწვდომელია და დაუუფლებელია, თავად არის ყველაფრის მფლობელი“, საიდანაც უშალ-მა მიიღო დღევანდელი მნიშვნელობანი: „უზენაესი მფლობელი“ და „მფლობელი“ (სოსელია 2006, 62-63).

ამგვარად წარმოებული უშალ-ი, უარყოფისა თუ უქონლობის სემანტიკით, ემსგავსება უზენაესის საღმრთო სახელებს: უარსებო, უჟამო, დაუსაბამო, უსასრულო, შეუქმნელი, უნიეთო, უსხეულო, უვნებო, უცვლელი, უხილავი და სხვა, რომლებითაც, წმიდა იოანე დამასკელის განმარტებით, გამოიხატება უზენაესის მიუწვდომლობა, მისი შეუცნობლობა, ზეარსობა, ყოველთას და ყოველივეს ზეაღმატებულობის შინაარსი. წმიდა მამა ამ საღმრთო სახელების განმარტებისას საგანგებოდ აღნიშნავს:

„საღმრთო სახელთაგან ნაწილი უკუთქმითად ითქმის, რაც ცხადყოფს ღვთის ზეარსულობას, როგორც, მაგალითად: უარსებო, უჟამო, დაუსაბამო, უხილავი. ასე იწოდება იგი არათუ იმიტომ, რომ რაიმეზე ნაკლებია ან რაიმეს მოკლებულია (რადგან მისი არის ყოველივე და მისგან და მის მიერ შეიქმნა, და მასში შემყარდა იგი), არამედ იმიტომ, რომ ზეაღმატებით გამიჯნულია ყველა არსისგან. არსთაგან არაფერი არ არის იგი, არამედ უზემოესია ყველაფრისა“ (დამასკელი 2000, 337).

თუმცა ასევე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ოდინდელი უფროობითის უ- თავსართით გამოიხატა ყოველთა და ყოველივეს მყოლისა და მქონის უზემთაესობა: უზალ(ი) < *უ-ფ-(ალ)- „ყოველივეს და ყოველთა უზენაესი მეუფლე, მქონი და მყოლი; ზეციერი მეუფლე“.

✧ უზალ-ის სემანტიკური საფეხურები:

* უზალ- --->

---> *„ყოველთა და ყოველივეს უზენაესი მეუფლე, მფლობელი (მქონი, მყოლი)“ --->

---> *„ყოველთა და ყოველივეს ზეციერი ბატონი და პატრონი“ --->

---> „ყოველთა და ყოველივეს ზეციერი მეუფე“

---> „ღმერთი“

II. ღმერთი

1) ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი

✧ ღმერთ-ის ლექსიკური მარაგი და მაგისტრალური სემანტიკური მიმართულებები:

ღმერთ-ის ლექსიკურ მარაგს შეადგენს ღმერთ-ის შემცველი და მისგან წარმოებული, ასევე ბუდის გარეთ არსებული შესაბამისი სემანტიკის მქონე 220-ზე მეტი ლექსიკური ერთეული, რომლებიც გადალაწილდა 8 მაგისტრალური სემანტიკური მიმართულებით:

I. „**ჰეცირი, უფალი ღმერთი**“ – ღმერთი, უფალი ღმერთი, სამება ღმერთი, ძე ღმერთი, ძე ღმრთისა, ღმერთ-მამაკაცი, ღმერთაკი, სულიწმიდა ღმერთი, წმიდა სული, სული ღმრთისა, ღმრთაება, ღმრთება, ღმრთეება, ღმერთ-მთავრობა, ღმერთ-მთავრობა, ღმერთმთავრობით; ღმრთის-მშობელი, დედა ღვთისა, სძალი ღვთისა; სამება, წმიდა სამება, სამწმიდა, სამებით დიდებული, სამებისაგანი; უფალი, იესო ქრისტე, მაცხოვარი, მკვნიელი, თავადი, მწყემსი, მოძღვარი, მასწავლებელი; სულიწმიდა, სულიწმინდა; თვთმფლობელი, თვთმყოფი; ზეციერი, უზენაესი, შემოქმედი, დამბადებული, გამჩენი, მეუფე, კელმწიფე.

II. „**ანგელოზი, სატ-ჯვარ-ანგელოზი, დღესასწაული**“ – ფშავ. ღვთის[ს]შვილები, ღვთის[ს]შვილნი, ღვთის შვილ(ნ)ი „ხატები, სალოცავები“; **ხეცს.** ხვთისშვილი, ხვთისშვილობა, ხთისნაბადები, ხთისნასახი; ხთის იასაული „ანგელოზი“; სახ[ვ]თო, სახმთო, სამხთო, სამლთო – „ჯვრის ეპითეტები“; ღმრთის-გამოჩინება, ხთისკრობა.

III. „**კერპთა ღმერთი**“ – ღმერთი, ღმერთა „ზღაპრულად კერპთმსახურთ მღვდრი ღმერთთა“ (ჩუბინაშვილი 1971), ღმერთაკი, ღმერთანი, ღმერთობა, ღმრთება, ღმრთეება, ღვთაება; მრავალღმერთი, მრავალღმრთეება, სულეთის ღმერთი; კერპი.

IV. „**ღვთის კუთხნილება (შესაფარი)**“ – საღმრთოეკერძოა, საღმრთოა, საღმთოა, სამღრთოა, საღმერთო, საღმრთო, საღვთო „სამღვდელო“ (ჩუბინაშვილი 1988), სამღვთო, სამლთო, საღვთო, საღმრთო-სამჯედრო, სამლთო-სამჯედრო, საღმრთო-საერო, სახ[ვ]თო, სახმთო, სამხთო, სამხ[ვ]თო, სამლთო, საღმრთობა, ღმრთისამიმართი, ღმრთისამიერი, ღმრთისამიერობა; ხთის საუფლო.

V. „**ღმერთად ქცევა**“ – ღმერთობა, ღმრთობა, განღმრთობა, განღმრთობილი, გაღმერთება, გაღმერთებული, ღმერთ-ყოფა, ღმერთყოფელი, ღმერთ-ქმნა, ღმერთქმნულება, ღმერთ-ქმნილი, ღმერთშემოსილი.

VI. „**თვისება-რაგვარობა**“ – ღმრთებრ(ი), ღმრთებრიობა, ღმერთმთავრობით(ი), ღმრთშემოსილი, განღმრთობილი, ღმრთივღმართებუელი, ღმრთივღმართული, ღმრთივგანათლებული, ღმრთივგანბრძნობილი, ღმრთივგანუყოფელი, ღმრთივგატიოსანი, ღმრთივდამყარებული, ღმრთივ-

მორთული, ღმრთივდანერგული, ღმრთივდაცული, ღმრთივგამორჩეული, ღმრთივსულიერი, ღმრთივსწავლული, ღმრთივქადაგებული, ღმრთივქმნული, ღმრთივშეკრებული, ღმრთივშემოსილი, ღმრთივშემწყნარებელი, ღმრთივშუენიერი, ღმრთივშუენიერად, ღმრთივცხებუელი, ღმრთისაგანი, ღმრთისებრ, ღმრთისსწავლული, ღვთის გარეგანი, გარეგანი, ღვთიერეგანი, ღმრთის-მობაძავი, ღმრთის-მბრძოლი, ღმრთისმოლაღე, ღმრთისმოყუარე, ღმრთისმოშიში, ღმრთისმოძულე, ღმრთისმსახურებისმნებელი, ღმრთისსული, ღმრთისშემწყნარებელი, ღმრთისშემოსილი, ღმრთისშემწყნარებელი, ღმრთისშუენიერება, ღმრთისშუენიერად, ღვთიემიმაღლებული, ღვთიესანატრელი, ღვთიემადლიერი, ღვთივალმენებული, ღვთის საძაგელი, ღვთისა სათნო, უღმერთობა, უღმერთო, უღმერთ(ე)ბა, უღმთო, უღმრთისმოყუარე, უღმრთისმოყუარესი, უღმრთისმსახურესი, უღმთობა, უღმთოვება, უღმრთოებისაებრ, უღმერთო, უღმერთობა, უღვთო, უღთო, უღთობა, უღთოდ. **ხეცს.** ღვთის მტერი, ღმერთსთან წილნაყარი, ხთიანი, ხთისშვილიანი, ხთის გაცემული, ხთის რისხვის ნაწინწელი, ხთის ცოდვილი, ღმერთის გაჩენილი.

VII. „**რაობა-ჰინაობა**“ – ღმერთმთავრობა, ღმრთივშუენიერება, ღმრთივ(მო)წოდებულობა, ღმრთივგუკუგნოსანი, ღმრთივწერილი, ღმრთისგანმეგებულობა, ღმრთის-გამოჩინება, ღმრთის-კადრება, ღმრთისმბრძოლება, ღმრთისმბრძოლობა, ღმრთისმგალობელი, ღმრთისმგალობელობა, ღმრთის-მეტყუელი, ღმრთისმეტყუელებმა, ღმრთისმეცნიერი, ღმრთის-მეცნიერება, ღმრთისმოკიდული, ღმრთისმსახურება, ღმრთივმონიჭებულობა, ღმრთისმოყუარება, ღმრთისმოშიშება, ღმრთისმოსავეება, ღმრთისმოქალაქე, ღმრთისმტურთველი, ღმრთისმსგავსება, ღმრთისმქადაგებულობა, ღმრთისშემწყნარებულობა, ღმრთისმსახური, ღმრთისმშობელი, ღმრთისმწოდებელი, ღმრთისმხილველი, სამებისმგალობელი, სამებისმქადაგებელი, ღვთივგამომეტყუელი, ღვთის განგება, საღვთო მეთყუელი, ქადაგი ღვთისა, ღვთიესასწაული, საღვთო ნიში, დედა ღვთისა, სძალი ღვთისა, ღვთის მიმქმელი (სვიმეონ მართალი), საღვთისმშობლო, უღმერთოდ-ყოფა, ღვთისო//ხვთისო (ანთროპონიმი), **ხეცს.** ხთის-სულჩადემული, ხთის ბრძანება, ხთის დადგემული ტაბლა, ღმერთის

თანამდები, სთისდღისთავად, ღ(ვ)თის ეტლი, სთის ვალი, სთის კარი, სთის საწყინარი (საწყინო), ქვეყნიერი ღმერთი „კეთილმსახური მეფე“, სამების ჯევი (ტოპონიმი), სთიშობელა, **ქართლ.** ღმერთი „ცა“.

VIII. „**დალოცვა-მისალმება, ფიცი, შინიჭყმება**“ – ღმერთი ჩვენი მწყალობელი (< **ფსალმუნნი 114, 5**), ღმერთმანი (< **ღმერთმან იცის < 2 კორინთელთა მიმართ 11, 11**), თუ ღმერთი გწამს, ღმერთია? ღმერთო ჩემო! მადლობა ღმერთს! ღმერთია მოწამე, ღმერთი შეგეწიოს, ღმერთმა მოგხედოს, ღმერთმა შეგინდოს, ღმერთმა დაიფაროს, ღმერთმა გაშოროს, ღმერთმა ინებოს, ღმერთს გულისათვის, ღმერთმა ხელი მოგიმართოს; **აჭარ:** შენ (და) შენი ღმერთი, ღმერთი და შენი სული, ღმერთზე მიმიპირებია (მიმინდვია), **თუშ:** ღმერთმა გიშველოს, **ინგილ:** ღმერთი(ს)მა (< **ღმერთის მადლმა**), ღმერთი კარის ჭირიმენ! ღმერთი კარ გაღვევად, ღმერთი დღე „ყოველდღე ცისმარე დღე“; **მონ:** ღმერთს ჯელი არ შეეფარება; **ქართლ.** თავის ღმერთს გადაუდგება „სინდისზე ხელს აიღებს!“, **ხეც:** ღმერთმან(ი), ღმერთისმა(დლი)მ, ღმერთმა განებას! ღმერთიმც დაუმაღლებს, ღმერთს ებარებოდას, სთის მადლმ, სთის-მადლ, სთის წყალობა, ღმერთის დე-და გაუწყრების, სთის თვალთ არისხებს, სთის რისხვა გამახყვების, სთის (ღმერთის) ძალს ავსენებს, სთიშობელი მაუვ[ას], ღმერთის წყრომა ბრუნავს, ღმერთს გაუნაწყრომებს, ღმერთს უკლოობას სთხოვს, ღმერთმა ნუ თქვას, ღმერთმა შენ თავ ნუ გაგამართავს! ღმერთსამც ვინ გაღმარჯვებიყვას! ღმერთი აუშობს, ღმერთს შასწუდების, ღმერთს მონად შასწვდების.

თვალში საცემია **ღმერთი**-ის შემცველ კომპოზიტთა მაღალი სინშირე. **ღმერთი**-ის ლექსიკურ მარაგში ასეულზე მეტი კომპოზიტია: **ღმერთკაცი**, **ღმერთ-მამაკაცება**, **ღმერთმთავრობა**, **ღმერთმყოფელი**, **ღმერთქმნულებად**, **ღმერთივგანყოფილი**, **ღმერთივდაცული**, **ღმერთისმშობელი**, **ღმერთისმეტყუელი**, **ღმერთისმსახური** და სხვა; მაგრამ გაცილებით დაბალია **ღმერთი**-ისაგან წარმოებული პრადექტიულობა: **ღმერთება**, **საღმერთო**, **უღმერთო** და სხვა (იხ. და შდრ. I.–VII. მაგისტრალური სემანტიკური მიმართულებანი). ასევე შედარებით მცირე ჯგუფს შეადგენს **ღმერთი**-ის შემცველი დალოცვა-მისალმების, ფიცისა და სხვა ფრაზეოლოგიზმები: **ღმერთი ჩვენი**

მწყალობელი, ღმერთმანი, ღმერთს ებარებოდას, შენ და შენი ღმერთი, ღმერთიმც დაუმაღლებს და სხვა (იხ. და შდრ. VI.–VIII მაგისტრალური სემანტიკური მიმართულებანი).

ამისგან განსხვავებით, წინაუკმო ვითარება იქმნება **უფალ**-ის ლექსიკურ მარაგში, კერძოდ: **უფალ**-ის შემცველი ათიოდე კომპოზიტი მოგვეპოვება (**უფლისწული, უფლის-მოყუარე, დედუფალი, კელისუფალი, კვლთუფალი, ჭირისუფალი, პურის(ა)უფალი, თვთუფალი, თავისუფალი**); სამაგიეროდ, მრავალფეროვანია და უაღრესად მაღალია **უფალ**-ისაგან წარმოებულითა სისშირე (იხ. ზემოთ და შდრ. **უფალ**-ის მაგისტრალური მიმართულებანი).

ყურადღებას იპყრობს საკუთრივ **ღმერთ**-ის ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანი. კომპოზიტებში კომპონენტით **ღმერთ**-თითქმის უგამონაკლისოდ აღიბეჭდება „უზენაესი ღმერთის“ ან „ყოველივე ზეციურის“ სემანტიკა. იგივე სემანტიკაა შენარჩუნებული **ღმერთ**-ისგან წარმოებულითა მნიშვნელოვან ნაწილში, მაგრამ გაცილებით მცირეა ე. წ. „საწუთისოფლო (არაზეციურის)“ სემანტიკის შემცველ ლექსებათა ოდენობა. აქედან გამომდინარე, **ღმერთ**-ის მ მაგისტრალურ სემანტიკურ მიმართულებათაგან ურთიერთდაპირისპირებულ პარადიგმას შეადგენს:

„უზენაესი ღმერთის, ყოველივე ზეციურის“ სემანტიკის მქონე (I, II, III, IV, V, VII, VIII.) მიმართულებანი \longleftrightarrow **„კვალიფიცირების (თვისება, თავისებურება, მახასიათებელი)“ სემანტიკის მქონე VI. მიმართულება** (რომელსაც ფრაგმენტულად მიერთვის VII.-VIII. მიმართულებანი).

✧ **ღმერთ**-ის ლექსიკური მარაგის სემანტიკური ველები:

ასევე უაღრესად საგულისხმოა **ღმერთ**-ის ლექსიკური მარაგიდან აღმოცენებული სემანტიკური ველის სპექტრი: განისაზღვრა **137 დამოუკიდებელი სემანტიკური ველი**:

„ღმერთი“	„ღვთაება“	„ღვთაებრიობა“	„ძალიან“
„უფალი“	„ღვთაებრივი“	„ღვთაებრივად“	„სამინლად“
„უფალი ღმერთი“	„ღვთის კუთვნილი“	„ღვთისა“	„ღვთის უარყოფელი“
„ქრისტე“	„ღმერთისათვის განკუთვნილი“	„ღვთისაგან ცნებული“	„გარეწარი“
„ძე ღმრთისა“	„ღმერთის შესაფერი“	„სამადლო“	„ბოროტი“
„სული ღვთისა“	„საღმერთო“	„იღბლიანი“	„ავი“
„ერთი ღმერთი“	„ღვთიური“	„კარგი ბედისა“	„ურჩი“
„ზეციური მეუფე“	„ხატ-სალოცავის კუთვნილი“	„ღვთისმოძულე“	„საძულველი“
„ღმერთობა და კაცობა (ორბუნებოვნება“	„აღლეობის კუთვნილი“	„ღვთისმოყვარე“	„მორწმუნება“
„წმიდა სამება“	„საღმერთობა“	„განღმრთობილი“	„ურწმუნოება“
„სამწმიდა“	„ღმერთის გამოცხადება“	„ღვთისაგან ამორჩეული“	„ურჯულოება“
„სამების ერთ-ერთი წვერი“	„ღმერთად ქცევა“	„ღვთისმოსავი“	„ურჯულოდ ქცევა“
„განკაცებული“	„გაღმერთება“	„ღვთისმოსაობა“	„უწმინდურება“
„ღვთისმშობელი“	„გაღმერთებული“	„ღრმად მორწმუნე“	„ურწმუნო“
„ანგელოზი“	„გაღმერთებული“	„მორწმუნე“	„საძაგლობა“
„სული ანგელოზი“	„საღვთო ძალით შთაგონებული“	„უწმინდესი“	„უღვთობა“
„ხატი, ხატები“	„ღმერთობა“	„ურჯულო“	„ღვთის წინააღმდეგ მებრძოლი“
„ჯვარი“	„ღმერთისთვის დამასასიათებელი“	„შეუბრალებელი“	„ღვთის წინააღმდეგ ბრძოლა“

„საკლავი, ზვარაკი“	„ღვთის მსგავსი“	„უღვთო“	„საღვთო ძალით აღძრული“
„დღეობა“	„ღვთის მსგავსად“	„უღმერთო“	„ღვთისმეტყველი“
„საღვთო დასტური, ნიშანი“	„ღვთისნიერი“	„უმოწყალო“	„ღვთის ღიღება“
„კერპი“	„ღვთისნიერობა“	„დაუნდობელი“	„ღვთისადმი მადიდებლობა“
„კერპთა ღმერთი“	„ღვთისწორი“	„ღვთის აღმსარებელი“	„ღვთის აღმსარებელი“
„ღვთის მოღვაწე“	„ღვთის მიერ დადგინებული“	„საღვთო მშენიერება“	„ღვთისადმი მიმართველი“
„ღვთის მტერი“	„ღვთის მიბაძვა“	„ღვთისაგან შემკული“	„ღვთისაგან წოდებულობა“
„საღვთო სულით მოცული“	„ღვთის მიმბაძველი“	„ღვთისაგან დარგული“	„ღვთის სულით დაწერილი“
„ღვთის მიერ განწმენდილი“	„ღვთიესულიერი“	„ღვთის სიტყვის მქადაგებელი“	„ღვთისაგან დაცული“
„ღვთისაგან შემკული“	„ღვთის ძალით მიღებული“	„ღვთის მიმდევარი“	„ღვთის ნაქადაგები“
„ღვთის განგება“	„ღვთის აღმსარებელი“	„ღვთის რისხვა“	„ცოდნა ღმერთის შესახებ“
„ღვთის განმგებლობა“	„ღვთისაგან განწმენდილი“	„უადრესად ღვთისმოყვარე“	„ღვთის ნებით ერთიანი“
„ღვთისმსახური“	„უშიშარი“	„აღამიანი“	„ძალიან მამაცი“
„უადრესად ღვთისმსახური“	„საწყალო“	„ღვთის შექმნილი“	„ღმერთის საუფლო“
„ბუდი“	„საცოდავი“	„ღვთის გაჩენილი“	„ცა“
„იღბალი“	„სასტიკი“	„ყოველღღე“	„ბედნიერი“

✧ **ღმერთი-ის ლექსიკური პოლისემიურობა:**

უფალ-ისაგან განსხვავებით, **ღმერთი**-ის ლექსიკური მარაგი მინიმალური პოლისემიურობით გამოირჩევა: პოლისემიურობის ყველაზე მაღალ სისშირეს ავლენს **ღმერთება** პოლისემანტიკით: „ღვთაება“, „ღმერთობა“ და „ღმერთის დამახასიათებელი თვისება ან ნიშანი“.

2) **ღმერთი**-ის ეტიმოლოგიური ინფორმაცია და სემანტიკური განვითარება

✧ **ღმერთი**-ის ეტიმოლოგიური ინფორმაცია:

ქართ. **ღმერთ**- <***ღარმათ**- (ნ. მარი);

ქართ. **ღმერთ**- <***ღერმათ**- და <***ღრმათ**- მ-რ > რ-მ მეტათეზისით (გ. კლიმოვი);

ქართ. **ღმერთ**- <***ღმართ**- უმლაუტის შედეგად (ფენრიხი-სარჯველაძე 2000);

მეგრულ-სვანური შესატყვისები ქართულიდან ნასესხობად არის მიჩნეული:

მეგრ. **ღორონთ**-, ლაზ. **ღორმოთ**- < საერთოლაზ. ***ღმორთ**- — მ-რ > რ-მ მეტათეზისით, ასევე **მთ** > **ნთ** ასიმილაციით მეგრულში, და სვან. **ღერმეთ**-/**ღერზეთ**- <***ღმართ**- ანაპტიქსური -ე- ხმოვნით (ფენრიხი-სარჯველაძე 2000).

ქართ. **ღმერთი**-ს ჰ. ფენრიხი სავარაუდოდ უკავშირებს ხატის ენაში დადასტურებულ ფუძეებს: **საღმურთობა/საღამურთობა** (ფენრიხი-სარჯველაძე 2000).

გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქართულ სიტყვაში **ღმერთი**-ი უნდა გამოიყოს რიცხვითი სახელი **ერთი** (< ***ღმ-ერთი**-ი), რომლითაც გამოიხატებოდა **უზენაესის ერთადერთობა და განუყოფლობა** (ჭინჭარაული 2005, 18).

ამავე მოსაზრებით, **ღმ**- თავკიდური ელემენტი უნდა იყოს ფონეტიკური ვარიანტი აღრინდელი უფროობითი ხარისხის **ზ/ჰ-უ** მაწარმოებლისა,

რის შედეგადაც ივარაუდება **ღმერთი-ის** ფონეტიკური განვითარების შემდეგი საფეხურები: **ზ-უ-ერთ- > ზ-ჟ-ერთ- > ზ-ვ-ერთ- > ზ-მ-ერთ-// *ღ-ვ-ერთ- > ღმერთ-ი**, მისი თავდაპირველი მნიშვნელობით „ერთადერთი და განუყოფელი უზენაესი (ზეციური ღვთაება)“ (ჭინჭარაული 2005, 14).

როგორც ვხადავთ, **უფალ-ისა** და **ღმერთი-ის** ზემოთ წარმოდგენილი ეტიმოლოგიურ-სემანტიკური დაკვირვებებით (იხ. ზემოთ, გვ. 45-47; 54-55), ორივეს არქესემანტიკაში სწორედ **უზენაესის ადმატებულობის მინაარსი** მოიაზრება: მდრ.: **უფალ-ი** (< ***უ-ფ-ალ**) „დაუუფლებული და ყოველივეს და ყოველთა უზენაესი მეუფლე“; „ყოველივეს და ყოველთა უზენაესი მეუფლე, მქონი და მყოლი“ და **ღმერთი-ი** (< **ზ/ჰ-უ-ერთ**) „ერთადერთი და განუყოფელი უზენაესი“.

3) **უფალ-ისა** და **ღმერთი-ის** ქრისტიანული საეკლესიო თარგმანებიდან

✧ „**უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი**“

ღვთივბოძებული რჯულის პირველი მცნება გვიღალადებს: „მე ვარ **უფალი ღმერთი** შენი, და არა იყვნენ შენდა ღმერთნი სხუანი თვნიერ ჩემსა“ (გამოსლვათა 20, 2-3).

წმიდა მოციქული თომა მკვდრეთით აღმდგარ ქრისტეს ნამსჭვალებს რომ იხილავს, შესძახებს: „**უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი**“ (იოანე 20, 28).

ღიას, ღმერთი ჩვენი – არის უფალი ჩვენი, რადგან:

„იგი თავადი არს ღმერთი ღმერთთა და უფალი უფალთა, ღმერთი დიდი და ძლიერი და საშინელი, რომელიც არის მიუკერძოებელი, იგი უჩინს სამართალს ქვრივსა და ობოლს, უყვარს მწირი და აძლევს მას პურს, სასმელს და სამოსს“ (2 სჯული 10, 17-18).

წმიდა იოანე დამასკელი თავის „გარდამოცემაში“ (დამასკელი 2000, 59-61; 335-338) საგანგებოდ განმარტავს: რამდენადაც ღმერთი არის ყოვლისა და ყოველთა მიზეზი, იმდენად იწოდება იგი ყველა არსის სა-

ხელით. თუმცა ღმერთი მხოლოდ იწოდება ამ სახელებით, თორემ არც ერთი მათგანი არ არის ღმერთი არსობრივად.

წმიდა მამა გვიჩვენებს: **ნუ ვეძიებთ ღმერთის არსების სახელს!** შეუძლებელია, ბუნებამ სრულად შეიცნოს მასზე ზემდებარე ბუნება. ღმერთი, რომელიც მიუწვდომელია, იგი უთუოდ უსახელოც იქნება, და იგი იმდენად არის უსახელო – რამდენადაც მიუწვდომელი (დამასკელი 2000, 336-337).

მიუხედავად ამისა, როგორც ვიცით, ღმერთი ყველა სახელით იწოდება – მტკიცებითითაც, უკუთქმითითაც და საპირისპიროთითაც.

წმიდა იოანე დამასკელის რწმუნებით, სწორედ **მტკიცებითი სახელია** იმის დასტური, რომ ღმერთი არის **ყოველთა მიზეზი**: იგია არსი და არსება, ბრძენი და სიბრძნე, აზრი და მოაზროვნე, სიცოცხლე და ცოცხალი და ა. შ. (დამასკელი 2000, 337).

უკუთქმითი სახელით ცხადდება, რომ **ყველაფრის უზემოესი** ღმერთი არსთაგან არაფერი არ არის, არამედ არის **უარსებო**, უსხეულო, უცვლელი და ა.შ.

საპირისპირო სახელებითაც, როგორცაა, მაგალითად, სინათლე და სიბნელე, მშვენიერი და საშინელი – იმას შევიცნობთ, რომ **არსობრივად** არც ერთი მათგანი არ არის ღმერთი, არამედ **ზეარსია** და, ამდენად – **უსახელო** (იქვე).

იმავე „გარდამოცემაში“ წმიდა იოანე დამასკელი გვაუწყებს, რომ ღმერთის ჭეშმარიტი შინაარსის გამომხატველ სახელთაგან უპირატესი და უმჯობესია **არსი** „მყოფი“, რომლითაც უცხადესად („უსაკუთრესად“) წარმოჩნდება ღმერთის ჭეშმარიტი შინაარსი: „მყოფი; რომელი-იგი არს“, ანუ „ის, რომელიც მყოფობს, არის (მარადის)“, შდრ.:

„და ჰრქუა მოსე ღმერთსა: აჰა ესერა, მე მივიდე ძეთა ისრაელისათა და ვრქუე მათ: ღმერთმან მამათა თქუენთამან მომავლინა მე თქუენდა, და მკითხვიდენ, თუ რაჲ არს სახელი მისი, რაჲ ვრქუე მათ? და ჰრქუა ღმერთმან მოსეს: **მე ვარ ღმერთი, მყოფი, რომელი ვარ**, და ესრე არქუ ძეთა ისრაელისათა: რომელი-იგი არს, მან მომავლინა მე თქუენდა“ (ვა-მოსლვათა 3, 13-14).

ღმერთის მეორე უპირატეს სახელად წმიდა მამა ასახელებს საკუთრივ **ღმერთს** (ბერძნ. **თეოს**). წმიდა მამის სწავლებით, ეს სახელდება სამი მიმართულებით წარმოაჩენს **არსის**, ანუ ღმერთის, მყოფობას:

ა) ღმერთის მოქმედება (< ბერძნ. **თეინ** „სრბოლა“), ყოველივეს გარემოვლა: „გარეშეცვისაგან ითქუმის თანად ყოველთადას“;

ბ) ღმერთის ყოველთა მხედველობა, ყოვლის მჭვრეტელობა (< ბერძნ. **თესთაი** „ჭვრეტა, ხედვა“), რამდენადაც იგი თვალმოუცილებელია და „ხედავს ყოველსა... და არს ზედამხედველ ყოველთა, რამეთუ არარაჲ დაეფარვის თუალსა მას ყოველთა მხედველსა“;

გ) ღმერთი ვითარცა ნთება, წვა (< ბერძნ. **აითეინ** „წვა, დაწვა“), „რამეთუ ღმერთი ჩუენი ცეცხლ შემწუველ არს და განმლეველ ყოვლისა სიბოროტისა“ (დამასკელი 2000, 60).

იგივე წმიდა მამა გვიმოწმებს, რომ **უფალი, მეუფე, შემოქმედი, დამბადებელი, მწყემსი** და ამის მსგავსი სახელებით წარმოჩნდება მთქმელის (ადამიანის) დამოკიდებულება ღმერთისადმი, კერძოდ:

ღმერთი **უფალი** იმისთვის, ვის მიმართაც უფლებულია, ანუ ვისთვისაც ღმერთი უზენაესი ბატონ-პატრონია – უფალი ღმერთია; მსგავსად ამისა, ღმერთი იმისთვისაა **მეუფე**, ვისთვისაც ღმერთი უზენაესი მეფეა; შესაბამისად, **შემოქმედი** კი იმისთვის, ვინც თავს ღვთის ქმნილებად აღიარებს; ასევე, ღმერთი **დამბადებელია** დაბადებულთა მიმართ და **მწყემსია** „დამწყსილთა მიმართ“ (დამასკელი 2000, 61).

ქართული უფალ-ის და ღმერთ-ის ზემოთ წარმოდგენილი ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანი (იხ. გვ. 43, 46-47; 51; 54-55) სრულად ემთხვევა წმიდა იოანე დამასკელისეულ მოწმობას, შდრ.:

ერთი მხრივ, ქართ. **ღმერთ-ი**: „ღმერთი; ზებუნებრივი არსება“ (ქეგლ-ი); „სული ნათელი დაუსაბამო“ (სულხან-საბა 1991-93); „არსება პირველ საუკუნო“ (ჩუბინაშვილი 1988);

მეორე მხრივ, ქართ. **უფალ-ი**: „1. იგივეა, რაც ღმერთი; 2. (წიგნ.) ბატონი, პატრონი, მბრძანებელი“ (ქეგლ-ი); „პატრონი (ვაჟი), გინა ღმერთი“ (სულხან-საბა 1991-93); „სამღუთო წერილში ო“; ღმერთი, დამბადებელი, მეუფე, ბატონი, პატრონი“ (ჩუბინაშვილი 1988); „პატრონი, მფლობელი,

ქრისტე“ (აბულაძე 1973); „უფროსი, ბატონი, პატრონი“ (იმნაიშვილი 1986); „ბატონი ღმერთი“ (სარჯველაძე 2001); „1. ბატონი, ფეოდალი, მბრძანებელი. 2. მქონებელი, პატრონი, მფლობელი“ (ბეროზაშვილი 2007).

როგორც აღინიშნა, კომპონენტი **ღმერთ-** კომპოზიტებსა და **ღმერთ-** ისაგან წარმოებულთა მნიშვნელოვან ნაწილში თითქმის უგამონაკლისოდ ინარჩუნებს „უზენაესი ღმერთის“ ან „ყოველივე ზეციურის“ სემანტიკას. თუმცა **უფალ-**ისა და **ღმერთ-**ის ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანის თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ასევე თითქმის უგამონაკლისოდ ძნელდება **ღმერთ-** კომპონენტის ჩანაცვლება **უფალ-**ით, მდრ. გვაქვს:

ღმერთკაცი	და არა	—	უფალკაცი;
ძე ღმერთისა	და არა	—	ძე უფლისა;
ღმერთმყოფელი	და არა	—	უფალმყოფელი;
ღმერთქმნულება	და არა	—	უფალქმნულება;
ღმერთისმშობელი	და არა	—	უფლისმშობელი;
ღმერთისმეტყუელი	და არა	—	უფლისმეტყუელი;
ღმერთისმსახური	და არა	—	უფლისმსახური;
ღმერთკაცი	და არა	—	უფალკაცი.

მეგრულ-ჭანური და სვანური ენების მსგავსად, ქართული ენის დიალექტებშიც თითქმის იმავე ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანის მოწმენი ვართ — აქ **ღმერთ-**ი დომინირებს: გვაქვს მეგრ. **ღორონთი**, ლაზ. **ღორ-მოთი**, სვან. **ღერმეთ**, **ღერბეთ**, ხოლო აღმ. მთის დიალექტებსა და ზოგიერთ დას. დიალექტში **ღთ-/სთ-** ძირით წარმოებულნი (მაგ.: ხევს. **სთის ისაული** „ანგელოზი“ და სხვა). **უფალ-**ის გამოყენების სიხშირე კი ამ თვალსაზრისით მინიმალურია, თითო-ოროლა გამონაკლისით (მაგ.: ხევს. **უფლის თვალი** „ძალიან ლამაზი“, ქართლ. **უფლის ხე** „ბზა“ და სხვა).

❖ უფალი და თავისუფალი

საძიებელია უფალ- კომპონენტის თავდაპირველი მნიშვნელობა საკუთარი წარმოების ძველ ქართულ კომპოზიტი **თავის-უფალი**.

საგულისხმოდ შენიშნავენ (მელიქიშვილი 2008, 25-26), რომ ინდივიდუალური თავისუფლების იდეა ევროპაში X-XI საუკუნეებიდან ჩნდება. მანამდე ადამიანის ღირებულება სოციალურად იყო განპირობებული. მთელ რიგ ენობრივ მონაცემებში ცნება **თავისუფალი** მხოლოდ სოციალური მოტივირებით წარმოდგება:

ა) ბერძნულ-რომაულ ენობრივ სინამდვილეში ეტიმოლოგიურად ფიქსირდება **თავისუფალის** ბიოლოგიური მოტივი „ზრდა“ (ლათინური liber < ინდოევროპ. „ამოზრდა, აღმოცენება“).

ბ) ქრონოლოგიურად მომდევნო ხანაში გერმანიკულ ენობრივ წრეში ამუშავდა მშენიანი-ფსიქიკური „კეთილგანწყობის“ მოტივი (ინგლისური free < ინდოევროპ. „კეთილგანწყობა, მშვიდობიანობა, დაცვა“).

გ) ამას მოსდევს რეფლექსურ-კუთვნილებითი „საკუთარის, თავისიანის“ მოტივი სლავურ ენებში (რუსული СВОБОДА < ინდოევროპ. „СВОЙ, საკუთარი, თვით“).

დადგენილია, რომ ძველი ქართული **თავისუფალი** „თავისუფალი“ დოკუმენტურად უკვე X საუკუნეში დასტურდება, ოდენ ინდივიდუალური, სრულიად არასოციალური მოტივირებით და თავდაპირველი მნიშვნელობით „საკუთარი თავის უფალი, ფლობელი“ (მელიქიშვილი 2008, 30-31).

ჩვენს ყურადღებას ამ მხრივ იპყრობს ძველ ქართულში არსებული **უუფლო**, რომელიც ნიშნავდა როგორც „უპატრონოს“, ასევე „თავისუფალს“.

უფალი ღმერთი იერემია წინასწარმეტყველის პირით გამოხატავს თავის გაკვირვებას, რადგან ისრაელისანებმა არ შეისმინეს უფლის ნამცნები, მაღლიერებით არ მიიღეს უფლის წყალობა და, რაც ყველაზე შემადრწუნებელია — აღარ ინდომეს უფალთან ყოფნა:

„იტყვს უფალი: ნუ უდაბნო ვექმენ ისრაილსა, ანუ ქუეყანა განკორდებულ მით, რამეთუ თქუა ერმან ჩემმან, და უუფლო ვიყვნეთ და შენდა არლარა მოვიდეთ მერმე“ (იერემია 2, 31).

უფალი ისრაელ ერს ყველაზე მძიმე ცოდვაზე უთითებს: **უუფლო ვიყენეთო**, ანუ უფლის გარეშე (უ-უფალ-ო-დ) ვიქნებითო. ისრაელიანებმა არჩიეს **უუფლოდ ყოფნა**. მათ უფალზე, ზეციერ პატრონზე თქვეს უარი და თავის ნებაზე ყოფნა ამჯობინეს (შდრ. ამ მუხლის ძველი რუსული თარგმანი: „Мы сами себе господа“), რაც იმას ნიშნავს, რომ ერმა საკუთარი თავის უფლად საკუთარივე თავი განაგო.

იერემია წინასწარმეტყველის წიგნიდან მოხმობილ ამონარიდში ქართული სიტყვა **უუფლო** უაღრესად საინტერესო, თავისებური ლექსიკურ-სემანტიკური ფუნქციით წარმოდგება: ვისთვისაც უფალი არ არის ზეციერი პატრონი, იგი **უუფლოა** „უპატრონოა“, ვინაიდან საკუთარი ნებით ითავისუფლებს თავს უფალი ღმერთისაგან, საკუთარი თავის უფლად თუ პატრონად თვითონვე რჩება და ამდენად არის **უუფლო** „თავისუფალი“.

თავისუფლების ამგვარი სემანტიკური გააზრება კერძო ხასიათისაა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული სიტყვა **თავისუფალი** მისტიკურად იტევს **თავისუფლების ნამდვილ ქრისტიანულ შინაარსს**:

ჭეშმარიტად **თავისუფალი** იგია, ვისაც თავის პატრონად **უფალი** ჰყავს და **თავის** ნება-სურვილებს **უფლის** ნებისაებრ წარმართავს.

ჭეშმარიტი თავისუფლება ღვთიემონიჭებული ღირსებაა. ამ ღირსებით ის იმოსება, ვინც **თავის** „წადილთა ნებას“ **დაუფლებია** და **თავისი** ნებით დამორჩილება **უფალს** და არა — ცოდვას. დავით ჩუბინაშვილი თავის ლექსიკონში განმარტავს: „**თავისუფალი** — არა ვისი მონა“ (ჩუბინაშვილი 1988). ჩვენ დავძენდით: თავისუფალი არა ვისი მონა — გარდა უფალი ღმერთისა!

უფალმა იესო ქრისტემ ხომ ეშმაკისადმი მონობის მრავალსახეონობა დაგვანახვა, ამ სამარცხვინო მონობისაგან გამოგვისხნა და გვაჩუქა თავისუფლება, ანუ განთავისუფლება ეშმაკისა და ცოდვისაგან.

თავისუფლების და **თავისუფალის** ქრისტიანული შინაარსიც ეს არის: მხოლოდ ამგვარ **თავისუფლებას** ზიარებული ადამიანია ჭეშმარიტად **თავისუფალი**.

ამის დასტურად ვკითხულობთ უფლის ნამცნებს წმიდა სახარებაში:

„და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ... ყოველმან რომელმან ქმნეს ცოდვაჲ, მონაჲ არს იგი ცოდვისაჲ...“;

„უკუეთუ ძემან განგათავისუფლნეს, ჭეშმარიტად თავისუფალ იყნეთ...“;

„მე ვარ გზამ და მე ვარ ჭეშმარიტება და ცხორება: არავინ მოვიდეს მამისა, გარნა ჩემ მიერ“ (იხ. იოანე 8, 32-36; 14, 6).

ლიტერატურა:

აბულაძე 1973: ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი.

ახალი აღთქმა 2001: მეცნიერულად დადგენილი ტექსტი წმ. ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელთა რედაქციებისა, თბილისი, მთაწმიდა, წმიდა ნინოს ეკლესია.

ბასილი 1983: ბასილი კესარიელის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანი, თბილისი.

ბეროზაშვილი 2007: თამარ ბეროზაშვილი, ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი.

დამასკელი 2000: წმიდა იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა, თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

დანელია 1998: კორნელი დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, თბილისი.

ვაჟას მცირე ლექსიკონი 1969: შემდგენელი ალ. ჭინჭარაული, თბილისი.

იმნაიშვილი 1982: ივანე იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. I, თბილისი.

იმნაიშვილი 1986: ივანე იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი.

კატეხიზმო 1911: სახელმძღვანელო მართლმადიდებლური კატეხიზმოს შესასწავლად.

მელიქიშვილი 2008: ირინე მელიქიშვილი, „თავისუფლების“ ცნების ეტიმოლოგიური დიპაზონი: სოციალურიდან ინდივიდუალურამდე, ენათმეცნიერების საკითხები – II.

მენტეშაშვილი 1943: სტეფანე მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი.

მცხეთური ხელნაწერი 1981: (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელენე დოჩანაშვილმა, თბილისი, 1981. (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები – ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი), „მეცნიერება“, თბილისი.

ნიჟარაძე 1971: შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტის ლექსიკა, ბათუმი.

სულხან-საბა 1991-93: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ავტორგაფუელი ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, I და II ტ., „მერანი“, თბილისი.

სარჯველაძე 1995: ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

სარჯველაძე 2001: ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

სინური 1975: სინური მრავალთავი, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივ. იმნაიშვილმა, თბილისი.

სოსელია 2006: ეთერ სოსელია, *ფალ-/ფლ- ძირის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, ენათმეცნიერების საკითხები – I-II.

ფენრიხი-სარჯველაძე 2000: ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქავთარაძე 1985: ივანე ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი.

ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი 2005, 2007: თბილისი, ტ. I-II.

ქართლის ცხოვრება 1973: IV, თბილისი.

ქართლური 1981: ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბილისი, 1981.

ქეგლ-ი: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ-ი), ტტ.: V-1958, VI-1960, VII-1962, VIII-1964.

ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია 1979: ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა, თბილისი.

ქართული სამოცოქეულოს სიმფონია-ლექსიკონი 2009: თბილისი.

ღამბაშიძე 1988: როგენდა ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური დიალექტი, თბილისი.

ღლონტი 1984: ალექსანდრე ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის ლექსიკონი, თბილისი.

ღლონტი საკითხ. 2010: მედეა ღლონტი, „უფალი და თაჰვის“უფალი, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXI, თბილისი.

ღლონტი დიალქტ. 2010: მედეა ღლონტი, „უფალ“-ის და ღმერთ-ის ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანისათვის ქართულ დიალექტებში – XXX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, ბათუმი.

ღლონტი ინსტ. 2010: მედეა ღლონტი, ღმერთ-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდისათვის – არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 69-ე სამეცნიერო სესიის მასალები.

ჩუბინაშვილი 1840: დავით ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართულ-ფრანცი-ცული ლექსიკონი, ს.-პეტერბურგი.

ჩუბინაშვილი 1971: დავით ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, I, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1988: დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ცხორება 1946: ცხორებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გიორგი მთაწმიდელის ენა, თბილისი.

ჭინჭარაული 2005: ალექსი ჭინჭარაული, სიტყვა „ღმერთი“-ს წარმო-მავლობისათვის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, № 8, გვ. 8-19.

ჭინჭარაული სევს. 2005: ალექსი ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი.

სანმეტი ლექციონარი 1984: I, თბილისი.

სუბუტია 1969: პ. სუბუტია, თუშური კილო, ლექსიკა, თბილისი.

Medea Glonti

Lexical-semantic choice of *UPALI* ‘the Lord’ and *YMERTI* ‘the God’ in Georgian Summary

A lexical-semantic field of *upal-i* and *ymert-i* is the Georgian *upal-i* and *ymert-i* and the lexical entries having the relevant semantics and which are originated from them and exist apart from the semantic field. They are being researched towards three analytical points:

1. A lexical vocabulary of *upal-* was distributed according to 12 basic semantic directions, 87 semantic fields were defined. Almost 2/3 of a lexical vocabulary is polysemic. A lexical vocabulary of *ymert-* was distributed according to 8 basic semantic directions. About 160 semantic fields were defined. Polysemicity of a lexical vocabulary of *ymert-* is poor.

There are more than hundred composites containing *ymert-* in Georgian. In these composites the component *ymert-* preserves the semantics of ‘the highest God’, ‘everything heavenly’. Substitution of a component *ymert-* by *upal-* is also difficult (*ymrtismšobeli* ‘the God’s Mother’ and not *uplismšobeli* ‘the Lord’s Mother’). Productiveness of blessing and oath phraseologisms containing *ymert-* and the ones originated from *ymert-* is poor.

Differently from this, we have only two composites containing **upal-** (**uplišçuli** “monarch’s child’, **upliš-moquare**). But the number of the words originated from **upal-** is verious and high. Among them about 80% contains the semantics of ‘earthly’, and more then 20% has the semantics of ‘everything heavenly’.

On the basis of the relevant data of the Megrelian-Chan and Svan languages as well as Georgian dialects the same lexical-semantic choice is being investigated.

2. Etymological information and semantic developing stages are also represented.

3. Relevant theological material based on the Saint Fathers’ (St. Joan Damaskenos and others) translations is bought.

**ზოგი მებრული ფუძის ეტიმოლოგიისათვის
(მუსხ-ი, თისხ-ი, თისხ-ი...)**

მეგრულში დასტურდება ლექსიკური ერთეულები:
მუსხ-ი/მუსხი-ი/მუსხე-ა/მუსხე/მუსხელ-ი „რამდენი(?)“, „ბევრი“;
მუსხით/მუსხეთ/მუსხეთ/მუსხელით „რამდენიც“; „რამდენით“;
მუსხიშა(ხ)/მუსხეშა(ხ)/მუსხეშა(ხ)/მუსხელიშა(ხ) „რამდენჯერ“; „რამდენად“; „რა ზომამდე“;

თესხ-ი/თესხი-ი/თესხე-ა/თესხე/თესხელ-ი „ამდენი“;
თესხით/თესხეთ/თესხელით „ამდენით“;
თესხეშა/თესხიშა(ხ)/თესხეშა(ხ)/თესხელიშა(ხ) „ამდენად“; „ამდენჯერ“;
თისხ-ი/თისხი-ი/თისხილ-ი/თისხე/თისხე-ა/თისხელ-ი „იმდენი, იმ რაოდენობისა“;

თისხით/თისხეთ/თისხელით „ამდენით“;
თისხიშა(ხ)/თისხეშა(ხ)/თისხელიშა(ხ) „იმდენად“; „იმდენჯერ“.
(ქაჯაია 2002; ქობალია 2010).

შენიშვნა. დასახელებულთაგან ლექსიკონებში დავადასტურეთ მხოლოდ:
მუსხ-ი/მუსხი-ი; მუსხე; მუსხეთ; თისხ-ი/თისხი-ი/თისხილ-ი; თესხ-ი/თესხი-ი; მუსხ-ი/მუსხი-ი; მუსხიშა(ხ)/მუსხეშა(ხ).

საანალიზო ფუძეები სხვადასხვა მეტყველების ნაწილებია, კერძოდ:
1) **მუსხ-ი/მუსხი-ი/მუსხე-ა/მუსხე/მუსხელ-ი** „რამდენი“, „ბევრი“ გეგვდება როგორც:

ა) (რაოდენობითი) რიცხვითი სახელი (განსაზღვრული და განუსაზღვრელი ოდენობისა):

მუსხი/მუსხი/მოსხი/მუსხე/მუსხე/მუსხელი ვეხვეწი, მარა იწკვმა მუთუნქუ ვავომირთ „რამდენი (ბევრი) ვეხვეწე, მაგრამ მასთან არაფერი არ გამივიდა“ (განუსაზღვრელი ოდენობისა);

მუსხი/მუსხი/მუსხე/მუსხელი ქოთომი ქომიფუნდუ დო არძოქ გომეჭყორდუ „რამდენი (ბევრი) ქათამი მყავდა და ყველა გამიწყდა“ (განსაზღვრული ოდენობისა).

ბ) კითხვითი ნაცვალსახელი:

მუსხი/მუსხი/მუსხე/მუსხელი კათა ქორდუ გოწოს ლებარდეს? „რამდენი ხალხი იყო შარშან ლებარდემი?“

2) მუსხით/მუსხეთ/მუსხეთ/მუსხელით „რამდენიც“; „რამდენით“ გვხვდება როგორც:

ა) მიმართებითი ნაცვალსახელი:

კურდღელუქი მუსხით/მუსხეთ/მუსხეთ/მუსხელით იკვაკუ, თისხით ირუ-ლუა „კურდღელმა რამდენიც იკიკინა, იმდენიც ირბინაო“ (ქაჯაია 2002);

ბ) ზმნიზედა:

ა) ოდენობის: მუსხით/მუსხეთ/მუსხეთ/მუსხელით უჩანს მუასქანი დი-ასქანს? „რამდენით არის მამაშენი დედაშენზე უფროსი?“

3) მუსხიშა(ხ)/მუსხეშა(ხ)/მუსხეშა(ხ)/მუსხელიშა(ხ) „რამდენჯერ“; „რამდენად“ გვხვდება როგორც:

ზმნიზედა:

ა) ზომა-ოდენობის: სქან(ი) რინას შხვამის ვამუძინანა, მუსხიშახ ეშე ვადიმაღალე „შენ სხვის ყოფნას ვერ მოგიმატებენ, რა ზომამდეც (რამდენადაც) არ ამაღლდე (ზევით)“ (ქაჯაია 2002);

მუსხიშა(ხ)/მუსხეშა(ხ)/მუსხეშა(ხ)/მუსხელიშა(ხ) რე სქანი ცურძენი? „რამდენად არის (რა ღირს) შენი ყურძენი?“

ბ) ჯერობის: მუსხიშა(ხ)/მუსხეშა(ხ)/მუსხეშა(ხ)/მუსხელიშა(ხ) მებ/ფრთი, მარა აკაშა ვადობ/ფ/ხვადუ „რამდენჯერ (ბევრჯერ) მივედი, მაგრამ არცერთხელ არ დამხვდა“;

4) თეს-ი/თესე-ა/თესე/თესელი-ი „ამდენი“ გვხვდება როგორც:

ჩვენებითი ნაცვალსახელი: თესხი/თესხე/თესხე/თესხელი უშქური მუშო იფიდით? „ამდენი ვაშლი რისთვის იყიდეთ?“

5) თესხით/თესხეთ/თესხელით „ამდენით“; „ამდენად“ გვხვდება როგორც:

ზმნიზედა:

ზომა-ოდენობის:

თესხით/თესხეთ/თესხელით უმოსი ქორე ჩქიმი ცვანა სქანიშე „ამდენით მეტი კი არის ჩემი ყანა შენსაზე.“

თე ამზე თესხით/თესხეთ/თესხელით ქვანარდენდღდა, შურო მუშენი გამომგორეთჲ? „ეს ამზავი ამდენად თუ განაღვლებდა, საერთოდ რატომ არ მოგვიკითხეთ (მოგვიძიეთ)?“

6) **თესხემა/თესხიმა(ს)/თესხემა(ს)/თესხელიმა(ს)** „ამდენად“; „ამდენჯერ“ გვხვდება როგორც:

ზმნიზედა:

ა) **ზომა-ოდენობის: თესხემა/თესხიმა(ს)/თესხემა(ს)/თესხელიმა(ს)/თესხიმა(ს)** მოზიდენქო სქანი ოხორღსჲ „ამდენად მომყიდი შენს სამოსახლოს?“;

ბ) **ჯერობის: თესხემა/თესხიმა(ს)/თესხემა(ს)/თესხელიმა(ს)** მუშა მომიცონი? „ამდენჯერ რისთვის მომიყვანე?“

7) **თისხ-ი/თისხი-ი/თისხე/თისხე-ა/თისხელ-ი/თისხილი-ი** „იმდენი“ გვხვდება, როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელი:

სი მუხსი გოკონი, თისხი/თისხიი/თისხე/თისხეა/თისხელი/თისხილი წანას დოირინღდას! შენ რამდენიც გინდა, იმდენ წელს გეცხოვროს!

8) **თისხით/თისხეთ/თისხელით** „იმდენით“ გვხვდება როგორც:

ზმნიზედა:

ზომა-ოდენობის: თისხით/თისხეთ/თისხელით მეტი რდასენი ხოლო, იშენი ვადაარკა „იმდენით მეტიც რომ იყოს, მაინც არ დააკლო!“

9) **თისხიმა(ს)/თისხემა(ს)/თისხელიმა(ს)** „იმდენად“; „იმდენჯერ“ გვხვდება როგორც:

ზმნიზედა:

ა) **ზომა-ოდენობის: თისხიმა(ს)/თისხემა(ს)/თისხელიმა(ს)** ვეინალე თესხი გაჭირებულეშა „იმდენად ვერ მოემსახურები იმდენ გაჭირებულს.“

ბ) **ჯერობის: თისხიმა(ს)/თისხემა(ს)/თისხელიმა(ს)** დუძახი, მარა მუთუნით ვაგმაგონუ „რამდენჯერ (ბევრჯერ) დავუძახე, მაგრამ ვერაფრით ვერ გაგაგონე.“

განხილული ერთეულები – მუ-სხ-ი/მუ-სხ-ი-ი/მუ-სხ-ე-ა/მუ-სხ-ე/მუ-სხ-ელ-ი; მუ-სხ-ით/მუ-სხ-ეთ/მუ-სხ-ეთ-ათ/მუ-სხ-ელ-ით; მუ-სხ-იშა(ს)/მუ-სხ-ე-აშა(ს); თე-სხ-ი/თე-სხ-ი-ი/თე-სხ-ე-ა/თე-სხ-ე/თე-სხ-ელ-ი/თე-სხ-ილ-ი; თე-სხ-ით/თე-სხ-ეთ/თე-სხ-ელ-ით; თე-სხ-იშა(ს)/თე-სხ-ე-აშა(ს)/თე-სხ-ე-აშა/თე-სხ-ელ-იშა(ს); თი-სხ-ი/თი-სხ-ე/თი-სხ-ე-ა/თი-სხ-ელ-ი; თი-სხ-ით/თი-სხ-ეთ/თი-სხ-ელ-ით; თი-სხ-იშა(ს)/თი-სხ-ე-აშა(ს)/თი-სხ-ელ-იშა(ს) – აგებულებით რთული სახელებია. ძირითადი კომპონენტი სიმრავლის გა-მომხატველი სხ- ძირი უნდა იყოს, ჰიველი კომპონენტები: მუ- „რა“ კითხვითი ნაცვალსახელია, ხოლო თე- „ეს“ და თი- „ის“ – ჩვენებითი ნაცვალსახელები.

საანალიზო მასალაში საინტერესოა ფორმები: **მუსხ-ელ-ი/თისხ-ელ-ი/თესხ-ელ-ი/თისხ-ელ-იშა(ს)/თესხ-ელ-იშა(ს)/მუსხ-ელ-იშა(ს)**, სადაც უნდა გამოიყოს **-ელ/-ილ** სუფიქსები.

ფეიქრობთ, ზემოთ განხილული ფუძეებისთვის **-ელ/-ილ** სუფიქსიანი ფორმები უნდა იყოს ამოსავალი, რომლებიც ზოგიერთ კილო-კავშირში გაცვდა, დაიკარგა თანხმონითი ნაწილი (მუ-სხ-ე/ი(*ლ)-ი; მუ-სხ-ე/ი(*ლ)-ით; მუ-სხ-ე/ი(*ლ)-იშა(ს); თე-სხ-ე/ი(*ლ)-ი; თე-სხ-ე/ი(*ლ)-ათ; თე-სხ-ე/ი(*ლ)-აშა(ს); თი-სხ-ე/ი(*ლ)-ი; თი-სხ-ე/ი(*ლ)-ათ; თი-სხ-ე/ი(*ლ)-აშა(ს)), ზოგიერთში კი მთლიანად **-ელ/-ილ** სუფიქსები დაიკარგა (მუ-სხ-(*ელ/*-ილ)-ი; მუ-სხ-(*ელ/*-ილ)-ით; მუ-სხ-(*ელ/*-ილ)-იშა(ს); თე-სხ-(*ელ/*-ილ)-ი; თე-სხ-(*ელ/*-ილ)-ით; თე-სხ-(*ელ/*-ილ)-იშა(ს); თი-სხ-(*ელ/*-ილ)-ი, თი-სხ-(*ელ/*-ილ)-ით, თი-სხ-(*ელ/*-ილ)-იშა(ს)).

ისმის საკითხი მეგრულ საანალიზო ლექსიკურ ერთეულებში გამოყოფილი **-სხ-** და ქართული სიმრავლის გამომხატველ **სხ-** (სხმა) ძირების მორფოლოგიურ-ფონეტიკური შესატყვისობის შესახებ.

ძვ. ქართულში **-სხ** ძირის შემცველ **სხმა** ფუძეს შემდეგი მნიშვნელობები აქვს გამოვლენილი: შობა; მოყვანა, მოგვრა; ქონება, <<დგმა>>; ყოლა, მძა; დება; აცმა, მოსხმა; <<დანერგვა>>, დარგვა; აყვანა:

შობა: „ძეებ და ასულებ ისხნე“ (II შჯ. 28,41);

მოყვანა, მოგვრა: „უსხნეთ ძეთა თქუენტა ცოლებ“ (იერემ. 29,6);

„არცა ცოლს ისხმიდენ, არცა ქმრის ვილოდიან (მთ. 22,30);

- გ) **ქონება, <<დგმა>>**: „თუალ ვასხენ და არა ჰხედავთ“ (მრ. 8,16);
 ყურ ასხენ.
- დ) **ყოლა, სმა**: „ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი“ (ლ. 16,9);
 „კაცსა ვისმე *ესხნეს* ორ ძე“ (მთ. 21,28);
- ე) **ღება**: „ყოველნი, რომელნი *ისხნენ* საფლავებსა, ისმინონ მისა მისი-
 საჲ“ (ი. 5,28); „*ისხა* სიმრავლჳ უძღურთაჲ“ (ი. 5,3.);
- ვ) **აცმა, მოსხმა**: „*ესხნენ* სანდალნი“ (მრ. 6,9);
 „*ესხნეს* ცანდალნი ოქროლუედნი“ (პოვნ. სტეფ. 658)
- ზ) **<<დანერგვა>>, დარგვა**: „ვენახსა *ასხმიდე* და იქმოლი“ (II შჯ. 28,29);
- არა ისხა თავისა შენისა სერტყეები/არა დაჰნერგო თავისა შენისა სერ-
 ტყა;
- თ) **აყვანა**: „*ასხნა* იგინი კარაულეებსა და მოიქცა ეგვიპტედ“ (გამოსლ. 4,29).

(აბულაძე 1973)

როგორც ცნობილია, ქართულ ს-ს შესატყვისად მეგრულში შ-ც შეიძ-
 ლება გვექონდეს და ს-ც (ცაგარელი 1980; ჩიქობავა 1938, 72, 231, 246),
 ჩვენ მიერ განხილულ ქართველურ ძირში მეორე შემთხვევასთან, ე. ი.
 იდენტურ შესატყვისობასთან, უნდა გვექონდეს საქმე: ქართ. **სხ-**: მეგრ. **სხ-**.

ლიტერატურა:

აბულაძე 1973: ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბი-
 ლისი.

ქაჯაია 2002: ო. ქაჯაია, მეგულ-ქართული ლექსიკონი, II, თბილისი.

ქობალა 2010: ა. ქობალა მეგული ლექსიკონი, თბილისი.

ჩიქობავა 1938: არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი
 ლექსიკონი, თბილისი.

Цагарели 1880: Ал. Цагарели, Мингрелские зтуды, Санкт-
 Петербург.

Eter Shengelia

Towards the etymology of some Megrelian stems (*musx-i, tesx-i, tisx-i...*)

Summary

The article discusses some Megrelian stems:

mu-sx-i/mu-sx-i-i/mu-sx-e-j /mu-sx-el-i “how many/much”, “a lot of”;

mu-sx-it/mu-sx-e-it/mu-sx-e-t/mu-sx-el-it “however”, “how many/much more”;

mu-sx-isha(x)/mu-sx-e-isha(x) “how many times (repeatedly)”; “how much, to what extent”;

te-sx-i/te-sx-i-i/te-sx-e-j /te-sx-e/te-sx-el-i “so many/much”, “a lot of”;

te-sx-it/te-sx-e-j -t/te-sx-el-it “more than of this certain number”;

te-sx-e-sha(x)/te-sx-e-isha(x)/te-sx-e-isha(x)/te-sx-el-isha(x) “at this price, for so much, to such an extent”;

ti-sx-i/ti-s-xi-i/ti-sx-il-i/ti-sx-e/ti-sx-e-j /ti-sx-el-i “that many/much, so many/much”;

ti-sx-it/ti-sx-e-it/ti-sx-el-it “more than of that certain number”;

ti-sx-i-sha(x)/ti-sx-e-jsha(x)/ti-sx-il-isha(x) “so many times”, “so often”, “that often”.

A core component should denote multiplicity –**sx** root, the first components are: **mu-** interrogative pronoun and **te-/ti-** – demonstrative pronouns; The **-el/-il** suffixes are evidenced in some roots. To my opinion these suffixes should be initial for all stems.

The question arises whether the Georgian –**sx (sxma)** denoting multiplicity and the Megrelian –**sx** are identical correspondences.

ქართველური ეტიმოლოგიები. XIII-XV

XIII. სვანური ბელ- ფუძე

სვანურ ბელ- (ლიბელე) „გაბერვა“ ფუძეს აკავშირებენ ქართულ ბერ- (ბერაეს) და მეგრულ-ლაზურ ბარ- (მეგრ. ბარუნს, ლაზ. ბარს) „ბერვა“ ფუძეებთან (კლიმოვი 1964, 50; ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 103...); ამასთან, ზოგი ავტორი საერთოქართველურ დონეზე ფუძის გრძელხმოვნიან ვარიანტს (ბერ) აღადგენს (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 250).

შესაძლებელია სვანური ბელ- ფუძე ქართულ ბევრ-ს უკავშირდებოდეს, კერძოდ, სვანურში ქართულიდან იყოს შესული და ფ-ს დაკარგვის შემდეგ სვანურში ე. წ. საკომპენსაციო სიგრძე იყოს განვითარებული: ბევრ- > ბელ-; რ → ლ პროცესი სვანურში ცნობილია (მაჭავარიანი 1965, 15; ფენრიხი, სარჯველაძე 103, 372; ჩუხუა 2000-2003, 22-23). რაც შეეხება სემანტიკურ მხარეს, აქ დაბრკოლება არ უნდა გვქონდეს: „ბევრ“-ისა და „გაბერვა“-ის სემანტიკათა დაკავშირება სირთულეს არ ქმნის („გაბევრება“ > „გაბერვა“).

XIV. საერთოქართველური ტატ-

ქართული ტატ- ზმნური ფუძეა: აიტატებს „ხელში აყვანილს მკერდთან ახლოს დაიჭერს“ (ქეგლ 1950, 215), ატატება „ხელში აყვანა და მკერდთან დაჭერა“ (ქეგლ 1950, 632).

ქართულ ტატ- ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს მისი ფონეტიკური შესატყვისი, მეგრული ტოტ- ფუძე, რომელიც წარმოდგენილია სახელშიცა და ზმნაშიც: ტოტი „ტორი, თათი, ხელი, დიდი ხელი, ხელის მტევანი“ (ჭარაია 1997, 129; ყიფშიძე 1914, 330; ქაჯაია 2002, 37; ქობალია 2010, 604) და ეტოტებუ „ეჭიდება, ერკინება“.

საერთოქართველური ამოსავალი უნდა იყოს სახელური ფუძე და სათანადო მნიშვნელობა.

XV. ქართველური გა/გან

გა მეგრულში მრავალმნიშვნელობიანი სიტყვაა და აღნიშნავს „ფერ-დობს, სერს, ბორცვს, მხარეს“ (ჭარაია 1997, 46; ყიფშიძე 1914, 212; ქავჯაია 2002, 277; ქობალია 2010, 71). ეგვე ფუძე უნდა გვექონდეს ზმნისართებში – **განშე** „განზე, მხარეს“, **გან-განშე** „გან-განზე“, **განობას** „მხარეში, მხარეს“. **გა**-სათვის ამოსავალი უნდა იყოს **გან** (***გან** > **გა**; ბოლოკიდური **ნ**-ს დაკარგვა მეგრულისათვის უცხო არ არის).

მეგრული **გა** ქართულში **გე**-ს ვარაუდობს (არ არის შეუძლებელი იგი გვექონდეს ქართულ ზმნისართებში **აგერ** და **ეგერ**); ქართული **გან**- ფუძეც თითქოს მათთან არის დაკავშირებული (პარალელურად **გა**- და **გუ**- ფუძეთა არსებობა შესაძლებელია). ისიც დასაშვებია, რომ მეგრულში ქართულ **ა**-ს შესატყვისად ეგვე **ა** ჰქონოდა (მდრ. ამ მხრივ ქართ. ძმა – მეგრ. ჯიმა და მსგავსი შემთხვევები).

ქართველურ **გა/გან**-თან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს აფხაზური **ა'გა**, რომლის მნიშვნელობაა „ზღვა; ზღვის ნაპირი; სამხრეთი; მხარე“ (ჯანაშია 1954, 75; შაყრილი, კონჯარია 1986, 129; გვანცელაძე 2003, 169, 198); შეიძლება მისი პირვანდელი მნიშვნელობა „ზღვის ნაპირი“ იყოს იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზურს მოეპოვება „ზღვის“ მნიშვნელობის მქონე სხვა სიტყვა **ამშეზნ**, რომელსაც შესატყვისები ეძებნება სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში. მისგან განსხვავებით, **ა'გა**-ს შესატყვისები არ უჩანს არც ჩერქეზულ ენებსა და უბიხურში, არც სხვა რომელიმე მთის იბერიულ-კავკასიურ ენაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ქართველური **გა/გან** აფხაზურში **ა'გა**-ს სახით შეთვისებულად მივიჩნიოთ (ა- აფხაზურში ზოგადობის ნიშანია. ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ საერთო ქართველურ-აფხაზურ (რესპ. აფხაზურ-ჩერქეზულ) მასალასთან გვექონდეს საქმე.

ლიტერატურა

აბაევი 1956: В. И. Абаев, О некоторых осетинских элементах в грузинском. – Труды Института языкознания АН СССР, т. 6, Москва.

აბულაძე 1944: ი. აბულაძე, სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა IX-X საუკუნეებში, თბილისი.

ანდრონიკაშვილი 1966: მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I, თბილისი.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

გვანცელაძე 2009: თ. გვანცელაძე, აფხაზური და ქართული ენების შემსწავლელთათვის, ტ. II, თბილისი.

კლიმოვი 1964: Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва.

ფენრიხი, სარჯველაძე 2000: ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ქაჯაია 2002: მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბილისი.

ქობალაია 2010: ა. ქობალაია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

ყიფშიძე 1914: И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, Санкт-Петербург.

შაყრილი, კონჯარია 1986: კ. შაყრილი, ვ. კონჯარია, აფხაზური ენის ლექსიკონი, სოსუმი (აფხაზურ ენაზე).

ჩუხუა 2000-2003: მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჭარაია 1997: ჰ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

ჯანაშია 1954: ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.

Kartvelian etimologies. XIII-XV Summary

XIII. Svan *b ē /-* stem

Linguists connect the Svan **bēl-** (**libēle**) “to inflate” stem with the Georgian **ber-** (**beravs** “He/she inflates smth.” and the Megrelian-Laz **bar-** (**baruns** – “He/she inflates smth.”). Some authors reconstruct a long-vowel variant (**bēr-**) on the Common Kartvelian level.

We believe, that it is possible to associate the Svan **bēl-** with the Georgian **bevr-** “a lot of “: Svan **bēl-** < ***bevr-** (a compensative length after loosing **v**). There is no semantic pitfall (**gabevreba** – “make smth. many/much” > **gaberva** “to inflate smth.”). The Georgian **bevri** “lots of” is considered to be borrowing from Iranian languages.

XIV. Common Kartvelian *ʃ a ʃ-*

ʃaʃ- is reconstructed on the Common Kartvelian level on the comparative basis of the Georgian **ʃaʃ-** stem (**aʃaʃeba** “to held up smth.”) and Megr. **ʃoʃ-i** “a paw, a hand” (a verb **eʃoʃeba** “He struggles, fights with smb.”).

XV. Megrelian *g a*

The Megrelian **ga** “a hill, a knill, side, a slope” must be connected with the Megrelian adverbs **ganše** “aside”, **ganobas** “in this side”, with the Georgian **gan-**, that is represented in adverbs **ganze** and **ganganze** and the Abkhazian **ága** (“sea, sea-side; south”).

ეტიმოლოგიური შენიშვნები

I საწმისი

მატყელს აქვს ტენის მიზიდვის უნიკალური თვისება. ეს ცნობილია უძველესი ქართული წერილობითი ძეგლებიდანვე.

[სასჯელი და სიმართლე უფლისა] „გარდამოხდეს, ვითარცა წუიმაჲ საწმისისა ზედა და ცუარი რაჲ ცუარინ ქვეყანასა ზედა“ (ფს. 71, 6); „აჲა ესერა, მე დავდვა საწმისი ერთი მატყლისაჲ კალოსა ზედა და უკუეთუ იყოს ცუარი საწმისისა მას ზედა და ყოველი ქუეყანაჲ ვმელი იყოს, უწყოდი, რამეთუ ველითა ჩემითა იქსნე შენ ისრაელი, ვითარცა უწყოდის უფალი“ (მსაჯულ. 6, 37); „და იყო ეგრე და აღიმსთო გედეონ განთიად და გამოწურა საწმისისა მისგან და აღივსო ფიალი წყლითა მით“ (მსაჯულ. 6, 38) (1).

მატყელის ეს თვისება საქართველოში ოდითგანვე იყო ცნობილი: მახსოვს, საბჭოთა წყობილების დროს, ფშავ-ხევსურეთის არაგვზე მატყელის დამამზადებლებს ამ ძვირფასი საქონლით დატვირთული საბარგო მანქანები მაინცდამაინც იქ „უფუჭდებოდათ“, სადაც გზა არაგვის პირზე გადიოდა და ზოგჯერ ღამესაც იქ ათევდნენ. ეს აფიორა ალბათ ყველამ (მძლოლიდან რაიკომის პირველ მდივნამდე) იცოდა, მაგრამ ხელი ხელს ბანდა, ორივე კი – პირს.

ლექსიკონებში საწმისის (და მატყლის) განმარტებები მთლად ადეკვატური არ არის:

„საწმისი (+ 6, 37 მსაჯ.) მატყლი, მატყლი რჩეული“ (საბა). „მატყლი (+ 1, 14 გამოცხ.) ცხოვართ თმა“.

„საწმისი, საწმისი მატყლი ცხვრისა ტყავითურთ, руно, шерсть“ (დ. ჩუბინ).

„საწმისი, მატყლი ან მსხვილი შალი, ნაბადი (მსაჯულ. 6, 37; ფსალ. 71, 61), руно“ (ნ. ჩუბინ.).

ეს ბოლო განმარტება იმითაც არის საინტერესო, რომ ნათელს ჰყენს ერთ ხევესურულ შესიტყვებას: „ნაბადთ დაშრობამდე იფიცავს“. როცა უნდათ თავის მტკიცებას მეტი ძალა მისცენ, იტყვიან: „ნაბადთ დაშრობამდე ვიფიცავ, რომ ესა და ეს საქმე ასე და ასეაო“ (2).

ქეგლი: „საწმისი ძე. 1. მატყლიანი ტყავი ცხვრისა. ბორცვს გადვიდა იასონი, სად საწმისი ხეს ეკიდა (ს. შანშ.). 2. იხ. მატყლი (საბა)“.

საწმისი ამ სიტყვის წარმომავლობისა და მნიშვნელობის სრულიად გაუცნობიერებლად „თამარიანში“ უხმარია ჩახრუხაძეს, ვისაც დიდი ილია პოეტად არ თვლიდა, ხოლო ამ ტექსტის გამომცემელი (ნ. მარი, ივ. ლოლაშვილი...) ტექსტის ავტორს გენიოსად თვლიან:

„1 ვინ ჩნდა **საწმისად**, მსგავსად აწ მისად
წინას წარმთქმელი მოსწავებულად
2 ცად, საყდრად, ღრუბლად, ღაწვ-ბროლ, ვარდ-შუბლად,
თამარ, შენ გიცნობ განცხადებულად,
3. გიწოდა შენ თვის, როკვიდა შენთვის
პირველი დავით განცხადებულად.
4. თვალად ძე მისი, შენ რა ემისი,
სოლომონ გხმობდა სახელდებულად“ (3. XV).

აი, ამ ყაიდის ხოტბების გამო წერდა დიდი ილია:

„ჩვენში, ქართველებში, დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხაძესა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არ ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელი მოთხრობის ოდენია, ზედმესრულით დაიწყება და თითქმის ზედმესრულით თავდება. რა ვაი-გლახით და კისრის მტვრევით მოგოგავს დავარდნილ ცხენსავით მისი ოც-მარცვლოვანი ტყვიასავით მძიმე ლექსი. არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჭკუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედმესრულების რახარაუხისა! აბა ახლა ნახეთ, რა სახელი აქვს ჩვენში! სადაც რუსთველს, მაგ თითქმის გენიასა ახსენებენ, გინდათ თუ არა, წამოაკუნკულებენ ჩახრუხაძესაც, რომელსაც, გვეგონია, ფიქრადაც არ ჰქონია ამისთანა დიდების იმედი“ (იქვე).

ილია მართალი აქაც ცამდე მართალი იყო!

დავიმოწმით ე.წ. „აბდულმესიანიც“:

- „21. 1. ესა მართალი, ე სამართალი
 ხეს შეიქმს ვმელსა წყალმომდინარედ,
 2. აქეს მას ტრიონი სანატრიონი
 საწმისისაგან სამოსად გარედ“.

ივ. ლოლაშვილი (ელინთა) ზღაპრობანიდან იმოწმებს ფრაზას: „ტრიონი უწოდიან შესამოსელსა ბალნისასა (დაყოფა ჩემია, ა. ჭ.) საფილოსოფოდ განწესებულსა“ (4. 181). არადა, ამ კონტექსტის „საწმისი“ მისივე განმარტებით არის „მატყლი“ (4. 284) და არც „ბალნის საწმისი“ არსებობს. თუმცა რა უნდა გაგიკვირდეს მეცნიერისგან, ვინც შავით თეთრზე წერს: [ოცდამეერთე სტროფის] „1 ტაეპი წარმოადგენს აფორიზმს. საფიქრებელია ამის გავლენით შექმნა რუსთველმა ცნობილი თქმა (დაყოფა ჩემია, ა. ჭ.): „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელლად“ (ვეფხ. 542, 40). მიაქციეთ ყურადღება: იაკობ შემოქმედელის, მე-17 საუკუნის „რიფმაჩის“ (მომწონს ეს რუსული სიტყვა, ა. ჭ.) ნათქვამი აფორიზმი, „მისი გავლენით“ მე-12 საუკუნის გენიოსის ნათქვამი კი თქმა (!!!).

ქართულში არსებობს შესიტყვება „ოქროს საწმისი“, რომლის ენციკლოპედიური განმარტება ასეთია: „ძვ. ბერძნულ მითოლოგიაში ტყავი (ბეწვი) ვერძისა. რ-მაც ორქომენოსის (ელადა) მეფის, ათამასის, ქალ-ვაჟი ჰელე და ფრიქსე განარიდა ავ დედინაცვალს და აიის ქვეყანაში, ანუ კოლხეთში გადახვეწა. მეფე აიეტმა შეივრდომა ფრიქსე (მისი და ჰელე გზაში დაიღუპა, ჩავარდა ჰელესპონტის სრუტეში), ვერძი მსხვერპლად შესწირა ზევსს „დევნილთა მფარველს“ (ფიქსიოსს) ხოლო მისი ოქროსბეწვიანი ტყავი, ე. წ. ო. ს., არესის ჭალაში ჩამოჰკიდა და დარაჯად მარად ფხიზელი, ცეცხლისმფრქვეველი ურჩხული მიუჩინა. ო. ს. ელადაში დააბრუნეს არგონავტებმა, რ-ნიც ამ მიზნით გაგზავნა კოლხეთში იოლკოსის მეფემ, პელიამ“. იმ ტყავის ფუნქციის შესახებ არსებობს გადმოცემა: ტყავს მდინარის ფსკერზე აფენდნენ, მის მატყლში ილექებოდა ოქროს ქვიშა, უფრო მსუბუქი ქვის ქვიშა კი წყალს მიჰქონდა. აქედან მოდის ვერძის ოქროს-ბეწვიანობაც.

ამ „საწმისის“ ძირია **წმედ-**, ხოლო მეორე საწმისისა – **წუიმ-**. ფონეტიკური პროცესების შედეგად შემოგვრჩა სხვადასხვა სემანტიკის მქონე ორი **წმ** ბგერათკომპლექსი.

„თამარიანს“ და „აბდულმესიას“, ნ. მარიდან მოყოლებული, მავანნი გენიალურ ქმნილებებს უწოდებდნენ. „თამარიანს“, როგორც ვნახეთ, დიდმა ილიამ გამოუყვანა წირვა. „აბდულმესიას“ რაობა და როდინდელობა **XX** საუკუნეში გაარკვია მკვლევარმა ბორის დარჩიამ. მე მანც ესვამ კითხვას: როგორ შეიძლება ოდად თუ ხოტბად იქნეს მიჩნეული თხზულება, რომლის შინაარსის გაგება დღესაც უჭირთ ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის საეციოლისტებს?! სომ ფაქტია, რომ „თამარიანის“ შინაარსი მისი ადრესატისათვის, მეფე-ქალისათვისაც გაუგებარი იქნებოდა?

ჩახრუხადის „ქება მეფისა თამარისი“-ს ტექსტისათვის დართულ ლექსიკონში ივ. ლოლაშვილი წერს: „**საწმისი XV** 1. საწამისი, რაც საწამებელია, სარწმუნოა. მისი მნიშვნელობა დაკავშირებულია **წამ-** ძირთან. აქედან მიღებულია არსებითი სახელი სა-წამ-ი, რომელიც ფუძეკუთმშვად სახელთა ჯგუფს ეკუთვნის: საწმის, საწმით, საწმად. ამ სიტყვის ნათესაობითი ფორმიდან ნაწარმოებია მეორე არსებითი სახელი საწმისი. „ვინ ჩნდა საწმისად“ ნიშნავს: ვინც გამოჩნდა საწამებლად, სარწმუნოდ. ამ შემთხვევაში ჩახრუხადე გულისხმობს ქრისტეს, რომელიც ახალი აღთქმის მიხედვით, კაცობრიობას ახალი სარწმუნოების საწამებლად მოევლინა“ (4. 261). ნეტარ არიან მორწმუნენი!

მაგრამ მანც უპასუხოდ რჩება კითხვა: ძველი ქართულის აუარებელ ძეგლებში რატომ ერთხელ მანც არ დასტურდება მეცნიერის მიერ ნავარაუდები სიტყვა-ფორმები: **საწმი, საწმის, საწმად?**

II მატყლი

ეტიმოლოგია საკმაოდ მარტივია. გ. კლიმოვი, პ. ფენრიხი და ზ. სარ-ჯველაძე განიხილავენ **მატყლ-** ძირს. არნ. ჩიქობავა **ტყ** ძირს გამოყოფს: მა-ტყ-ლ. ← “მა-ტყ-ალ ბგერობრივი შესატყვისობა ყველას კარგად აქვს ახსნილი, **ტყ** ძირის სემანტიკაზე კი მარტო გ. დევტერსს უთქვამს: „ტყ „ტყავს“ უნდა ნიშნავდესო“. სარწმუნო ახსნა ჩანს: „ის, რაც ტყავზე ამოდის“.

ლიტერატურა

- ი. აბულაძე, 1973: ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.
ალ. ჭინჭარაული, 2005: ხევსურული ლექსიკონი, თბილისი.
ივ. ლოლაშვილი, 1957: ძველი ქართველი მეხოტბენი, I, ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარისი, თბილისი.
ივ. ლოლაშვილი, 1957: ძველი ქართველი მეხოტბენი, II, იონანე შავთელი, აბდულმესიანი, თამარ მეფისა და დავით მეფის შესხმა, თბილისი.

Alexi Tchincharauli

Etymological note *saçmisi* “fleece” Summary

1. In Georgian etymological dictionaries the etymology of *saçmisi* is not given.
2. Iv. Lolashvili in the dictionary added to Chakhrukhadze’s “Song of the King Tamar” *saçmisi* is explained as thus: “smth. that is tormentd”. He “reconstructs” the forms **s a ç m i s**, **s a ç m i t**, **s a ç m a d**. According to his viewpoint **s a ç m i s** is declined for the second time and **s a ç m i s i** was originated(!). The *saçmisi* in “Abdulmesiani” is ‘wool’ for this author.
3. *saçmisi* <--- *saçmisi* ‘collector of rain, damp’.
4. In Georgian etymological dictionaries, Georgian and Kartvelian sound-correspondings of the word ‘wool’ are well-known, but the semantics of the word’s root is not given. I suppose that a root is *tq-* (*tq-av-i* ‘skin’), i.e. smth. that is on skin, smth. that is made of skin (G. Deeterse).

გუ||გუი ლექსება და მასთან დაკავშირებული გრამატიკული პროცესები სვანურში

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **გულ-** რამდენიმე მნიშვნელობით დასტურდება: ადამიანის ორგანო, ნაყოფის შიგნითა ნაწილი, ცენტრთან ახლოს მყოფი ადგილი და სხვ.

აღნიშნულმა სიტყვამ ადრიდანვე მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. ქართული **გულ-** ლაზურ **გურ-**ს დაუკავშირა და სხვა ქართველური ენების (მეგრულისა და ლაზურის) ექვივალენტებს შეუდარა გ. როზენმა (იხ. ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 156). ნ. მარმა, სამთანხმომენიანობის თეზადან გამომდინარე, **გულ-**ი **გელ-** ძირის სახით წარმოადგინა და ამოსავლად ჰიპოთეტური ***გეულ** მიიჩნია (მარი 1910, 137). პ. უსლარის მიხედვით „...ამ სიტყვის (**ა-გუ-** „გული“) ძირი ერთი და იმავე მნიშვნელობით გვხვდება და საერთოა ქართულისა, სვანურისა, აფხაზურისა, ადიღეურისა და შეიძლება, ზოგი სხვა კავკასიური ენისათვის“. არნ. ჩიქობავა იზიარებს პ. უსლარის ამ შეხედულებას და თავის მხრივ წერს, რომ „იშვიათად სხვა რომელსაში სიტყვაში თუ ჩანს კავკასიურ ენათა ერთიანობა ისე ცხადად, როგორც აქ: ქართ. **გ-ულ-**, მეგრ. **გ-ურ-**, ჭან. **გ-ურ-**, სვ. **გუ || გ-უი || გუი-ილ-დ**, აფხაზ. **ა-გ-უ**, ჩაჩნ. **დუო-გ**, ლაკ. **და-კ** და სხვ. (ჩიქობავა 1942, 41). გ. როგავა ვარაუდობს, რომ სვანურ **გუ||გუი** მიღებულია საერთო-ქართველური ***გუილ-** ფორმიდან დეტერმინანტული თანხმომენის მოკვეციტით (როგავა 1962, 87). მ. ჩუხუა ემხრობა გ. როგავას თვალსაზრისს, და ამავე დროს, ისტორიულ სვანურ არქეფორმად სახელობითის **გუიჟუ || გუჟი** ფუძეს აღადგენს (ჩუხუა 2008, 311-312). თ. გამყრელიძე და გ. მაყაყარიანი თვლიან, რომ სვანური **გუ** ← **გუჟ*** ← **გუშ*** ← **გულ** (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 82). გ. კლიმოვი საერთოქართველური ***გულ** ძირის შესატყვისად სვანურშიც **გულ-**ს წარმოგვიდგენს. მისი აზრით, ბოლოკიდური **ლ-**ს დაკარგვის შემდეგ **უ** ხმომენისგან **ჟ** საფეხურის გავლით

მივიღეთ **ჭი** კომპლექსი (კლიმოვი 1964, 66). ვ. თოფურია ვითარების **გუნ** „ძალიან“ ზმნისართში **-ნ**-ს გამოყოფს, როგორც მიცემითი ბრუნვის ძველ ფორმანტს, ხოლო **გუნ** ← **გუ** „გული“ თვლის (თოფურია 2002, 202).

-უ ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა რიგში განიხილავს **გუ** || **გუი**-ს სვანურში ი. ჩანტლაძე (ჩანტლაძე 1998, 59).

თანამედროვე სვანურში გვხვდება როგორც **გუ**, ასევე **გუი** ფორმა. ამათგან უფრო გავრცელებულია **გუი**, თუმცა გაქვავებულ გამოთქმებსა და კომპოზიტებში საკმაოდ გვხვდება **გუ-ც**.

სვანურ ლექსიკონში (ვ. თოფურია, მ. ქალდანი) ძირითად განსამარტავ სიტყვად აღებულია **გუი**, რადგანაც ზემოსვანურსა და ლენტეხურში სახელობით ბრუნვაში გვაქვს **გუი** (ლამსურში კი – უუმლაუტო **გუ**). მოთხრობით ბრუნვაში (ბალსზემოურში) არის როგორც **გუ-ჭ-ემ**, ასევე **გუი-დ**. ბალსზემოელმა ხ. იოსელიანმა აღნიშნულ ფორმებთან ერთად დაგვიდასტურა **გუი-მ-დ**, **გუი-ემ-დ** და ამავე დროს აღნიშნა, რომ ძირითადად, დღეს მოთხრობით ბრუნვაში გვაქვს **გუი-დ**; მიცემით ბრუნვაში, ბალსქვემოურ დიალექტში, ერთმანეთის პარალელურად გვაქვს **გუ**, **გუ-ს** და **გუი-ს**. **ზს-სა** და ლენტეხურში **გუი-ის**, ლამსურში კი – **გუ-^რღ**. ბალსზემოურის ნათესაობითი გვხვდება **გუი-მი-ში** და **გუ-ქი** ფორმები, ბალსქვემოურში **გუ-ემ** || **გუ-ემ** და **გუი-მ-ი** || **გუი-მ-ი**. როგორც ვხედავთ, სინქრონიულ დონეზე ბრუნების პროცესში თითქმის თანაბრად გვაქვს **გუ** და **გუი** ლექსემები.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველ ქართულსა და ქართველურ ენებში **გულ-ი** მრავალ გამოთქმაში მონაწილეობს და მისგან ბევრი ახალი ფუძეა წარმოქმნილი (რაც ნათლად ჩანს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდანაც). სვანურში **გუ** || **გუი** ხშირად გვხვდება ზმნის არქაულ ფორმებთან კომბინაციაში:

ბზ. **გუინი** ზიგ; ლნტ. **გუინი** ზიგ. ბქ. **გუმი** ზიგ „გულის ვარამი, ავადობა“ – **გუმი** ზიგს ქა დემის მწღრე „დარდს არ გამომიღვე“. პარალელურად გვაქვს **გუიმწზიგ**.

ბზ. **გუინი** ტწწ, ბქ. **გუმი** ტწწ „პატიება, გულისმობრუნება“. მარა **გუინი** ტწწ მამე ხწმდედა, ეჯა სურუ ხოლა ლი „დამიანს პატიება რომ არ შეუძლია, ის ძალიან ცუდია“.

ბზ. გუმი ხნა, ბქ. გუმი ხნა „ჯავრი, გულის სკდომა“. ხოლა გეზალს დი გუმი ხნაღსგა გარ ხორი „ცუდ შვილს დედა მუდამ „გულის ხეთქვა-ში“ ჰყავს.

ბზ. გუმი კვარ, ბქ. გუმი კვარ მოყირჭება, გულის „ამო“ გდება“. გუმი კუტარ ჩი ლადელ ქუთი ლიზებსი ხოხა „მოყირჭება ყოველდე ზაჭაპურის ჭამამაც იცის“.

საკმაო დიდი რაოდენობით არის სვანურში ნაწარმოები ფუძეები, სა-დაც გუ||გუთი არის გამოყენებული:

ბზ. გუთი-მარ-ა || გუ-მარ-ა, ბქ. ლნტ. გუთი-მარ-ა -ლშხ. გუ-მარ-ა „სურვილი, ნდომა“ (სიტყვასიტყ. „გულის ქონა“).

ბზ. გუთი-ღ-ჭუდედ, ბქ. გუთი-ღ-ჭედ, ლნტ. გუთი-ღუ-ჭუდედ, ლშხ. გუ-ღ-მჭოდ „მიხვედრილი, დაკვირვებული (გულომიცემული)“.

ზს. გუთი-ხოლა || გუ-ხოლა ქს. გუ-ხოლა „წყენა („გულცუდი“)“.

ზს. ლნტ. გუთი-წყილიან, ლშხ. გუ-წყილიან „გულწრფელი („გულწყლი-ანი“)“.

ბქ. ლნტ. გუთი-ურიდად „უგულოდ („გულჩაურევლად“)“.

სვანურისათვის ბუნებრვია გუ-სვან ნაწარმოები ზმნური ფორმები:

ლი-გუ-ტუ-მე -|| ლი-გუ-მე „მონდომება, გულით გაკეთება“.

შუკუტაშ ლისყი გუნ ამუტუშქს „გზის გაკეთება ძალიან მონდომეს“.

ლი-გუ-ხოლ-ე გულის მოსვლა, დამდურება, გულცუდობა“.

ცერას ჯი იგუხოლქს „მიტოვებას საწყენად იღებენ“. ზს. ლნტ. გუთი-ხოლა || გუ-ხოლა, ლშხ. გუ-ხოლა „წყენა“. გუთი-ხოლა-იან „ბუტია“.

საინტერესოდ გვეჩვენა ქართული გუნება-განწყობის სვანური ექვივა-ლენტის გული და ბუნებით გადმოცემა: ბზ. გუთი-ღ-ბგნაბ, ბქ. გუთი-ბგნაბ, ლშხ. გუთი-ბგნაბ „გუნება-განწყობა, ხასიათი“.

მაგვარ გუთი-ბგნაბჟი ანტან კესა ქალაქქსენ? „როგორ ხასიათზე (გუ-ნება-განწყობით) დაბრუნდა კესო ქალაქიდან?“

იდიომატურ გამოთქმებში გუ||გუთი სხვადასხვა ბრუნვის ფორმით გვხვდება:

გუ ლაგუს ხოხ „დაწყნარებულია, დამშვიდებულია, იმედიანად არის (გული საგულეს უდევს)“.

გუნი ჩუქისდისგუნე „დააიმედა (გული დაადებინა)“.

გუმი სსსტნი „სიამოგუნებს, სურს“.

გუმი ლჭობხე „მოფერება, დაყვავება (გულის ატატება, ხელში აყვანა)“.

დემდაქ გუნი სოზ „ცუდ გუნებაზეა (არაფრისთვის უდევს გული)“.

მიუხედავად იმისა, რომ **გუ||გუნი** გვხვდება როგორც დამოუკიდებლად, ასევე უამრავ გამოთქმასა და ფრაზეოლოგიზმებში, სვანურში ყველგან გვაქვს უთანხმოვნო აუსლაუტიანი ფორმა. აუსლაუტში **ლ**-ს დაკარგვის მაგალითები სვანურში სხვაგვარაა: **ზს. ფბრფ, ლშხ. ფარფ** „ფარფლ-“. **ზს. სამრბკუ ← *სამრეკლუ** „სამრეკლო“ და სხვ. (საღლიანი, 2005, 42).

გუნი || გუ ფორმებს, **გუტ** საფეხურის გავლით (საერთოქართველური ლ: სვანური **ტ** შეფარდების საფუძველზე) ***გულ-იდან** მომდინარედ მიიჩნევს მ. ჩუხუა (**გუ||გუ ← *გუტ ← *გულ**) (ჩუხუა 2002-2003, 17), რაც ჩვენი აზრით მარტივი და ამავე დროს მართებული ახსნა უნდა იყოს ამ ლექსემის ორფუძიანობისა. სიტყვის ბოლოში **ტ**-ს დაკარგვა (ან პირიქით: გაჩენა) ბუნებრივი პროცესია სვანურისათვის. ასევე ბუნებრივია აუსლაუტში **უ**-ს უმლაუტი. რაც შეეხება ამ ფორმათა დიალექტების მიხედვით განაწილებას, ბალსზემოურსა და ლენტეხურში ბრუნებისას მეტწილად **გუნი** გვაქვს; ბალსქვემოურსში კი, განსაკუთრებით, ლახამულურში პარალელურად არის უმლაუტოც. ლაშხურში, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ **გუ** ფიქსირდება. ჩოლურულში კი – ძირითადად უმლაუტიანი **გუნი**. ნაწარმოებ ზმნურ ფუძეებსა და ფრაზეოლოგიზმებში უმეტესად უმლაუტო ფორმებია, თუმცა ახალგაზრდა ბალსზემოელმა რესპოდენტებმა აღნიშნულ შემთხვევებშიც უმლაუტიანი **გუნი** -ფორმა დაგვიდასტურეს.

ლიტერატურა:

გამყრელიძე, მაყავარიანი 1965: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონან-ტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი.

თოფურია 2002: ვ. თოფურია, შრომები II, თბილისი.

კლიმოვი 1964: გ. კლიმოვი, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მოსკოვი.

მარი 1910: ნ. მარი, ჭანური ენის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ, მასალები იაფეტური ენათმეცნიერებიდან, სანკტ-პეტერ-ბურგი.

როგავა 1962: გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, თბილისი.

საღლიანი 2005: მ. საღლიანი, ნასესხობანი სვანურ ენაში, სადისერტაციო ნაშრომი ფილ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

ჩანტლაძე 1998: ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი.

ჩიქობავა 1942: არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი.

ჩუხუა 2002-2003: მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2008: მ. ჩუხუა, იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკა, I. თბილისი.

Roena Tchkadua

The lexeme *gul/gwi* and the grammatical processes related with it

Summary

The Svan **gu/gwi** is a correspondence of the Georgian word **gul-i**. In the special literature the Common Iberian-Caucasian origin of these lexemes is mentioned. It occurs in many expressions in Georgian as well as Svan and many stems are originated from them. For Svan earlier form should be **gu**, that often occurs in combination with archaic forms, derived verbal forms and idiomatic expressions. Though here we must note, that my young respondents (from Upper Bal and Choluri, as well) use the form with an umlaut (**g-i**) even in fuzziilised expressions.

ფუძემთა და სიტყვაფორმათა საკიებელი

ქართული

აგერ 73	ემვი-ი 7
არსი 54	ემვი 6-7
ატატება 72	ემუ 6,-8
	ემუი 6
ზ	
ზევრ- 72	ვენახი 35
ბეერი 72	ესწკენტავ 29
ბერ- 72	
ბერავს 72	ზ
ბლნეჯ- 36	ზარბაბი 12-14, 16
ბლნეჯ-ა 36	ზარბაბის წინდა 12
ბლნიჯ- 36	ზარბაბთი 12
ბრტყენა 36	
ბრტყუნ-ა 36	
	თ
გ	თავის 40, 50, 55, 59-60
გამორეკა 34	თავისუფალი 42-44, 51, 56-60, 61
გამოჩსენტეაჲ 30	თავისუფლება 59, 60, 62
გამოიწკენტაო 28	თ-ევ 21
გამოიწკენტება 28	თ-ენ 21
გამოშიკამს 34	თენ-ებ-ა 20-21
გან-თენ-ა 20	თვთუფალი 42, 51
გ-ულ- 81	
გულ 81-82, 84, 86	ი
გულ-ი 81-82, 84, 86	იცქინტებაო 30
გ-წკენტავ-ს 32	იცქინტება 30-31
	იწკენტა 30, 34
დ	ი-წკენტება 28
და-კრტ-ნ-ა 36	იწკენტება 27, 34
დამბადებელი 44-45, 48, 57	იწკენტების 28
დაღვენთ-ებ-ა 36	
დეღუფალი 41-42, 51	კ
	კეისრ- 19
ე	კენკ- 35
ეგერ 73	კენკ-ვ-ა 35
ერთი 52, 54, 56-57	კორტ- 36
ემუ 6	კორტნა 36
ემუი 7	კრტ- 36

ლას-ა 22
 ლაში 7
 ლურჯ-ი 22

 *მა-ტყ-ალ 79
 მატყლ 79
 მატყლი 76-79
 მეფე 41-42, 44-45, 50
 მეფეული 41-42, 45
 მეფობა 41-42, 44-45
 მემაჯანი 10
 მეუფე 41-42, 44-45, 47-48, 52, 57
 მეუფება 41-42, 44-45
 მეუფობა 41-42, 45
 მ-თ-ენ-ი 21
 მიწკენტს 29
 მიწკინტა 29, 34
 მოვსწკინტე 28
 მოსაწკენტი 27
 მოწკენტა 28-29, 31, 32, 34
 მოწკენტავს 27
 მოწკენტე 27, 34
 მოწკენტვა 31
 მოწკენტილი 27
 მუწუკის წკენტა 26, 27
 მფლობელობა 42, 44-45
 მ-წკენტავ-ს 32
 მწყემსი 48, 57

 ნაწკენტ 30, 34

 ოღნავ 36

 პენტ- 35-36
 პენტ-ვა 35
 პენტვა 35-36
 პირ 18
 პურის(ა)უფალი 42, 51

რთხმელა 7
 რქენა 8
 რცა 7
 რცმელი 7
 რწმელა 7
 რწბოლი 7

 *სა-ე-მტ-ე 6
 სამეფო 42, 44-45
 სამეუფეო 41-42, 44-45
 სამეუფო 42, 45
 სამეუფობა 41-42, 45
 სა-თ-ევ-ი 21
 სასუფეველი 42, 45
 საღმრთო 44, 46-48, 50, 52
 საწვმისი 76
 საწმად 79
 საწმი 79
 საწმის 79
 საწმისი 76-79
 სუფევა 41-42, 44-46
 სტე 5
 ს-წკენტავ-ს 28, 32
 ს-წკენტავს 32
 სწკენტს 28-29
 სსტა 5

 ტატ- 72

 *უფ- 46
 *უფ + -ალ 46
 უფალ- 40, 41-43, 45-47, 51, 54, 55, 57-60, 63
 *უფალ- 47, 59
 *უ-ფალ 47
 *უ-ფ(ალ)- 47
 *უ-ფ-ალ 55
 უფალი 40, 41-46, 48, 51-52, 55, 57, 59-60, 61

უფალი ღმერთი 41, 44-45, 48, 52, 55, 59

უფლება 42, 44-45

უფლის-მოყუარე 42, 51

უფლის თვალი 42, 58

უფლისწული 42, 44, 51

უფლის ხე 42, 58

უ-კუდავი 46

უ-ლევი 46

უ-მწყი 46

უ-რჩი 46

უღმრთო 49-50

უ-შრეტი 46

უ-უფალ-ო-ღ 60

უუფლო 42-43, 59, 60

უწკნტნი 30, 34

უწკნტს 29

უზენაესი მფლობელი 44-46

*ფ- 46

*ფ- + -ალ 46

*ფალ- 46, 62

*ფლ- 46, 62

ფოთქვი 7

ფორთქვი 7

ფორჩხი 7

ქამხა 12-14

ქამხა-ატლასი 13

ქტა 5

*ღარმათ- 54

*ღერმათ- 54

*ღმართ- 54

ღმერთ- 40, 47, 48, 50-51, 54-55, 57-58, 63

ღმერთ-ი 54-55, 57, 58

*ღმ-ერთ-ი 54

ღმერთკაცი 50, 58

ღმერთმყოფელი 48, 50, 58

ღმერთქმნულება 58

ღმრთეება 48, 50, 54

ღმრთისმეტყუელი 50, 58

ღმრთისმსახური 49-50, 58

ღმრთისმშობელი 48-50, 58

*ღრმათ- 54

ღრღნ-ა 36

ღვენთ- 36

*ღ-ვ-ერთ- 55

შალ-ზარბაზი 13

შემოქმედი 44-45, 48, 57

შოგა 6

შუა 3-8

შუან 7

შუანი 3-5

შუათა 4

შუვა 6

შუვაჲ 4

შვარძვალი 7

შტ 6, 8

შტა 5, 7-8

შტავი 5

ჩამიწკნტა 28

ჩამა-ს-წკნტავ-ს 28

ჩამოიწკნტება 28

ჩამოვწკნტო 27, 32

ჩამოწკნტა 27, 33

ჩამოწკნტავს 27

ჩამოწკნტეო 27

ჩამოწკნტილი 28

ჩამოწკნტ-ს 33

ჩეკს 34

ჩქმეტა 26-27, 29, 32, 34-35

ჩხვლეტავ-ს 33

ჩხვლეტ-ს 33

ცქენთი 29, 30
ცქინტვა 30-31
ცქინტი 30

ძე ღმრთისა 58
ძიძგნ-ა 36

წამ- 79
წკენტ- 26-27, 30, 33-36
წკენტ-ა 35-36
წკენტა 26-34
წკენტავს 28, 30, 32, 34
წკენტი 26, 29
წკენტვა 28-29
წკენტვაჲ 29
წკენტუჲა 34
წკენტუჲაჲ 30
წკინტ- 33-36
წკენტა 34-36
წმედ- 79
წნეს 36
წნის 36
წუიმ- 79

ჭირისუფალი 42, 44, 51

ხამხა 13, 16
ხთის იასაული 48, 58
ხ-გ-ერთ- 55
ხ-მ-ერთ- 55
ხ-უ-ერთ- 55
ხ-უ-ერთ- 55

კელთუფალი 42, 51
კელისუფალი 42, 51

ქსწკენტს 26

ზანური

(მეგრულ-ზანური)

ზარს (ლაზ.) 72
ზარუნს 72, 75
ზინეს (ლაზ.) 35
ზურტყონ-უ 36

გა 73, 75
გან 73, 75
გან 73
გან-განშე 73
განობას 73
განშე 73
გა-ფ-უნ 46
გეშქვაფა 8
გეოწკიტონი 35
გ-ი-ფ-თ-ან-ე 21
გო-თან-დ-უ 20
გო-თან-ელ-ი 20
გ-ურ- 81
გურ 81

დო-ლო-თან-ერ-ი (ლაზ.) 20
დო-ღვანთ-აფ-ა 36
დო-თან-ურ-ი (ლაზ.) 20

ეტოტებუ 72

თ-ან 21
თ-ან-აფ-ა 21
თან-აფ-ა 20
თან-უნ (ლაზ.) 20
თესხე 66-67
თესხელ-ი 66-67
თესხელიშა(ს) 66, 68
თესხელით 66-68
თესხეშა 66, 68

თესე-ა 66-67
თესეაშა(ს) 66, 68
თესეათ 66-68
თეს-ი 66-67
თესი-ი 66
თესიშა(ს) 66, 68
თესით 66-68
თისე 66, 68
თისეღ-ი 66, 68
თისეღიშა(ს) 66, 68
თისეღით 66, 68
თისე-ა 66, 68
თისეაშა(ს) 66, 68
თისეათ 66, 68
თის-ი 66, 68
თისი-ი 66, 68
თისიღ-ი 66, 68
თისიშა(ს) 66, 68
თისით 66-68

იღინჯგინ-ან 36

კანკ-უ-ა (ლაზ.) 35
კურდღელქი 67

ლეშქი (ლაზ.) 7-8
ლეჩქვი 7, 8

მა-ფ-უნ 46
მ-თან-ურ-ა (ლაზ.) 20
მოსხი 66-67
მუსე 66-67
მუსეთ 66-67
მუსეღ-ი 67
მუსეღი 66-67
მუსეღით 66-67
მუსეღიშა(ს) 66-67, 67
მუსე-ა 66
მუსეა 66-67

მუსეაშა(ს) 66-67
მუსეათ 66-67
მუ-სხ-ი 69, 71
მუს-ი 66, 71
მუსი 66-68
მუსი-ი 66
მუსიი 66-67
მუსიშა(ს) 66-67
მუსით 66-67
მუუწკიტონუუ 35
მჩხუ 8

ო-ასქ-უ 6
ონდეთ 36
*ო-სქ-უ-უ 6
ოსქუ 6
ო-ჭინას-უ 36

პინტ- (ლაზ.) 35
პინტ-უ-ა (ლაზ.) 35
პინტუა (ლაზ.) 35

ტოტ- 72
ტოტი 72

ქო-დო-ლო-თან-უ 20

ღინჯგ- 36
ღირღონ-უ-ა 36
*ღმორთ-(ლაზ.) 54
ღორმოთ-(ლაზ.) 54
ღორმოთი 58
ღორონთ- 54
ღორონთი 58
ღვანთ- 36

შქა 6-8
შქე- 8
შქვა 6-8

შქოვა 6
შქტა 6
შხუ 8

ჩქა 8
ჩქვა 6-7
ჩქვალ 7
ჩქვალ-ეფი 7

ძგიტონ-უა 36

წკანტ- 35
წკანტუა 35
წკინტ- 35
წკინტუა 35
წკიტონ- 35-36
წკიტონაფა 35
წკიტონ-უა 35-36
წკიტონუა 35

ჭინახ- (ლაზ.) 36

სვანური

ახ-თენ-ან 20

*გვლ- 81
გუ 81-86
გუ-ტ-ემ 82
გუ-ემ 82
გუ-ემ 82
გუ-ემ 82
გუიგუნებ 83
გულ 81
გულ 84
გულგ-მტოდ 83
გუმბი 82-84
გუ-მარ-ა 83

გუნ 82-83
გუ-「ა」 82
გუტ 81, 84
გუტ 84
გუ-ც 82
გუმ 81
გუ-ემ 82
გუ-ხოლა 83
გუჰ 81
გტ 82-84
გ-ტი 81
გტი 81-85
გტიტ 81
გტი-დ-ბენაბ 83
გტი-ბენაბ 83
გტი-იდ 82
გტი-იდ 82
გტი-ემ-დ 82
გტი-ილ-დ 81
გტილ- 81
გტი-ლგ-ჰტედ 83
გტი-ლგ-ჰედ 83
გტი-ლუ-ტედ 83
გტი-მ-დ 82
გტი-მი 82
გტიმი 82
გტი-მი-მ 82
გტი-მარ-ა 83
გტი-ის 82
გტი-ს 82
გტი-ხოლა 83
გტი-ხოლ-იან 83
გტნმი 82, 83
გტნ-მი-მ 82

თ- 21
თ-ატ 21
თინ 21-23

ი-თინ 23
ითინ 17, 21
ითინი 17

კირტ- 36
კერტ- 36

მგთინ 17
მგნში 22
მგრეი 22
მგ-თინ 22-23
მგთინ 17, 21

ლე-თ 21
ლე-თ-ი 21
ლენ-თ 21
ლენ-თ-ი 21
ლენ-თ(ი) 21
ლიბელე 72
ლი-გუ-შე 83
ლი-გუ-უშე 83
ლი-გუ-ხოლ-ე 83
ლი-კერტგ 36
ლი-თენ 20
ლი-თნ-ე 20
ლიპენტ-ე 36
ლუგტე 22
ლგ-დგარ 22
ლუ-თინ 23
ლგთენ 22
ლგთენე 22
ლგთიელშს 22
ლგთიი 22
ლგთინ 17, 19, 21-22
ლგთლერ 19-20, 23
ლგთნარ 19
ლგ-თნ-ე 20-22
ლგლფარე 22

ლგლფარ 22
ლგმარე 22
ლგტის 22
ლგტის 22
ლგშის 22
ლგშე 22

ო-თ-ან-უნ-ან-ს 21
ო-ხ-თენ-ი 20

პენტ- 36

სამრკუტ 84
სამრეკლტ 84

უ-თინ 23
უთინ 17-18, 21
უთინ 17, 21-23
უთინი 17-18, 21

ფარფ- 84
ფარფ- 84

ქა ი-თნ-ე 20
ქა ლგგეჰ 22
ქა ლუგტეჰ 22

ღერბეთ 54, 56
ღერმეთ- 54, 56
ღმართ- 54
ღუენტ-ილ 36
ღუნთ- 36

ჩქუარ 7
ჩქუარ-არ 7

ჰგერგ ლგთლერ 23

ქართველური

ლაკური

ზერ

ლა-კ 81

*გულ- 79, 81, 84

*გტილ- 81

ჩაჩნური

*თენ- 21, 23

*თენ-/თნ- 20-21, 23

ღტო-გ 81

*სა-ე-შტ-ე

ბერძნული

*ტატ- 72

μσλασ 5

*ჩტალ 7

ბბόντασ 5

ბბόντას 5

*ცტალ 7

ებრაული

წკებ- 36

წკებ-ნ-ა 36

malətā‘āh 5

šen‘hāhb 5

šin-najik’ 5

აფსაზური

ა'გა 73

ა-გ-უ 81

აჯაშარა 10

აჯნგშ 10

ამშენ 73

თურქული

zar-baf 13

სანცაშა 10

ლათინური

შ 10

შა 10

liber 59

ჯაჰანამ 10-11

ჯაჰანემ 10

ჯაჰანამ 10-11

ინდოევროპული

*ჰპ 6

ჰW 6

რუსული

изарнав 13

зарнав 13

свобода 59

სპარსული

baft 13

baftan 13

kamkha 13-14

zar 13

zar-baft 13

ხატური

სალამურთობა 54

სალმურთობა 54

სარჩევი – CONTENTS

ავთანდილ არაბული – „ეშუ“ და „შუა“ ლექსემათა ურთიერთმიმართებისათვის	3
Avtandil Arabuli – Toward the interrelation of <i>ešw</i> and <i>šua</i> lexemes	9
ნანა მაჭავარიანი – ანთროპომორფულ არსებათა სახელწოდებანი	
3. აფხაზური აჯნგშე „სატანა, ეშაკი“ ლექსემის წარმომავლობისათვის	10
Nana Matchavariani – Anthropomorphic names 3. Towards the origin of the Abkhazian	
აჭინჭ ‘satan, devil’	11
რუსუდან რამიშვილი – „რუსუდანის“ ლექსიკიდან	12
Rusudan Ramishvili – Some words from the lexicon of “Rusudaniani” (<i>zarbab</i> and <i>kamkha</i>)	16
მედეა საღლიანი – ერთი უძველესი სვანური საკულტო ტერმინის	
(უითინ/უთინ/ითინ/გთინ/ღთინ/ლგთინ) წარმომავლობისათვის	17
Medea Sagliani – Towards the origin of one ancient Svan cultic term	
(<i>witin// utin//itn//გბტინ//ღტინ // ლტინ</i>)	24
მურმან სუხიშვილი – ერთი დარგთაშორისი ტერმინის შესახებ	26
Murman Sukhishvili – On one interdisciplinary term	39
მედეა გლიონტი – უფალ-ის და ღმერთ-ის ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანი	
ქართულში	39
Medea Glonti – Lexical-semantic choice of <i>UPALI</i> ‘the Lord’ and <i>YMERTI</i> ‘the God’ in Georgian	64
ეთერ შენგელია – ზოგი მეგრული ფუძის ეტიმოლოგიისათვის	
(მუსხ-ი, თესხ-ი, თისხ-ი...)	65
Eter Shengelia – Towards the etymology of some Megrelian stems (<i>musx-i, tesx-i, tix-i...</i>)	71
ვაჯა შენგელია – ქართველური ეტიმოლოგიები. XIII-XV	72
Vazha Shengelia – Kartvelian etimologies. XIII-XV	75
ალექსი ჭინჭარაული – ეტიმოლოგიური შენიშვნები	76
Alexi Tchincharauli – Etymological note <i>sapmisi</i> “fleece”	80
როენა ჭკადუა – გუ გუი ლექსემა და მასთან დაკავშირებული გრამატიკული	
პროცესები სვანურში	81
Roena Tchkadua – The lexeme <i>gu//gwi</i> and the grammatical processes related with it	86